

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
სამოქალაქო, სამეწარმეო და სხვა კატეგორიის საქმეებზე

2010, # 10

უცხო ქვეყნის  
გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე  
ცნობა და აღსრულება

- გადაწყვეტილებაში უსწორობათა და აშკარა არითმეტიკული შეცდომების გასწორება
- საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება
- უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება
- შუამდგომლობის განუხილველად დატოვება დადგენილ ვადაში მტკიცებულებათა წარმოუდგენლობის გამო

## უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

### განჩინება

№ა-2443-შ-83-09 11 იანვარი, 2010 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი

განხილვის საგანი: უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო-კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2009 წლის 31 აგვისტოს გადაწყვეტილების (საქმე AR # 129 /2009) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

აღწერილობითი ნაწილი:

უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო-კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2009 წლის 31 აგვისტოს გადაწყვეტილებით შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "გენკის" (საქართველოს რესპუბლიკა, ქ. თბილისი) დაევალა მოცემული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების საკონდიტრო ფაბრიკა "კვიტენის" (უკრაინა, ...) სასარგებლოდ ძირითადი ვალის -41 239.80 აშშ დოლარის, დაუყოვნებლივ გადახდა გადაცილებულ დღეზე პირგასამტეხლოს -4 056.82 აშშ დოლარის, ძირითადი ვალის წლიური 3%-ის -507.1 აშშ დოლარის, საარბიტრაჟო მოსაკრებელის ასანაზღაურებელი თანხის -3 874.97 აშშ დოლარს, მთლიანობაში -49 678 აშშ დოლარის და 69 ცენტის; მოსარჩელის მოთხოვნა ინფლაციური ზარალის ასანაზღაურებლად მოპასუხისათვის 2 974.59 აშშ დოლარის დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდა; მოსარჩელის განცხადების საფუძველზე დანარჩენ ნაწილში სარჩელზე წარმოება შეწყდა; საარბიტრაჟო მოსაკრებელი -251.73 აშშ დოლარით დაეკისრა მოსარჩელეს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საკონდიტრო ფაბრიკა "კვიტენმა" შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოპასუხისათვის თანხების დაკისრების ნაწილში ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 18 დეკემბრის განჩინებით შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების საკონდიტრო ფაბრიკა "კვიტენის" შუამდგომლობა უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო-კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2009 წლის 31 აგვისტოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში, შუამდგომლობისა და თანდართული მასალების ასლები გაეგზავნა მოპასუხეს მისი ადგილსამყოფელის მიხედვით; მასვე განემართა, რომ განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის განმავლობაში შეემდო წარმოედგინა მოსაზრება ზემოთითხსნილი შუამდგომლობის თაობაზე, აგრეთვე, მოეთხოვა საქმის ზეპირი განხილვა, ხოლო თუ იგი ამას არ მოითხოვდა, საქმე განიხილებოდა ზეპირი მოსმენის გარეშე.

შუამდგომლობისა და აღნიშნული განჩინების ასლები შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "გენკის" 2009 წლის 26 დეკემბერს ჩაჰბარდა, მაგრამ მოპასუხეს უზენაესი სასამართლოსათვის შუამდგომლობით არ მოუმართავს.

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საკონდიტრო ფაბრიკა "კვიტენის" შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო-კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2009 წლის 31 აგვისტოს გადაწყვეტილებით შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "გენკის" (საქართველოს რესპუბლიკა, ქ. თბილისი) დაევალა, მოცემული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან დაუყოვნებლივ გადაეხდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საკონდიტრო ფაბრიკა "კვიტენის" (უკრაინა) სასარგებლოდ ძირითადი ვალი -41 239.80 აშშ დოლარი, ვადაგადაცილების პირგასამტეხლო -4 056.82 აშშ დოლარი, ძირითადი ვალის წლიური 3% -507.1 აშშ დოლარი, საარბიტრაჟო მოსაკრებელის ასანაზღაურებელი თანხა -3 874.97 აშშ დოლარი, სულ -49 678 (ორმოცდაცხრა ათას ექვსას სამოცდა თვრამეტი) აშშ დოლარი და 69 ცენტი.

"საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 68-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებას.

ყვეტილებებს, თუკი არ არსებობს ამავე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებანი, როგორცაა: ა) საქმე საქართველოს განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება; ბ) გადაწყვეტილების გამოტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, მხარე უწყების ჩაბარების გზით არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოძახების თაობაზე ან მოხდა სხვა საპროცესო დარღვევები; გ) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე სამართლებრივ დავაზე არსებობს საქართველოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან მესამე ქვეყნის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც ცნობილ იქნა საქართველოში; დ) უცხო ქვეყნის სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპეტენტურად არ ითვლება; ე) უცხო ქვეყანა არ ცნობს საქართველოს სასამართლო გადაწყვეტილებებს; ვ) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე საკითხზე და ერთი და იმავე საფუძვლით საქართველოში მიმდინარეობს სასამართლო პროცესი; ზ) გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მითითებული მუხლის მე-2 პუნქტის "გ" და "ვ" ქვეპუნქტებთან დაკავშირებით მტკიცების ტვირთი ეკისრება მოპასუხეს, ხოლო ამ უკანასკნელის მიერ მსგავსი გარემოებების დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენილი არ ყოფილა. ამასთან, არ არსებობს არც "ა," "ბ," "დ," "ე" და "ზ" ქვეპუნქტებში მითითებულ გარემოებებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობს ყველა საფუძველი, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ ცნოს უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო-კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2009 წლის 31 აგვისტოს გადაწყვეტილება (საქმე #

129 /2009) იმ ნაწილში, რომელიც შეეხება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "გენკისათვის" (საქართველოს რესპუბლიკა, ქ. თბილისი) მოცემული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან დაუყოვნებლივ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საკონდიტრო ფაბრიკა "კვიტენის" (უკრაინა) სასარგებლოდ ძირითადი ვალის - 41 239.80 აშშ დოლარის, პირგასამტეხლოს გადაცილებულ დღეზე -4 056.82 აშშ დოლარის, ძირითადი ვალის წლიური 3%-ის -507.1 აშშ დოლარის, საარბიტრაჟო მოსაკრებელის ასანაზღაურებელი თანხის -3 874.97 აშშ დოლარის, სულ -49 678 აშშ დოლარისა და 69 ცენტის გადახდას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა "საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2, 68-ე, 70-ე-71-ე მუხლებით, "სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ" 1993 წლის 22 იანვრის მინსკის კონვენციით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საკონდიტრო ფაბრიკა "კვიტენის" შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;

2. უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო-კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2009 წლის 31 აგვისტოს გადაწყვეტილება (საქმე #

129 /2009) იმ ნაწილში, რომლითაც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "გენკის" (საქართველოს რესპუბლიკა, ქ. თბილისი) დაევალი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საკონდიტრო ფაბრიკა "კვიტენის" (უკრაინა) სასარგებლოდ ძირითადი ვალის -41 239.80 აშშ დოლარის, ვადაგადაცილების პირგასამტეხლოს - 4 056.82 აშშ დოლარის, ძირითადი ვალის წლიური 3%-ის -507.1 აშშ დოლარის, საარბიტრაჟო მოსაკრებელის ასანაზღაურებელი თანხის -3 874.97 აშშ დოლარის, სულ -49 678 აშშ დოლარისა და 69 ცენტის გადახდა, საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს და დაექვემდებაროს აღსრულებას;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

### განჩინება

#ა-2486-შ-85-09 11 იანვარი, 2010 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი

განხილვის საგანი: გერმანიის ქ. ესენის პირველი ინსტანციის საოჯახო საქმეთა სასამართლოს 2004 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილების (საქმე #102 F 136/04) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

აღწერილობითი ნაწილი:

გერმანიის ქ. ესენის პირველი ინსტანციის საოჯახო საქმეთა სასამართლოს 2004 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილებით საქართველოში, ქ. ბათუმში, მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის განყოფილების თანამშრომლის მიერ 1992 წლის 15 თებერვალს მხარეთა შორის რეგისტრირებული ქორწინება (სააქტო ჩანაწერი #67/1992) შეწყდა; სასამართლო ხარჯები ჩაითვალა დაფარულად.

ლ. ლ-ძემ (წარმომადგენელი რ. ბ-ძე) შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 18 ნოემბრის განჩინებით ლ. ლ-ძის შუამდგომლობა გერმანიის ქ. ესენის პირველი ინსტანციის საოჯახო საქმეთა სასამართლოს 2004 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილების (საქმე #102 F 136/04) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ ლ. ლ-ძის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ გერმანიის ქ. ესენის პირველი ინსტანციის საოჯახო საქმეთა სასამართლოს 2004 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილებით საქართველოში, ქ. ბათუმში, 1992 წლის 15 თებერვალს მხარეთა შორის რეგისტრირებული ქორწინება (სააქტო ჩანაწერი #67/1992) შეწყდა.

“საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, თუკი არ არსებობს ამავე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებანი. საქმის მასალების თანახმად, აღნიშნული გარემოებების არსებობა საქმეზე არ დასტურდება, რის გამოც არსებობს ყველა საფუძველი, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ ცნოს გერმანიის ქ. ესენის პირველი ინსტანციის საოჯახო საქმეთა სასამართლოს 2004 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილება (საქმე #102 F 136/04) .

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე, 70-ე-71-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. ლ. ლ-ძის (წარმომადგენელი რ. ბ-ძე) შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;
2. გერმანიის ქ. ესენის პირველი ინსტანციის საოჯახო საქმეთა სასამართლოს 2004 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილება (საქმე #102 F 136/04), რომლითაც ქ. ბათუმში, მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის განყოფილების თანამშრომლის მიერ 1992 წლის 15 თებერვალს მხარეთა შორის რეგისტრირებული ქორწინება (სააქტო ჩანაწერი #67/1992) შეწყდა, საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს და დაექვემდებაროს აღსრულებას;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**უცხო ქვეყნის სასამართლოს  
გადაწყვეტილების ცნობა**

**განჩინება**

#2584-შ-86-09

14 იანვარი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
რ. ნადირიანი,  
თ. თოდრია

საქმის ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა ჯ. ქ-მანის და მისი წარმომადგენლის - ი. ყ-შვილის შუამდგომლობის დასაშვებობის საკითხი ანკარის საარბიტრაჟო საბჭოს 2009 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

აღწერილობითი ნაწილი:

ანკარის საარბიტრაჟო საბჭოს 2009 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილებით ჯ. ქ-მანის განცხადება უზრუნველყოფის თაობაზე დაკმაყოფილდა: ყადაღა დაედო მოპასუხე შპს "ი. კ. ო-ის" ნებისმიერ უძრავ-მოძრავ ქონებას საქართველოში (მათ შორის -ქალაქ ბათუმში, ... #11-ში მდებარე შენობა-ნაგებობებს საერთო ფართით 10 528 კვ.მ და 5460 კვ.მ მიწის ნაკვეთს) მის მიმართ 2009 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილების რეალური აღსრულების მიზნით.

ჯ. ქ-მანის წარმომადგენელმა ი. ყ-შვილმა შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს ანკარის საარბიტრაჟო საბჭოს 2009 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ჯ. ქ-მანის და მისი წარმომადგენლის - ი. ყ-შვილის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ ანკარის საარბიტრაჟო საბჭოს 2009 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილებით ჯ. ქ-მანის განცხადება უზრუნველყოფის თაობაზე დაკმაყოფილდა -ყადაღა დაედო მოპასუხე შპს "ი. კ. ო-ის" ნებისმიერ უძრავ-მოძრავ ქონებას საქართველოში (მათ შორის -ქ. ბათუმში, ... #11-ში მდებარე შენობა-ნაგებობებს საერთო ფართით 10 528 კვ.მ და 5460 კვ.მ მიწის ნაკვეთს) მის მიმართ 2009 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილების რეალური აღსრულების მიზნით.

აღნიშნული სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული.

"საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 68-ე-69-ე მუხლების თანახმად, არსებობს ყველა საფუძველი, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ ცნოს ანკარის საარბიტრაჟო საბჭოს 2009 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილება, რადგან დაცულია აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული მოთხოვნები.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა "საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 68-ე-69-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

ჯ. ქ-მანის და მისი წარმომადგენლის - ი. ყ-შვილის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს:

ანკარის საარბიტრაჟო საბჭოს 2009 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც დაკმაყოფილდა ჯ. ქ-მანის განცხადება უზრუნველყოფის თაობაზე და მიღებული გადაწყვეტილებით ყადაღა დაედო მოპასუხე შპს "ი. კ. ო-ის" ნებისმიერ უძრავ-მოძრავ ქონებას საქართველოში (მათ შორის -ქ. ბათუმში, ... #11-ში მდებარე შენობა-ნაგებობებს საერთო ფართით 10 528 კვ.მ და 5460 კვ.მ მიწის ნაკვეთს) და სხვა უფლებებსა და ასაღებ თანხებს მის მიმართ 2009 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილების რეალური აღსრულების მიზნით, საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს და დაექვემდებაროს აღსრულებას.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება

### განჩინება

#ვ-1080-შ-79-09

21 იანვარი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
მოსამართლე თ. თოდრია

საქმის ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა ა. ი-ევას წარმომადგენლის -მ. ვ-ძის შუამდგომლობის დასაშვებობის საკითხი რუსეთის ფედერაციის როსტოვის ოლქის ... საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 31 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, ა. გ.-ს ასულ ი-ევას განცხადების გამო, ნათესაური კავშირის ფაქტის დადგენის თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ა. ი-ევას წარმომადგენელმა მ. ვ-ძემ შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ნათესაური კავშირის ფაქტის დადგენა, რომ გ. მ.-ს ძე მ-იანი არის ა. გ.-ს ასულ ი-ევას მამა.

ა. ი-ევამ განცხადებით მიმართა სასამართლოს და მიუთითა, რომ დაიბადა როსტოვის ოლქის ქ. ... , 1957 წლის 15 ოქტომბერს. ქ. ... მმარის განყოფილებაში შედგენილი 1957 წლის 15 ოქტომბრის #848 დაბადების სააქტო ჩანაწერში ცნობების შეტანისას დაშვებულ იქნა შეცდომა მამის გრაფაში ნამდვილი სახელის ნაცვლად "გ." მითითებულია "გ.კ". განმცხადებელმა განმარტა, რომ შეცდომის მმარის ორგანოებში გასწორება შეუძლებელია, რადგან 1922 წლის 1 მარტს, ქ. ბათუმში დაბადებული გ.მ-იანის სააქტო ჩანაწერი ქ.ბათუმის მმარის განყოფილების არქივში არ მოიძებნა. ასევე შეუძლებელია მათი მშობლების 1956 წლის 15 ივლისის ქორწინების მოწმობის აღდგენა. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ მოცემული გარემოება დასტურდება ქ. ... მმარის ორგანოს მიერ 2009 წლის 22 იანვარს გაცემულ მოქალაქეობრივი მდგომარეობის #255 სააქტო ჩანაწერში ცვლილებებისა და შესწორებების შეტანაზე უარის თქმის შესახებ შეტყობინებით. მის (განმცხადებლის) დაბადების მოწმობაში და მოქალაქეობრივი მდგომარეობის სააქტო ჩანაწერში დაშვებული შეცდომის გასწორება აუცილებელია სამემკვიდრეო უფლებების გასაფორმებლად და სამკვიდრო მოწმობის მისაღებად, ვინაიდან გ.მ-იანი 2006 წლის 23 ივლისს გარდაიცვალა. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ მოქალაქეობრივი მდგომარეობის სააქტო ჩანაწერში შესწორებების შეტანის შესახებ განცხადებით სასამართლოსთვის მიმართვის შესახებ საკითხის გადასაწყვეტად მას ესაჭიროება ნათესაური კავშირის ფაქტის დადგენა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებელმა მოითხოვა ნათესაური კავშირის ფაქტის დადგენა იმისა, რომ 1922 წლის 1 მარტს დაბადებული გ. მ.-ს ძე მ-იანი არის ა. გ.-ს ასულ ი-ევას მამა.

რუსეთის ფედერაციის როსტოვის ოლქის ... საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 31 მარტის გადაწყვეტილებით ა. ი-ევას განცხადება ნათესაური კავშირის ფაქტის დადგენის თაობაზე დაკმაყოფილდა -დადგინდა, რომ 1922 წლის 1 თებერვალს ქ.ბათუმში დაბადებული გ. მ.-ს ძე მ-იანი, არის 1957 წლის 15 სექტემბერს ქ. როსტოვის ოლქის ქ. ... დაბადებული ა. გ.-ს ასულ ი-ევას მამა.

რუსეთის ფედერაციის როსტოვის ოლქის ... საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2009 წლის 11 აპრილს.

ა. ი-ევას წარმომადგენელმა მ. ვ-ძემ განცხადებით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს რუსეთის ფედერაციის როსტოვის ოლქის ... საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 31 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 12 ნოემბრის განჩინებით ა. ი-ევას წარმომადგენლის -მ. ვ-ძის შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის როსტოვის ოლქის ... საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 31 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა შუამდგომლობა და თვლის, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

განსახილველ შემთხვევაში განმცხადებელი ითხოვს რუსეთის ფედერაციის როსტოვის ოლქის ... საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 31 მარტის გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებას. უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება კი ხდება იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ურთიერთობა. საერთაშორისო კერძო სამარ-

თლებრივ ურთიერთობასთან არსებობს მაშინ, როდესაც: ა) ასეთი ურთიერთობის ერთ-ერთი მონაწილე უცხო ქვეყნის მოქალაქე ან იურიდიული პირია; ბ) ასეთი ურთიერთობის ობიექტი არის ნივთი, რომელიც უცხოეთში იმყოფება; გ) იურიდიულ ფაქტს, რომელიც იწვევს სამოქალაქო ურთიერთობის წარმოშობას, შეცვლას ან შეწყვეტას ადგილი ჰქონდა უცხოეთში.

ამრიგად, იმისათვის, რომ მოხდეს უცხო სახლმწიფოს გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება, აუცილებელია არსებობდეს ზემოთ აღნიშნული პირობები და, ამასთან, ეს ურთიერთობა უნდა იყოს სამოქალაქო სამართლებრივი.

საერთაშორისო კერძო სამართალი მოიცავს ნორმებს, რომელთა მეშვეობითაც შეიძლება განისაზღვროს, თუ რომელი ქვეყნის სამართალი გამოიყენება საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად. მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს მიერ დადგენილია იურიდიული ფაქტი ისე, რომ გამოკვეთილი საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა და მითითებული იმ ნიშნებზე, რის საფუძველზეც განსახილველი საკითხი შეიძლება მივიჩნიოთ საერთაშორისო სამართლებრივად. გადაწყვეტილებაში არ არის მითითებული ნათესაური კავშირის მქონე პირთა მოქალაქეობაზე, გ.მ-იანის გარდაცვალების ადგილსა და სხვა საკითხებზე, რომლებიც გამორიცხავს საქართველოს განსაკუთრებულ კომპეტენციას ამ საკითხთან მიმართებით, ან პირიქით საქმის განხილველი სასამართლოს კომპეტენციას საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ანუ არ არის მითითებული იმ გარემოებებზე, რომლებიც გამორიცხავს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტების არსებობას.

აღნიშნული ნორმის თანახმად, საქართველო არ ცნობს უცხო ქვეყნის გადაწყვეტილებას, თუ საქმე საქართველოს განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება, ან უცხო ქვეყნის სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება, კომპეტენტურად არ ითვლება. სასამართლოში წარმოდგენილი გადაწყვეტილებიდან კი შეუძლებელია მსჯელობა იმაზე, იყო თუ არა კომპეტენტური რუსეთის ფედერაციის როსტოვის ოლქის ... საქალაქო სასამართლო, მიეღო ასეთი გადაწყვეტილება. უფრო მეტიც, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა საერთოდ გაუგებარია, განეკუთვნება თუ არა მოცემული ურთიერთობა საერთაშორისო კერძო სამართლებრივს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ შეუძლებელია, დაკმაყოფილდეს განმცხადებლის მოთხოვნა უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობის თაობაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 69-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ა. ი-ევას წარმომადგენლის -მ. ვ-ძის შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის როსტოვის ოლქის ... საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 31 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **გადაწყვეტილებაში უსწორობათა და აშკარა არითმეტიკული შეცდომების გასწორება**

### **განჩინება**

#ა-1183-შ-40-09

25 იანვარი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),  
თ. თოდრია (მომხსენებელი),  
რ. ნადირიანი

საქმის ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა კ. ა-ავას წარმომადგენლის -ლ. ა-ავას განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ივლისის #ა-1183-შ-40-09 განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ივლისის განჩინებით კ. ა-ავას წარმომადგენელ ლ. ა-ავას შუამდგომლობა დაკმაყოფილდა -ცნობილ იქნა და დაექვემდებარა აღსრულებას საქართველოს ტერიტორიაზე საფრანგეთის რესპუბლიკის ქ. ბელეს (ლ,ენი) უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილება, რომლითაც დაკმაყოფილდა საფრანგეთის მოქალაქის -ე. ა. ბ-ის განცხადება (მცხოვრების საფრანგეთში) კ. ა-ავას შვილად აყვანასთან დაკავშირებით. სასამართლო გადაწყვეტილებით, ქ. თბილისში მცხოვრები კ. ა-ავა აღიარებულ იქნა საფრანგეთის მოქალაქის -ე. ა. ბ-ის შვილად; კ. ა-ავამ მიიღო გვარი და სახელი -კ. ბ.-ა-ავა.

კ. ა-ავას წარმომადგენელმა ლ. ა-ავამ განცხადებით მიმართა საკასაციო პალატას და მიუთითა, რომ თარჯიმანმა საფრანგეთის რესპუბლიკის ქ.ბელეს უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილების გადათარგმნის დროს დაუშვა მექანიკური შეცდომა სახელის თარგმანში, კერძოდ, სიტყვა "კ-ის" ნაცვლად მიუთითა სიტყვა "კ-". განმცხადებელმა მოითხოვა საკასაციო პალატის 2009 წლის 23 ივლისის #ა-1183-შ-40-09 განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორება იმგვარად, რომ სიტყვა "კ-" შეიცვალოს "კ-ით".

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა კ. ა-ავას წარმომადგენლის -ლ. ა-ავას განცხადების შინაარსის გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ იგი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი, ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები. თუ სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შესწორებათა შეტანის საკითხი შეიძლება გადაწყდეს სასამართლო სხდომაზე.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო პალატამ მიზანშეწონილად არ მიიჩნია საკასაციო პალატის განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების საკითხის გადაწყვეტა სასამართლო სხდომაზე.

ზემოაღნიშნული ნორმის თანახმად, პალატა თვლის, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ივლისის #ა-1183-შ-40-09 განჩინებაში დაშვებულია უსწორობა, კერძოდ, განჩინების აღწერილობით, სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილებში სიტყვა "კ-" უნდა შეიცვალოს სიტყვით - "კ-".

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე, 284-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

კ. ა-ავას წარმომადგენლის -ლ. ა-ავას განცხადება დაკმაყოფილდეს;

გასწორდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ივლისის #ას-1183-შ-40-09 განჩინებაში დაშვებული უსწორობა. განჩინების აღწერილობით, სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილებში სიტყვა "კ-" შეიცვალოს სიტყვით - "კ-".

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.



## უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება

### განჩინება

#ა-2624-შ-87-09 25 იანვარი, 2010 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი

განხილვის საგანი: გერმანიის პანკოვ/ვაისენზეეს რაიონული სასამართლოს საოჯახო საქმეთა განყოფილების 2009 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილების (საქმე # 23ა F 1924/09) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

აღწერილობითი ნაწილი:

გერმანიის პანკოვ/ვაისენზეეს რაიონული სასამართლოს საოჯახო საქმეთა განყოფილების 2009 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილებით (საქმე # 23ა F 1924/09) საქართველოში, ქ. თბილისში 2005 წლის 23 აპრილს მხარეთა შორის რეგისტრირებული ქორწინება გაუქმდა; თითოეულ მხარეს დაეკისრა სასამართლოსგარეშე ხარჯის, აგრეთვე, სასამართლო ხარჯის ნახევრის გადახდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს შუამდგომლობით მომართა თ. ქ-ურმა (წარმომადგენელი გ. მ-შვილი), რომელმაც მოითხოვა განქორწინების ნაწილში ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 2 დეკემბრის განჩინებით, თ. ქ-ურის (წარმომადგენელი გ. მ-შვილი) შუამდგომლობა გერმანიის პანკოვ/ვაისენზეეს რაიონული სასამართლოს საოჯახო საქმეთა განყოფილების 2009 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში; შუამდგომლობისა და თანდართული მასალების ასლები გაეგზავნა მოპასუხეს მისი ადგილსამყოფელის მიხედვით.

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ თ. ქ-ურის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

“საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, თუკი არ არსებობს ამავე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებანი, როგორცაა: ა) საქმე საქართველოს განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება; ბ) გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, მხარე უწყების ჩაბარების გზით არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოძახების თაობაზე ან მოხდა სხვა საპროცესო დარღვევები; გ) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე სამართლებრივ დავაზე არსებობს საქართველოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან მესამე ქვეყნის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც ცნობილ იქნა საქართველოში; დ) უცხო ქვეყნის სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპეტენტურად არ ითვლება; ე) უცხო ქვეყანა არ ცნობს საქართველოს სასამართლო გადაწყვეტილებებს; ვ) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე საკითხზე და ერთი და იმავე საფუძვლით საქართველოში მიმდინარეობს სასამართლო პროცესი; ზ) გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მითითებული მუხლის მე-2 პუნქტის “გ” და “ვ” ქვეპუნქტებთან დაკავშირებით მტკიცების ტვირთი ეკისრება მოპასუხეს, ხოლო ამ უკანასკნელის მიერ მსგავსი გარემოებების დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენილი არ ყოფილა. ამასთან, არ არსებობს “ა,” “ბ,” “დ,” “ე” და “ზ” ქვეპუნქტებში მითითებულ გარემოებებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობს ყველა საფუძველი, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ ცნოს გერმანიის პანკოვ/ვაისენზეეს რაიონული სასამართლოს საოჯახო საქმეთა განყოფილების 2009 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილება (საქმე # 23ა F 1924/09) იმ ნაწილში, რომელიც შეეხება მხარეთა შორის რეგისტრირებული ქორწინების შეწყვეტას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, 70-ე-71-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. თ. ქ-ურის (წარმომადგენელი გ. მ-შვილი) შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;
2. გერმანიის პანკოვ/ვაისენზეეს რაიონული სასამართლოს საოჯახო საქმეთა განყოფილების 2009 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილება (საქმე # 23ა F 1924/09) იმ ნაწილში, რომლითაც საქართველოში, ქ. თბილისში 2005 წლის 23 აპრილს მხარეთა შორის რეგისტრირებული ქორწინება გაუქმდა, საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს და დაექვემდებაროს აღსრულებას;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება**

**განჩინება**

#ა-1642-შ-48-09

4 თებერვალი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
რ. ნადირიანი,  
თ. თოდრია

საქმის ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა საპოლიციო კომპანია "ა-ის" ღია სააქციო საზოგადოების ფორმის გენერალური დირექტორის ს. ვ. ს-ოვის შუამდგომლობა უკრაინის სავაჭრო სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს 2009 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, საპოლიციო კომპანია ღია სააქციო საზოგადოების ფორმით "ა-ის" სარჩელის გამო, მოპასუხე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ტ-ს" მიმართ, თანხის გადახდევინების თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

საპოლიციო კომპანია ღია სააქციო საზოგადოების ფორმით "ა-მა" სასარჩელო განცხადებით მიმართა უკრაინის სავაჭრო სამრეწველო პალატასთან არსებულ საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს მოპასუხის მიმართ თანხის გადახდევინების თაობაზე და განაცხადა, რომ 2006 წლის 7 დეკემბერს მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად, მოპასუხეს მიაწოდა 441350 აშშ დოლარის ღირებულების "კ-ის" ავტომობილები "კ". მოპასუხემ საქონელი მიიღო, მაგრამ მათი ღირებულება არ გადაუხდია. მოსარჩელემ მოითხოვა ავტომობილების ღირებულების გადახდა, ასევე 3 % წლიური დარიცხული სახსრების გამოყენებისათვის (30.09.2008 წ. მდგომარეობით) 3067.98 აშშ დოლარისა და ინფლაციური დანაკლისების გადახდა 1488 აშშ დოლარის ოდენობით.

უკრაინის სავაჭრო სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს 2009 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილებით შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ტ-ს" დაეკისრა დაუყოვნებლივ გადაწყვეტილების მიღებისთანავე გადაუხადოს საპოლიციო კომპანია ღია სააქციო საზოგადოების ფორმით "ა-ს" 441350 აშშ დოლარი საქონლის ღირებულება, 3% წლიური, ჯამში -3067.98 აშშ დოლარი და 14071.53 აშშ დოლარი საარბიტრაჟო გადასახადის ხარჯების ასანაზღაურებლად. სარჩელის დანარჩენ ნაწილში მოსარჩელეს უარი ეთქვა.

საპოლიციო კომპანია ღია სააქციო საზოგადოების ფორმით "ა-ის" გენერალურმა დირექტორმა ს. ვ. ს-ოვმა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს უკრაინის სავაჭრო სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს 2009 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ

სამოტივაციო ნაწილი:

პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

უკრაინის სავაჭრო სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს 2009 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილებით შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ტ-ს" დაეკისრა დაუყოვნებლივ გადაწყვეტილების მიღებისთანავე გადაუხადოს საპოლიციო კომპანია ღია სააქციო საზოგადოების ფორმით "ა-ს" 441350 აშშ დოლარი საქონლის ღირებულება,

3% წლიური, ჯამში -3067.98 აშშ დოლარი და 14071.53 აშშ დოლარი საარბიტრაჟო გადასახადის ხარჯების ასანაზღაურებლად. სარჩელის დანარჩენ ნაწილში მოსარჩელეს უარი ეთქვა.

"საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 68-ე-69-ე მუხლების თანახმად, არსებობს ყველა საფუძველი, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ ცნოს უკრაინის სავაჭრო სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს 2009 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება, რადგან დაცულია აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული მოთხოვნები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა "საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 68-ე-69-ე მუხლებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 285-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

საპოლდინგო კომპანია ღია სააქციო საზოგადოების ფორმით "ა-ის" გენერალური დირექტორის ს. ვ. ს-ოვის შუამდგომლობა უკრაინის სავაჭრო სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს 2009 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს:

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ტ-ს" დაეკისრა დაუყოვნებლივ გადაწყვეტილების მიღებისთანავე გადაუხადოს საპოლდინგო კომპანია ღია სააქციო საზოგადოების ფორმით "ა-ს" 441350 აშშ დოლარი საქონლის ღირებულება, 3% წლიური, ჯამში -3067.98 აშშ დოლარი და 14071.53 აშშ დოლარი საარბიტრაჟო გადასახადის ხარჯების ასანაზღაურებლად. სარჩელის დანარჩენ ნაწილში მოსარჩელეს უარი ეთქვა. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს და დაექვემდებაროს აღსრულებას.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

### განჩინება

# ა-126-შ-3-2010

18 თებერვალი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),  
თ. თოდრია (მომხსენებელი),  
ლ. ლაზარაშვილი

საქმის ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა ნ. გ-შვილის წარმომადგენლის -ც. შ-ძის შუამდგომლობა გერმანიის ქ. ნოისის პირველი ინსტანციის საოჯახო სასამართლოს 2009 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ ა. შ-გის მიმართ განქორწინების თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

2002 წლის 23 დეკემბერს გერმანიის ქ. ნოისის მმჩის ბიურომ საქორწინო აქტების ჩანაწერით რეგისტრაციაში გაატარა გერმანიის მოქალაქე ა. შ-გი და საქართველოს მოქალაქე ნ. გ-შვილის ქორწინება (ქორწინების მოწმობა #735 ა/2002). ნ. გ-შვილმა განცხადებით მიმართა სასამართლოს ა. შ-გის მიმართ და მოითხოვა მეუღლესთან განქორწინება.

გერმანიის ქ. ნოისის პირველი ინსტანციის საოჯახო სასამართლოს 2009 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა. ა. შ-გი და ნ. გ-შვილი განქორწინდნენ.

აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2009 წლის 9 ივნისიდან.

ნ. გ-შვილის წარმომადგენელმა ც. შ-ძემ შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს გერმანიის ქ. ნოისის პირველი ინსტანციის საოჯახო სასამართლოს 2009 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 1 თებერვლის განჩინებით ნ. გ-შვილის წარმომადგენლის ც. შ-ძის შუამდგომლობა გერმანიის ქ. ნოისის პირვე-

ლი ინსტანციის საოჯახო სასამართლოს 2009 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ ა. შ-გის მიმართ განქორწინების თაობაზე, მიღებული იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ნ. გ-შვილის წარმომადგენლის ც. შ-ძის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2002 წლის 23 დეკემბერს გერმანიის ქ. ნოისის მმჩის ბიურომ საქორწინო აქტების ჩანაწერით რეგისტრაციაში გაატარა გერმანიის მოქალაქე ა. შ-გი და საქართველოს მოქალაქე ნ. გ-შვილის ქორწინება (ქორწინების მოწმობა #735 ა/2002). ნ. გ-შვილმა განცხადებით მიმართა სასამართლოს ა. შ-გის მიმართ და მოითხოვა მეუღლესთან განქორწინება.

გერმანიის ქ. ნოისის პირველი ინსტანციის საოჯახო სასამართლოს 2009 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა. ა. შ-გი და ნ. გ-შვილი განქორწინდნენ.

აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2009 წლის 9 ივნისიდან.

ნ. გ-შვილის წარმომადგენელმა ც. შ-ძემ შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს გერმანიის ქ. ნოისის პირველი ინსტანციის საოჯახო სასამართლოს 2009 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 1 თებერვლის განჩინებით ნ. გ-შვილის წარმომადგენლის ც. შ-ძის შუამდგომლობა, გერმანიის ქ. ნოისის პირველი ინსტანციის საოჯახო სასამართლოს 2009 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ ა. შ-გის მიმართ განქორწინების თაობაზე, მიღებული იქნა წარმოებაში.

“საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” კანონის 68-ე-69-ე მუხლების თანახმად, არსებობს ყველა საფუძველი, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ ცნოს გერმანიის ქ. ნოისის პირველი ინსტანციის საოჯახო სასამართლოს 2009 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” კანონის 68-ე-69-ე მუხლებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ნ. გ-შვილის წარმომადგენლის ც. შ-ძის შუამდგომლობა გერმანიის ქ. ნოისის პირველი ინსტანციის საოჯახო სასამართლოს 2009 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, ა. შ-გის მიმართ განქორწინების თაობაზე დაკმაყოფილდეს;

გერმანიის ქ. ნოისის პირველი ინსტანციის საოჯახო სასამართლოს 2009 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება, რომლითაც ნ. გ-შვილი და ა. შ-გი განქორწინდნენ, ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე და დაექვემდებაროს აღსრულებას;

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება**

**განჩინება**

# ა-2668-შ-88-09

18 თებერვალი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ნ. მ-სკისა (წარმომადგენელი ვ. ო-ინა) და უკრაინის ჟიტომირის ოლქის ნოვოგრად-ვოლინსკის რაიონული სასამართლოს მოსამართლის ნ.ს-ეცის

შუამდგომლობები უკრაინის ჟიტომირის ოლქის ნოვოგრადა-ვოლინსკის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, ნ. მ-სკის სარჩელის გამო მოპასუხე თ. ა-ძის მიმართ ალიმენტის დაკისრების თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ნ. მ-სკიმ სარჩელით მიმართა სასამართლოს თ. ა-ძის მიმართ ალიმენტის დაკისრების თაობაზე. დადგენილია, რომ ნ. მ-სკი 1992 წლის თებერვლიდან მოპასუხესთან იმყოფებოდა რეგისტრირებულ ქორწინებაში. ერთად ცხოვრების პერიოდში -1994 წლის 18 ნოემბერს შეეძინათ შვილი. ბავშვი იმყოფება ნ. მ-სკის კმაყოფაზე. იმის გამო, რომ თ. ა-ძე ბავშვს არანაირ დახმარებას უწევს, მოსარჩელემ მოითხოვა შვილის -ბავშვის სარჩოდ ალიმენტის დაკისრება 4000 გრინვის ოდენობით ყოველთვიურად ბავშვის სრულწლოვანებამდე.

უკრაინის ჟიტომირის ოლქის ნოვოგრადა-ვოლინსკის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილებით ნ. მ-სკის სარჩელი დაკმაყოფილდა -თ. ა-ძეს ნ. მ-სკის სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტის გადახდა შვილის სარჩოდ 400 გრინვის ოდენობით, ყოველთვიურად; ალიმენტის გადახდა დაეწყო 2008 წლის 5 აგვისტოდან ბავშვის სრულწლოვანებამდე.

თ. ა-ძეს ასევე დაეკისრა სახელმწიფოს სასარგებლოდ სასამართლოს მოსაკრებლის -51 გრინვის, საინფორმაციო-ტექნიკური უზრუნველყოფის ხარჯის -30 გრინვის გადახდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2009 წლის 12 აგვისტოს.

ნ. მ-სკიმ და უკრაინის ჟიტომირის ოლქის ნოვოგრადა-ვოლინსკის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ნ.ს-ეციმ შუამდგომლობებით მიმართეს საქართველოს უზენაეს სასამართლოს უკრაინის ჟიტომირის ოლქის ნოვოგრადა-ვოლინსკის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

ნ. მ-სკიმ (წარმომადგენელი ვ. ო-ინა) და უკრაინის ჟიტომირის ოლქის ნოვოგრადა-ვოლინსკის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ნ.ს-ეცმა შუამდგომლობებით მიმართეს საქართველოს უზენაეს სასამართლოს უკრაინის ჟიტომირის ოლქის ნოვოგრადა-ვოლინსკის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

შუამდგომლობები და თანდართული მასალების ასლები გაეგზავნა მოპასუხე თ. ა-ძეს. მას განემარტა, რომ ამ განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის განმავლობაში აქვს თავისი აზრის წერილობითი გამოხატვის უფლება; შეუძლია მოითხოვოს საქმის ზეპირი განხილვა, ხოლო თუ იგი ამას არ მოითხოვს, საქმე განხილვება ზეპირი მოსმენის გარეშე. საკასაციო პალატაში მიღებული შეტყობინებით ცნობილია, რომ შეკვეთილი წერილი ადრესატს ჩაჰბარდა 2010 წის 1 თებერვალს.

თ. ა-ძეს რაიმე შუამდგომლობით საკასაციო პალატისათვის არ მიუმართავს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ნ. მ-სკისა (წარმომადგენელი ვ. ო-ინა) და უკრაინის ჟიტომირის ოლქის ნოვოგრადა-ვოლინსკის რაიონული სასამართლოს მოსამართლის ნ.ს-ეცის შუამდგომლობები უკრაინის ჟიტომირის ოლქის ნოვოგრადა-ვოლინსკის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილების შუამდგომლობები უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ნ. მ-სკიმ სარჩელით მიმართა სასამართლოს თ. ა-ძის მიმართ ალიმენტის დაკისრების თაობაზე. დადგენილია, რომ ნ. მ-სკი 1992 წლის თებერვლიდან მოპასუხესთან იმყოფებოდა რეგისტრირებულ ქორწინებაში; ერთად ცხოვრების პერიოდში შეეძინათ შვილი; ბავშვი იმყოფება ნ. მ-სკის კმაყოფაზე; იმის გამო, რომ თ. ა-ძე ბავშვს არანაირ დახმარებას უწევს, მოსარჩელემ მოითხოვა შვილის -თ. ა-ძის სარჩოდ ალიმენტის დაკისრება 4000 გრინვის ოდენობით ყოველთვიურად ბავშვის სრულწლოვანებამდე.

უკრაინის ჟიტომირის ოლქის ნოვოგრადა-ვოლინსკის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილებით ნ. მ-სკის სარჩელი დაკმაყოფილდა -თ. ა-ძეს ნ. მ-სკის სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტის გადახდა შვილის ა-ძის სარჩოდ 400 გრინვის ოდენობით, ყოველთვიურად, ალიმენტის გადახდა დაეწყო 2008 წლის 5 აგვისტოდან ბავშვის სრულწლოვანებამდე.

თ. ა-ძეს ასევე დაეკისრა სახელმწიფოს სასარგებლოდ სასამართლოს მოსაკრებლის -51 გრინვის, საინფორმაციო-ტექნიკური უზრუნველყოფის ხარჯის -30 გრინვის გადახდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2009 წლის 12 აგვისტოს.

ნ. მ-სკიმ და უკრაინის ჟიტომირის ოლქის ნოვოგრადა-ვოლინსკის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ნ.ს-ეციმ შუამდგომლობებით მიმართეს საქართველოს უზენაეს სასამართლოს უკრაინის ჟიტომირის ოლქის ნოვოგრადა-ვოლინსკის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

“საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-69-ე მუხლებისა და “სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ” 1993 წლის მინსკის კონვენციის თანახმად, არსებობს ყველა საფუძველი, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ ცნოს უკრაინის ჟიტომირის ოლქის ნოვოგრად-ვოლინსკის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-69-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით, “სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ” 1993 წლის მინსკის კონვენციით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ნ. მ-სკისა და უკრაინის ჟიტომირის ოლქის ნოვოგრად-ვოლინსკის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ნ. ს-ეცის შუამდგომლობები უკრაინის ჟიტომირის ოლქის ნოვოგრად-ვოლინსკის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს;

უკრაინის ჟიტომირის ოლქის ნოვოგრად-ვოლინსკის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება, რომლითაც თ. ა-მეს ნ. მ-სკის სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტის გადახდა შვილის სარჩოდ 400 გრინვის ოდენობით, ყოველთვიურად, 2008 წლის 5 აგვისტოდან ბავშვის სრულწლოვანებამდე, აგრეთვე, დაეკისრა სახელმწიფოს სასარგებლოდ სასამართლოს მოსაკრებლის -51 გრინვის, საინფორმაციო-ტექნიკური უზრუნველყოფის ხარჯის -30 გრინვის გადახდა, საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს და დაექვემდებაროს აღსრულებას.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება**

### **განჩინება**

#ა-49-შ-2-2010 22 თებერვალი, 2010 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),  
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი

განხილვის საგანი: ამერიკის შეერთებული შტატების ჯორჯიის შტატის ლოუნდისის პირველი ინსტანციის მთავარი სასამართლოს 2007 წლის 14 სექტემბრის საბოლოო ბრძანების (საქმე #2007-BVD-1378) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

აღწერილობითი ნაწილი:

ამერიკის შეერთებული შტატების ჯორჯიის შტატის ლოუნდისის პირველი ინსტანციის მთავარი სასამართლოს 2007 წლის 14 სექტემბრის საბოლოო ბრძანებით სახელი “ხ. ხ-ავა გ.” შეიცვალა სახელით - “კ. ხ-ავა”.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ საქართველოს უზენაეს სასამართლოს შესაბამისი შუამდგომლობით მიმართა ხ. ხ-ავამ (წარმომადგენელი ა. ჯ-აია).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 12 თებერვლის განჩინებით ხ. ხ-ავას შუამდგომლობა ამერიკის შეერთებული შტატების ჯორჯიის შტატის ლოუნდისის პირველი ინსტანციის მთავარი სასამართლოს 2007 წლის 14 სექტემბრის საბოლოო ბრძანების (საქმე #2007-BVD-1378) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ ხ. ხ-ავას შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ჯორჯიის შტატის ლოუნდისის პირველი ინსტანციის მთავარი სასამართლოს 2007 წლის 14 სექტემბრის საბოლოო ბრძანებით სახელი "ხ. ხ-ავა გ." შეიცვალა სახელით "კ. ხ-ავა."

"საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 68-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, თუკი არ არსებობს ამავე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებანი. საქმის მასალების თანახმად, აღნიშნული გარემოებების არსებობა საქმეზე არ დასტურდება, რის გამოც არსებობს ყველა საფუძველი, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ ცნოს ამერიკის შეერთებული შტატების ჯორჯიის შტატის ლოუნდისის პირველი ინსტანციის მთავარი სასამართლოს 2007 წლის 14 სექტემბრის საბოლოო ბრძანება (საქმე #2007-ჩVD-1378)

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა "საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 68-ე, 70-ე-71-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. ხ. ხ-ავას (წარმომადგენელი ა. ჯ-აია) შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;
2. ამერიკის შეერთებული შტატების ჯორჯიის შტატის ლოუნდისის პირველი ინსტანციის მთავარი სასამართლოს 2007 წლის 14 სექტემბრის საბოლოო ბრძანება (საქმე #2007-ჩVD-1378), რომლითაც სახელი "ხ. ხ-ავა გ." შეიცვალა სახელით - "კ. ხ-ავა", საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს და დაექვემდებაროს აღსრულებას;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

# ა-2743-შ-89-09

25 თებერვალი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),  
რ. ნადირიანი (მომხსენებელი),  
თ. თოდრია

საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ჟ. რ-ევას შუამდგომლობა ბელორუსის რესპუბლიკის ბრესტის ოლქის ლუნინეცკის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 30 ნოემბრის განჩინების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ რ. რ-ევას მიმართ ალიმენტის დაკისრების თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ბელორუსის რესპუბლიკის ბრესტის ოლქის ლუნინეცკის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 30 ნოემბრის განჩინებით რ. რ-ევას დაეკისრა ჟ. რ-ევას სასარგებლოდ არასრულწლოვანი შვილის სარჩენად ყოველთვიურად ალიმენტი ყველა სახის შემოსავლის 25%-ის გადახდა 2006 წლის 28 ნოემბრიდან ბავშვის სრულწლოვანებამდე. მას აგრეთვე დაეკისრა ადგილობრივი ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის სახით 75 990 რუბლისა და სასამართლო ხარჯების გადახდა 1560 რუბლის ოდენობით. აღნიშნული განჩინება კანონიერ ძალაში შევიდა 2006 წლის 12 დეკემბერს და ბელორუსის რესპუბლიკის ტერიტორიაზე აღსრულდა სახელმწიფო ბაჟისა და სასამართლო ხარჯების დაკისრების ნაწილში, ხოლო ალიმენტის დაკისრების ნაწილში არ აღსრულებულა.

ჟ. რ-ევამ შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს ბელორუსის რესპუბლიკის ბრესტის ოლქის ლუნინეცკის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 30 ნოემბრის განჩინების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ ალიმენტის დაკისრების ნაწილში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 30 დეკემბრის განჩინებით ჟ. რ-ევას შუამდგომლობა ბელორუსის რესპუბლიკის

ბრესტის ოლქის ლუნინეცკის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 30 ნოემბრის განჩინების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ჟ. რ-ევას შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ ბელორუსის რესპუბლიკის ბრესტის ოლქის ლუნინეცკის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 30 ნოემბრის განჩინებით რ. რ-ევს დაეკისრა ჟ. რ-ევას სასარგებლოდ არასრულწლოვანი შვილის სარჩენად ყოველთვიურად ალიმენტი -ყველა სახის შემოსავლის 25%-ის გადახდა 2006 წლის 28 ნოემბრიდან ბავშვის სრულწლოვანებამდე. აგრეთვე, მას დაეკისრა ადგილობრივი ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის სახით 75 990 რუბლისა და სასამართლო ხარჯების გადახდა 1560 რუბლის ოდენობით. აღნიშნული განჩინება კანონიერ ძალაში შევიდა 2006 წლის 12 დეკემბერს და ბელორუსის რესპუბლიკის ტერიტორიაზე აღსრულდა სახელმწიფო ბაჟისა და სასამართლო ხარჯების დაკისრების ნაწილში, ხოლო ალიმენტის დაკისრების ნაწილში არ აღსრულებულა.

"საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 68-69-ე მუხლების თანახმად, არსებობს ყველა საფუძველი, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და ვაჭრობის საქმეთა პალატამ ცნოს ბელორუსის რესპუბლიკის ბრესტის ოლქის ლუნინეცკის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 30 ნოემბრის განჩინება ალიმენტის დაკისრების ნაწილში.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა "საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 68-ე-69-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით, "სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ" 1993 წლის მინსკის კონვენციით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ჟ. რ-ევას შუამდგომლობა ბელორუსის რესპუბლიკის ბრესტის ოლქის ლუნინეცკის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 30 ნოემბრის განჩინების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს.

ბელორუსის რესპუბლიკის ბრესტის ოლქის ლუნინეცკის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 30 ნოემბრის განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც რ. რ-ევს დაეკისრა ჟ. რ-ევას სასარგებლოდ არასრულწლოვანი შვილის სარჩენად ყოველთვიურად ალიმენტი -ყველა სახის შემოსავლის 25%-ის გადახდა 2006 წლის 28 ნოემბრიდან ბავშვის სრულწლოვანებამდე, ცნობილ იქნეს და დაექვემდებაროს აღსრულებას.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

#ა-299-შ-4-2010

1 მარტი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. ლაზარაშვილი,  
თ. თოდრია

გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობას მხარე მოითხოვს: რუსეთის ფედერაციის ქ. მოსკოვის პრესნენკის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილება

აღწერილობითი ნაწილი:



დ. ს-შიღლიმა სარჩელი აღძრა სასამართლოში ნ. ს-აიასა და მესამე პირების -ქ. მოსკოვის ნოტარიუს ვ. ი. ე-ოვის, ა. შ-შიღლის, ვ. ი. მ-ინას მიმართ ქ. თბილისის ნოტარიუს ა. შ-შიღლის მიერ 2003 წლის 31 ოქტომბერს დამოწმებული ზ. ი. ს-შიღლის ანდერძის ბათილად ცნობისა და ქ. მოსკოვში, . . . . შესახვევში მდებარე არასაცხოვრებელი ფართის 2/7-ის, ასევე, "იმპექსბანკში" ანაბარზე არსებულ თანხაზე საკუთრების აღიარების შესახებ.

ქ. მოსკოვის პრესნენსკის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილებით დ. ს-შიღლის სარჩელი ნ. ს-აიას მიმართ ანდერძის ბათილად ცნობისა და სამკვიდროს მიღებისათვის დადგენილი წესით არასაცხოვრებელი ფართისა და ფულადი ანაბრის მესაკუთრედ აღიარების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა ნ. ს-აიამ და მოითხოვა დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი სასამართლო გადაწყვეტილებით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობას მხარე მოითხოვს, კანონიერ ძალაში შევიდა 2008 წლის 22 აპრილს. ამავე გადაწყვეტილებით ირკვევა, რომ მხარეები სასამართლო სხდომის დროისა და ადგილის თაობაზე ინფორმირებულ იყვნენ. ამასთან, მოსარჩელე და მოპასუხე სხდომაზე მონაწილეობას იღებდნენ წარმომადგენლების მეშვეობით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 15 თებერვლის განჩინებით ნ. ს-აიას შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში.

დ. ს-შიღლიმა განცხადებით მიმართა სასამართლოს, იშუამდგომლა საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის თაობაზე, ასევე, მოითხოვა განსახილველი შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით: რუსეთის ფედერაციის ფედერალური სამსახურის სპეციალური და კრიმინალური სამმართველოს მიერ 2006 წლის 27 ივლისის ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნით დადგინდა, რომ სადავო ანდერძზე არსებული ზ. ს-შიღლის ხელმოწერა შესრულებულია კონტურზე შემოხაზვით, რის გამოც იგი ინდენტიფიკაციისათვის უვარგისია, ნ. ს-აიას მიერ წარდგენილი ანდერძის მეორე ეგზემპლარი ასევე არ აღმოჩნდა ხელმოწერის ნამდვილობის დასადგენად სათანადოდ, ამასთან, თავად ანდერძშივე მითითებულია, რომ იგი შედგენილია ორ ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი გადაეცა ზ. ს-შიღლს, ხოლო მეორე -სანოტარო ბიუროს. ჩატარებული ექსპერტიზა ცხადყოფს, რომ ანდერძის ორივე ეგზემპლარი შესრულებულია სხვადასხვა ფერის კალმით.

ანდერძის გაყალბების ფაქტზე ქ. თბილისის ისანი-სამგორის სამმართველოს დეტექტივების განყოფილებაში აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და დ. ს-შიღლი ცნობილია დაზარალებულად. ამასთან, გამოძიებამ ვერ მოიპოვა ანდერძის მეორე ეგზემპლარი, რადგანაც სანოტარო არქივში დალუქული კონვერტი ცარიელი აღმოჩნდა, სარეგისტრაციო ჟურნალი დაკარგული, ხოლო კონვერტზე ზ. ს-შიღლის სახელით შესრულებული ხელმოწერა არ ეკუთვნის მის ავტორს. ანდერძის სიყალბის ფაქტი ასევე დასტურდება იმით, რომ მასში მითითებულია 2000 წლის 30 აგვისტოდან დაკარგულად გამოცხადებული საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა, ხოლო ანდერძის შედგენის დროისათვის მამკვიდრებელი რუსეთის მოქალაქე იყო. სამკვიდრო მასად მითითებული ქონებაც, რომელიც მამკვიდრებელს არ გააჩნდა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად თვლის, რომ დ. ს-შიღლის შუამდგომლობა საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ნ. ს-აიას შუამდგომლობა ქ. მოსკოვის პრესნენსკის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალების შესწავლით დასტურდება, რომ ქ. მოსკოვის პრესნენსკის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილებით დ. ს-შიღლის სარჩელი ნ. ს-აიას მიმართ ანდერძის ბათილად ცნობისა და სამკვიდროს მიღებისათვის დადგენილი წესით არასაცხოვრებელი ფართისა და ფულადი ანაბრის მესაკუთრედ აღიარების შესახებ არ დაკმაყოფილდა. საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა ნ. ს-აიამ და მოითხოვა აღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

"საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია ამავე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, ნ. ს-აიას შუამდგომლობა ქ. მოსკო-

ვის პრესნენსკის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

დ.ს-შვილმა განცხადებით მიმართა საკასაციო სასამართლოს და მოითხოვა საქმის ზეპირი მოსმენით განხილვა იმ საფუძველით, რომ ანდერძი, რომლის თაობაზეც მიღებულ იქნა ქ.მოსკოვის პრესნენსკის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილება, ყალბია. აღნიშნული გარემოების დასადასტურებლად მოწინააღმდეგე მხარემ მიუთითა მოცემულ ანდერძზე ჩატარებულ ექსპერტიზის დასკვნასა და ამ ფაქტზე აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ აღნიშნული გარემოებები ვერ გახდება ნ.ს-აიას შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი, რადგანაც უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილების საკითხის გადაწყვეტისას საკასაციო სასამართლო ხელმძღვანელობს "საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის დანაწესების შესაბამისად, რა დროსაც ამოწმებს შუამდგომლობის ავტორის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების დასახელებულ კანონთან და საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებთან ფორმალურ შესაბამისობას, ისე, რომ არ იკვლევს უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის საკითხს. ამდენად, დ.ს-შვილის მიერ მითითებული გარემოებები ქ.მოსკოვის პრესნენსკის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის საკითხის ზეპირი მოსმენით განხილვის, ასევე, მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი ვერ გახდება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ქ.მოსკოვის პრესნენსკის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნეს ცნობილი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა "საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ნ. ს-აიას შუამდგომლობა ქ.მოსკოვის პრესნენსკის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს.

ცნობილ იქნას საქართველოს ტერიტორიაზე ქ.მოსკოვის პრესნენსკის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილება ანდერძის ბათილად ცნობის, სამკვიდროს მიღებისათვის დადგენილი წესით არასაცხოვრებელი ფართისა და ფულადი ანაზრის მესაკუთრედ აღიარების თაობაზე დ. ს-შვილის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

#ა-2813-შ-90-09

22 მარტი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე),  
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),  
ლ. ლაზარაშვილი

გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებას მხარე მოითხოვს: უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატის საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2009 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება

დავის საგანი: ვალდებულების შეუსრულებლობის გამო თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატის საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2009 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილებით შპს "ს. ჯ-იას", როგორც ავიაკომპანია "ს.ე.ა-ის" კანონიერ მემკვიდრეს ღია აქციონერული საზოგადოება "ა. "დ-იას" სასარგებლოდ დაეკისრა სახმელეთო-სააეროპორტო მომსახურების ღირებულების -2026.34 აშშ დოლარისა და საარბიტრაჟო მოსაკრებლის -1800 აშშ დოლარის, სულ -3826.34 აშშ დოლარის გადახდა.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა ღია აქციონერული საზოგადოება "ა. "დ-იას" გენერალურმა დირექტორმა ს.ე.ტ-კომ და მოითხოვა დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი ცნობით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებას მხარე მოითხოვს, კანონიერ ძალაში შევიდა არბიტრის მიერ ხელმოწერის დღიდან -2009 წლის 30 ივნისიდან. ამავე ცნობით შპს "ს. ჯ-იას" ჩაჰბარდა საპრეტენზიო მასალები, რეგლამენტი, არბიტრთა სია. ასევე, ეცნობა საქმის განხილვის თარიღის, დროისა და ადგილის, სასამართლოს შემადგენლობისა და უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტის 2009 წლის 13 მაისის დადგენილება მოპასუხის ნაცვლად არბიტრის დანიშვნის შესახებ. წარმოდგენილი ცნობის თანახმად, საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილება ასევე გაეგზავნა მოპასუხეს, თუმცა მისი ადრესატისათვის ჩაბარების დროის თაობაზე შუამდგომლობის ავტორისათვის არ არის ცნობილი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 8 იანვრის განჩინებით ღია აქციონერული საზოგადოება "ა. "დ-იას" შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში.

შპს "ს. ჯ-იას" წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა სასამართლოს და იშუამდგომლა საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის თაობაზე შემდეგი საფუძვლებით: შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულებასაც ღია აქციონერული საზოგადოება "ა. "დ-ია" მოითხოვს უკანონოა, ვინაიდან იგი მიღებულია შპს "ს. ჯ-იას" დასწრების გარეშე, რითაც მხარეს არ მიეცა პოზიციის დაფიქსირების საშუალება. ამასთან, შუამდგომლობის ავტორთან მიმდინარეობს დავა თბილისის საქალაქო სასამართლოში. შპს "ს. ჯ-იას" დავალიანება "დ-იას" მიმართ არ გააჩნია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 15 მარტის განჩინებით შპს "ს. ჯ-იას" შუამდგომლობა საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის თაობაზე არ დაკმაყოფილდა დაუსაბუთებლობის გამო.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად თვლის, რომ ღია აქციონერული საზოგადოება "ა. "დ-იას" შუამდგომლობა უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატის საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2009 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალების შესწავლით დასტურდება, რომ უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატის საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2009 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილებით შპს "ს. ჯ-იას", როგორც ავიაკომპანია "ს.ე.ა-ის" კანონიერ მემკვიდრეს ღია აქციონერული საზოგადოება "ა. "დ-იას" სასარგებლოდ დაეკისრა სახმელეთო-სააეროპორტო მომსახურების ღირებულების -2026.34 აშშ დოლარისა და საარბიტრაჟო მოსაკრებლის -1800 აშშ დოლარის, სულ -3826.34 აშშ დოლარის გადახდა. საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა ღია აქციონერულმა საზოგადოება "ა. "დ-იამ" და მოითხოვა აღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ შპს "ს. ჯ-იას" შეკვეთილი გზავნილით #დD010918945UA გაეგზავნა და ჩაჰბარდა საპრეტენზიო მასალები, რეგლამენტი და არბიტრთა სია, #დD010244838UA გზავნილით -უწყება საქმის განხილვის თარიღის, დროისა და ადგილის შესახებ, საარბიტრაჟო სასამართლოს შემადგენლობის მითითებით, ასევე, ეცნობა მოპასუხე მხარის ნაცვლად არბიტრის დანიშვნის თაობაზე სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტის 2009 წლის 13 მაისის დადგენილების თაობაზე, ხოლო #დE0010340295 შეტყობინებით მოპასუხეს გაეგზავნა 2009 წლის 30 ივნისის მიღებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილება.

"საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია ამავე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს, ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატის საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2009 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნეს ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა "საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

ღია აქციონერული საზოგადოება "ა. "დ-იას" შუამდგომლობა უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატის საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2009 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს.

ცნობილ იქნას საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატის საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2009 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება თანხის -3826.34 აშშ დოლარის შპს "ს. ჯ-იასათვის" დაკისრების შესახებ.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

#ა-1985-შ-68-09

26 მარტი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),  
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი

განხილვის საგანი: დიდი ბრიტანეთის მართლმსაჯულების უმაღლესი სასამართლოს დედოფლის პალატის კომერციული სასამართლოს 2008 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

აღწერილობითი ნაწილი:

ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს 1999 წლის 24 აგვისტოს გადაწყვეტილებით პანამური კომპანია "პოლესტარ ჩომპანია მარიტიმა შ.ა.-ის" სასარგებლოდ საქართველოს სახელმწიფოს დაეკისრა: ვალის ძირითადი თანხა -1 575 961 აშშ დოლარი; 1996 წლის 18 აპრილიდან 1999 წლის 16 მარტამდე პერიოდის პროცენტი -277 120 აშშ დოლარი; ვალის ძირითადი თანხის პროცენტი 1999 წლის 17 მარტიდან სრულ დაფარვამდე, განაკვეთით -5,00625%, ყოველდღიურად 216,15 აშშ დოლარი; მოსარჩელის მიერ იურიდიულ მომსახურებაზე გაწეული ხარჯი -250 785,92 ფუნტი სტერლინგი; მართვის ხარჯები და დანახარჯები -81 570 აშშ დოლარი; საარბიტრაჟო ხარჯი -52 270,50 ფუნტი სტერლინგი.

დიდი ბრიტანეთის მართლმსაჯულების უმაღლესი სასამართლოს დედოფლის პალატის კომერციული სასამართლოს 2008 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილებით (გადაწყვეტილება #2005 FOLIO 600) დადასტურდა, რომ 1999 წლის 24 აგვისტოს, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების თანახმად, საქართველოს რესპუბლიკის მიერ "პოლესტარ ჩომპანია მარიტიმა შ.ა.-თვის" გადახდილ უნდა იქნეს შემდეგი თანხები: 1 575 961 აშშ დოლარი; 277 120 აშშ დოლარი, როგორც პროცენტი 1996 წლის 18 აპრილიდან 1999 წლის 16 მარტამდე პერიოდზე; 34 584 აშშ დოლარი, როგორც შემდგომი პროცენტი ვალის ძირითად თანხაზე -1 575 961 აშშ დოლარზე -1999 წლის 17 მარტიდან 1994 წლის აგვისტომდე (საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანის თარიღამდე), 160 დღეზე საპროცენტო განაკვეთით -5,00625%, რაც შეადგენს 216,15 აშშ დოლარს დღეში; 81 570

აშშ დოლარი -მართვის ხარჯები და დანახარჯები; 250 785,92 ფუნტი სტერლინგი -სასამართლო ხარჯები და გადასახადები; 52 270,50 ფუნტი სტერლინგი. ჯამში აღნიშნული თანხები შეადგენს 1 969 235 აშშ დოლარსა და 303 056,42 ფუნტ სტერლინგს.

2009 წლის 24 სექტემბერს საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა პანამურმა კომპანია "პოლესტარ ჩომპანია მარიტიმა შ.ა.-მ" (წარმომადგენელი დ. კ-შვილი), რომელმაც მოითხოვა დიდი ბრიტანეთის მართლმსაჯულების უმაღლესი სასამართლოს დედოფლის პალატის კომერციული სასამართლოს 2008 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილების (გადაწყვეტილება #2005 FOLIO 600) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

მოწინააღმდეგე მხარე საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ წარმოადგინა მოსაზრებაში შუამდგომლობა არ ცნო და განმარტა, რომ დიდი ბრიტანეთის მართლმსაჯულების უმაღლესი სასამართლოს დედოფლის პალატის კომერციული სასამართლოს 2008 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება და "პოლესტარ ჩომპანია მარიტიმა შ.ა.-ის" შუამდგომლობის მოთხოვნა ეფუძნება ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს 1999 წლის 24 აგვისტოს გადაწყვეტილებას. საარბიტრაჟო სასამართლოს ამ გადაწყვეტილებაში გამოყენებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 142-ე მუხლით ერთმნიშვნელოვნადაა დადგენილი სასამართლო გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა -ათი წელი. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადაა ათი წელი მაშინაც კი, როცა ეს მოთხოვნა უფრო ნაკლებ ხანდაზმულობას ექვემდებარება. ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს 1999 წლის 24 აგვისტოს გადაწყვეტილებით დადასტურებული "პოლესტარ ჩომპანია მარიტიმა შ.ა.-ის" მოთხოვნა ამავე გადაწყვეტილებით გათვალისწინებული თანხების ანაზღაურების თაობაზე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 142-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, არის ხანდაზმული -ხანდაზმულობის ვადა გავიდა 2009 წლის 24 აგვისტოს, "პოლესტარ ჩომპანია მარიტიმა შ.ა.-მ" კი საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა 2009 წლის 24 სექტემბერს. ამასთან, მართლმსაჯულების უმაღლესი სასამართლოს დედოფლის პალატის კომერციულ სასამართლოს საქმე არსებითად არ განუხილავს და არ შეუმოწმებია ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს 1999 წლის 24 აგვისტოს გადაწყვეტილების კანონიერება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში საქმის განხილვისას საკასაციო სასამართლოს მოთხოვნით "პოლესტარ ჩომპანია მარიტიმა შ.ა.-მ" კიდევ ერთხელ დააზუსტა, რომ იგი არ მოითხოვს ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს 1999 წლის 24 აგვისტოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებას, არამედ -მხოლოდ დედოფლის პალატის კომერციული სასამართლოს 2008 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილების ცნობას და აღსრულებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი შუამდგომლობის სასამართლო განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

შუამდგომლობის ავტორი არ მოითხოვს ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს 1999 წლის 24 აგვისტოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებას, რის შესაძლებლობასაც მას "უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების შესახებ" ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენცია პირდაპირ აძლევს. მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანია მხოლოდ დიდი ბრიტანეთის მართლმსაჯულების უმაღლესი სასამართლოს დედოფლის პალატის კომერციული სასამართლოს 2008 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

"საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 68-ე მუხლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს: "საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს". ამ შემთხვევაში საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების ობიექტად მოიაზრება არა კანონიერ ძალაში შესული ნებისმიერი გადაწყვეტილება, არამედ -მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე ცნობაუნარიანი და აღსრულებადი გადაწყვეტილება.

უცხო ქვეყნის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა ნიშნავს, რომ ამ გადაწყვეტილებას საქართველოს ტერიტორიაზე მოჰყვება იგივე სამართლებრივი შედეგი, რასაც აღნიშნული გადაწყვეტილება მის გამომტან ქვეყანაში ისახავს მიზნად.

ფორმალური ნიშნით დედოფლის პალატის კომერციული სასამართლოს 2008 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებაა, მაგრამ არსებითად აკმაყოფილებს თუ არა ცნობაუნარიანობის მოთხოვნას, ამისათვის საჭიროა, სწორად შეფასდეს, არსობრივად რა სახის გადაწყვეტილებას წარმოადგენს იგი და რა სამართლებრივი შედეგის დადგენას ისახავს მიზნად.

საკასაციო სასამართლო აღნიშნულთან დაკავშირებით მხედველობაში იღებს ინგლისის 1996 წლის საარბიტრაჟო აქტის 66(1)-66(3) მუხლების მოთხოვნას, რომელიც ითვალისწინებს შიდასახელმწიფოებრივ ურთიერთობებში არბიტრაჟის გადაწყვეტილებათა იძულებით აღსრულებას სასამართლოსგან ნებართვის მიღების გზით, ასევე, ამავე საარბიტრაჟო აქტის 66(4) მუხლის მოთხოვნას, რომ ნიუ-იორკის კონვენციის ფარგლებში არბიტრაჟის გადაწყვეტილების აღსრულებაზე არ ახდენს გავლენას 66(1)-66(3) მუხლებით დადგენილი დანაწესი. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ დედოფლის პალატის კომერციული სასამართლოს 2008 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება თავისი არსით წარმოადგენს ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს 1999 წლის 24 აგვისტოს გადაწყვეტილების ინგლისის ტერიტორიაზე იძულებით აღსასრულებლად მიქცევის მიზნით გამოტანილ გადაწყვეტილებას. იგი განკუთვნილია მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივი აღსრულების მიზნებისთვის და იძულებითი აღსრულების დაწყების საფუძველია ინგლისში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ დედოფლის პალატის კომერციული სასამართლოს 2008 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება თავისი არსით არ არის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობაუნარიანი და აღსრულებადი გადაწყვეტილება, ამ გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი შედეგი -საარბიტრაჟო გადაწყვეტილების იძულებით აღსასრულებლად მიქცევა ინგლისის ტერიტორიაზე -მას საქართველოს ტერიტორიაზე ვერ მოჰყვება. საქართველოში ცნობისა და აღსრულების ობიექტი შეიძლება იყოს ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს 1999 წლის 24 აგვისტოს გადაწყვეტილება, რომლის ცნობისა და აღსრულების საკითხი შუამდგომლობის განხილვის საგანს არ წარმოადგენს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით, "საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 68-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

"პოლესტარ ჩომპანია მარტიმა შ.ა.-ის" შუამდგომლობა დიდი ბრიტანეთის მართლმსაჯულების უმაღლესი სასამართლოს დედოფლის პალატის კომერციული სასამართლოს 2008 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ არ დაკმაყოფილდეს;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება

განჩინება

#ა-2426-შ-82-09

8 აპრილი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. ლაზარაშვილი,  
თ. თოდრია

საქმის ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა პ. ვ-ანის წარმომადგენლის - ვ. ვ-ანის შუამდგომლობა ნიურბერგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2005 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ ტ. ვ-ანის მიმართ განქორწინების თაობაზე.

პალატამ გამოარკვია:

ნიურბერგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2005 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილებით ტ. ვ-ანის სასარჩელო განცხადება პ. ვ-ანის მიმართ განქორწინების თაობაზე დაკმაყოფილდა.

პ. ვ-ანის წარმომადგენელმა ვ. ვ-ანმა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს ნიურბერგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2005 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 12 ნოემბრის განჩინებით პ. ვ-ანის წარმომადგენლის -ვ. ვ-ანის შუამდგომლობა წარმოებაში იქნა მიღებული.

2010 წლის 26 თებერვალს პ. ვ-ანის წარმომადგენელმა ვ. ვ-ანმა განცხადებით მომართა უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა საქმის წარმოების შეწყვეტა.

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, პ. ვ-ანის წარმომადგენლის - ვ. ვ-ანის შუამდგომლობის განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს და შეწყდეს საქმის წარმოება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია, უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს - ცნოს სარჩელი. ამავე კოდექსის 399-ე მუხლის თანახმად, საქმის (მოცემულ შემთხვევაში შუამდგომლობის) განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელთაც ეს თავი შეიცავს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით. ამავე კოდექსის 378-ე მუხლის შესაბამისად, სააპელაციო საჩივარზე უარის თქმა დასაშვებია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე. სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის შემთხვევაში მხარეს ერთმევა უფლება, კვლავ გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის "გ" ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე.

ვინაიდან პ. ვ-ანის წარმომადგენელმა ვ. ვ-ანმა უარი განაცხადა შუამდგომლობის განხილვაზე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ წარმოდგენილ შუამდგომლობაზე წარმოება უნდა შეწყდეს.

სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე, 399-ე, 372-ე 284-ე, მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

პ. ვ-ანის წარმომადგენლის - ვ. ვ-ანის განცხადება, ნიურბერგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2005 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ შუამდგომლობაზე უარის თქმის შესახებ დაკმაყოფილდეს;

მოცემულ შუამდგომლობაზე წარმოება შეწყდეს;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

#ა-637-შ-12-2010

12 აპრილი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
მოსამართლე ლ. ლაზარაშვილი

განიხილა აზერბაიჯანის რესპუბლიკის კახის რაიონის სასამართლოს 2008 წლის 4 მარტის დადგენილების (საქმე #2-21/2008) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ გ. ბ-ინოს შუამდგომლობის განუხილველად დატოვების საკითხი. საკასაციო სასამართლომ

გამოარკვია:

აზერბაიჯანის რესპუბლიკის კახის რაიონის სასამართლოს 2008 წლის 4 მარტის დადგენილებით (საქმე #2-21/2008) გ. ზ-ს ასული ბ-ინოს სარჩელი დაკმაყოფილდა - მასა და ვ. ვ-ს ძე ბ-ინოს შორის თბილისში, სამგორის რაიონის მძაჩის განყოფილებაში 1999 წლის 18 აგვისტოს რეგისტრირებული ქორწინება #126 ძალადაკარგულად იქნა ცნობილი მისი გაფორმების დღიდან; 2001 წლის 17 აგვისტოს დაბადებული ლ. ვ-ს ძე ბ-ინო დარჩა გ. ზ-ს ასული ბ-ინოს მეურვეობის ქვეშ; მოსარჩელეს მიეცა ქორწინებამდელი გვარის - ა-შვილის ტარების უფლება.

2010 წლის 19 მარტს გ. ბ-ინომ შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს. შუამდგომლობის ავტორმა მოითხოვა მხარეებს შორის ქორწინების ძალადაკარგულად ცნო-

ბის შესახებ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 23 მარტის განჩინებით გ. ბ-ინოს დაუდგინდა ხარვეზი შუამდგომლობაზე და მის შესავსებად განესაზღვრა ვადა, კერძოდ, დაევალა, აღნიშნული განჩინების ჩაბარებიდან 15 დღის ვადაში წარედგინა დადგენილების გამომტანი სასამართლოს მიერ შედგენილი, ქართულ ენაზე თარგმნილი და დამოწმებული დოკუმენტი, იმის თაობაზე, რომ მოპასუხე ვ. ვ-ს ძე ბ-ინო გაფრთხილებული იყო კახის რაიონის სასამართლოს 2008 წლის 4 მარტის სხდომის თაობაზე აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

დასახელებული განჩინების ასლი გ. ბ-ინოს ჩაჰბარდა ხელზე, 2010 წლის 25 მარტს.

2010 წლის 8 აპრილს გ. ბ-ინომ უზენაეს სასამართლოში განცხადება წარმოადგინა. განმცხადებელმა შუამდგომლობაზე უარი თქვა და მისი განუხილველად დატოვება მოითხოვა.

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების და წარმოდგენილი განცხადების გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს, გ. ბ-ინოს შუამდგომლობა აზერბაიჯანის რესპუბლიკის კახის რაიონის სასამართლოს 2008 წლის 4 მარტის დადგენილების (საქმე #2-21/2008) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ განუხილველად იქნეს დატოვებული, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო სამართალწარმოებაში მხარეები სარგებლობენ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, რაც ნიშნავს მხარეთა თავისუფლებას, შეხედულებისამებრ განკარგონ თავიანთი მატერიალური და საპროცესო უფლებები.

მოცემულ შემთხვევაში გ. ბ-ინომ შუამდგომლობაზე უარის თქმით მოახდინა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ზემოაღნიშნული მე-3 მუხლით მინიჭებული საპროცესო უფლების რეალიზაცია, რაც სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, როგორც პროცესის მონაწილე მხარის ნების გამოვლენა, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 409-ე მუხლის საფუძველზე საკასაციო სასამართლოს უფლებამოსილება განსაზღვრულია მხარეთა მოთხოვნის ფარგლებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გ. ბ-ინოს შუამდგომლობა აზერბაიჯანის რესპუბლიკის კახის რაიონის სასამართლოს 2008 წლის 4 მარტის დადგენილების (საქმე #2-21/2008) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ უნდა დარჩეს განუხილველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა "საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 68-ე-71-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. გ. ბ-ინოს განცხადება დაკმაყოფილდეს;
2. გ. ბ-ინოს შუამდგომლობა აზერბაიჯანის რესპუბლიკის კახის რაიონის სასამართლოს 2008 წლის 4 მარტის დადგენილების (საქმე #2-21/2008) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ განუხილველად იქნეს დატოვებული;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

#ა-374-შ-8-2010

19 აპრილი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),

ნ. კვანტალიანი

განხილვის საგანი: სომხეთის რესპუბლიკის ქ. ერევნის სისხლის სამართლის სასამართლოს 2008 წლის 21 ივლისის განაჩენის (საქმე #0049/01/08) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და



აღსრულება დანაშაულით მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად ვ. ო-იანისა და ვ. გ-იანის სასარგებლოდ მოპასუხეებისათვის თანხების დაკისრების ნაწილში

აღწერილობითი ნაწილი:

სომხეთის რესპუბლიკის ქ. ერევნის სისხლის სამართლის სასამართლოს 2008 წლის 21 ივლისის განაჩენით ვ. ო-იანის, რ. ჟ-იანისა და ზ. ა-იანის სამოქალაქო სარჩელები დაკმაყოფილდა - გ. დ-ს ძე მ-შვილს დაეკისრა დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურება, კერძოდ, ვ. ო-იანის სასარგებლოდ -2027579 სრ დრამის, რ. ჟ-იანის სასარგებლოდ -993000 სრ დრამისა და ზ. ა-იანის სასარგებლოდ -145000 სრ დრამის გადახდა; ამავე განაჩენით, გ. დ-ს ძე მ-შვილსა და ზ. ლ-ს ძე მ-ურს დაეკისრათ დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურება, სახელდობრ, ჰ. ბ-იანისა და ვ. მ-იანის სასარგებლოდ -1616840 სრ დრამის, ლ. ხ-იანის სასარგებლოდ -454000 სრ დრამის, ვ. გ-იანის სასარგებლოდ -1151955 სრ დრამის (1153955 სრ დრამიდან გამორიცხული 2000 სრ დრამის) გადახდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს შუამდგომლობებით მომართეს ვ. ო-იანმა და ვ. გ-იანმა, რომლებმაც მოითხოვეს ზემომითითებული განაჩენის (დანაშაულით მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად მოპასუხეებისათვის მათ სასარგებლოდ თანხების დაკისრების ნაწილში) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 24 თებერვლის განჩინებით ვ. ო-იანისა და ვ. გ-იანის შუამდგომლობები სომხეთის რესპუბლიკის ქ. ერევნის სისხლის სამართლის სასამართლოს 2008 წლის 21 ივლისის განაჩენის (საქმე #0049/01/08, დანაშაულით მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად ვ. ო-იანისა და ვ. გ-იანის სასარგებლოდ მოპასუხეებისათვის თანხების დაკისრების ნაწილში) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ ვ. ო-იანისა და ვ. გ-იანის შუამდგომლობები უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ სომხეთის რესპუბლიკის ქ. ერევნის სისხლის სამართლის სასამართლოს 2008 წლის 21 ივლისის განაჩენით ვ. ო-იანის, რ. ჟ-იანისა და ზ. ა-იანის სამოქალაქო სარჩელები დაკმაყოფილდა, გ. დ-ს ძე მ-შვილს დაეკისრა დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურება, კერძოდ, ვ. ო-იანის სასარგებლოდ -2027579 სრ დრამის, რ. ჟ-იანის სასარგებლოდ -993000 სრ დრამისა და ზ. ა-იანის სასარგებლოდ -145000 სრ დრამის გადახდა; ამავე განაჩენით გ. დ-ს ძე მ-შვილსა და ზ. ლ-ის ძე მ-ურს დაეკისრათ დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურება, სახელდობრ, ჰ. ბ-იანისა და ვ. მ-იანის სასარგებლოდ -1616840 სრ დრამის, ლ. ხ-იანის სასარგებლოდ -454000 სრ დრამის, ვ. გ-იანის სასარგებლოდ -1151955 სრ დრამის (1153955 სრ დრამიდან გამორიცხული 2000 სრ დრამის) გადახდა.

"საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 68-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, თუკი არ არსებობს ამავე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებანი. საქმის მასალების თანახმად, აღნიშნული გარემოებების არსებობა საქმეზე არ დასტურდება, რის გამოც არსებობს ყველა საფუძველი, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ ცნოს სომხეთის რესპუბლიკის ქ. ერევნის სისხლის სამართლის სასამართლოს 2008 წლის 21 ივლისის განაჩენი (საქმე #0049/01/08) დანაშაულით მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად ვ. ო-იანისა და ვ. გ-იანის სასარგებლოდ გ. დ-ს ძე მ-შვილისა და ზ. ლ-ს ძე მ-ურისათვის თანხების დაკისრების ნაწილში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა "საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 68-ე, 70-ე-71-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. ვ. ო-იანისა და ვ. გ-იანის შუამდგომლობები დაკმაყოფილდეს;

2. სომხეთის რესპუბლიკის ქ. ერევნის სისხლის სამართლის სასამართლოს 2008 წლის 21 ივლისის განაჩენი (საქმე #0049/01/08) დანაშაულით მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად ვ. ო-იანისა და ვ. გ-იანის სასარგებლოდ გ. დ-ს ძე მ-შვილისა და ზ. ლ-ს ძე მ-ურისათვის თანხების (გ. მ-შვილის მიერ ვ. ო-იანის სასარგებლოდ -2027579 სრ დრამა, გ. მ-შვილისა და ზ. მ-ურის მიერ ვ. გ-იანის სასარგებლოდ -1151955 სრ დრამა) დაკისრების ნაწილში, საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს და დაექვემდებაროს აღსრულებას;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

#ა-433-შ-10-2010

26 აპრილი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),  
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),  
ლ. ლაზარაშვილი

გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებას მხარე მოითხოვს: უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2009 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილება

დავის საგანი: ვალდებულების შეუსრულებლობის გამო თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

კომუნალურმა საწარმომ "საერთაშორისო აეროპორტი დონეცკმა" სარჩელით მიმართა უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებულ საერთაშორისო კომერციულ საარბიტრაჟო სასამართლოს სს "თAM AIდ-ის" მიმართ მიწისზედა მომსახურების შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების მოთხოვნით.

უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებულ საერთაშორისო კომერციულ საარბიტრაჟო სასამართლოს 2009 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილებით სს "თAM AIდ-ს" კომუნალურ საწარმო "დონეცკის" სასარგებლოდ დაეკისრა ძირითადი ვალის -40161.48 აშშ დოლარის, ასევე, საარბიტრაჟო მოსაკრებლის -2784.30 აშშ დოლარის, სულ -42945.78 აშშ დოლარის ანაზღაურება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა კომუნალურმა საწარმო "დონეცკმა" და მოითხოვა დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი ცნობებით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებას მხარე მოითხოვს, კანონიერ ძალაში შევიდა არბიტრის მიერ ხელმოწერის დღიდან -2009 წლის 30 იანვარს, სს "თAM AIდ-ს" სათანადოდ ეცნობა საარბიტრაჟო განხილვის ყველა სტადიის შესახებ, კერძოდ, ჩაბარდა სარჩელი, რეგლამენტი, არბიტრთა სია, ეცნობა საქმის განხილვის თარიღი, დრო, ადგილი, სასამართლოს შემადგენლობა, საარბიტრაჟო სასამართლოს პრეზიდენტის დადგენილება ერთპიროვნულად არბიტრის დანიშვნის შესახებ, დამატებით წარდგენილი მასალები, ასევე საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 5 მარტის განჩინებით კომუნალური საწარმოს -"საერთაშორისო აეროპორტი დონეცკის" შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში.

სს "თAM AIდ-მა" განცხადებით მომართა სასამართლოს და განმარტა, რომ შუამდგომლობის ავტორის მიმართ დაგროვებული დავალიანების გადაუხდელობა გამოწვეული იყო 2008 წლის აგვისტოს განვითარებული მოვლენებით, ამასთან მხარეები შეთანხმდნენ ვალის რესტრუქტურირებაზე, რის დასადასტურებლადაც წარმოადგინა უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებულ საერთაშორისო კომერციულ საარბიტრაჟო სასამართლოს 2009 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილებით დაკისრებული დავალიანების დაფარვის გრაფიკი. განმცხადებელმა ასევე განმარტა, რომ ვალის დაფარვა უნდა დაწყებულიყო მიმდინარე წლის იანვრიდან, თუმცა ფრენების დაწყების გადადებიდან გამომდინარე, აღნიშნული ვალის დაფარვა დაიწყება მაისიდან.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად თვლის, რომ კომუნალური საწარმოს -"საერთაშორისო აეროპორტი დონეცკის" შუამდგომლობა უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატის საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2009 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილების

ყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალების შესწავლით დასტურდება, რომ უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებულ საერთაშორისო კომერციულ საარბიტრაჟო სასამართლოს 2009 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილებით სს "თAM AIდ-ს" კომუნალურ საწარმო "დონეცკის" სასარგებლოდ დაეკისრა ძირითადი ვალის -40161.48 აშშ დოლარის, ასევე საარბიტრაჟო მოსაკრებლის -2784.30 აშშ დოლარის, სულ -42945.78 აშშ დოლარის ანაზღაურება. საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა კომუნალურმა საწარმომ "საერთაშორისო აეროპორტი დონეცკმა" და მოითხოვა აღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებას მხარე მოითხოვს, კანონიერ ძალაში შევიდა არბიტრის მიერ ხელმოწერის დღიდან -2009 წლის 30 იანვარს, სს "თAM AIდ-ს" სათანადოდ ეცნობა საარბიტრაჟო განხილვის ყველა სტადიის შესახებ, კერძოდ ჩაბარდა სარჩელი, რეგლამენტი, არბიტრთა სია, ეცნობა საქმის განხილვის თარიღი, დრო, ადგილი, სასამართლოს შემადგენლობა, საარბიტრაჟო სასამართლოს პრეზიდენტის დადგენილება ერთპიროვნულად არბიტრის დანიშვნის შესახებ, დამატებით წარდგენილი მასალები, ასევე საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილება.

"საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია ამავე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს, ამდენად, უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებულ საერთაშორისო კომერციულ საარბიტრაჟო სასამართლოს 2009 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნეს ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა "საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

კომუნალური საწარმოს - "საერთაშორისო აეროპორტი დონეცკის" შუამდგომლობა უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებულ საერთაშორისო კომერციულ საარბიტრაჟო სასამართლოს 2009 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს.

ცნობილ იქნას საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებულ საერთაშორისო კომერციულ საარბიტრაჟო სასამართლოს 2009 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილება სს "თAM AIდ-ისათვის" კომუნალური საწარმო "დონეცკის" სასარგებლოდ თანხის -42945.78 აშშ დოლარის დაკისრების შესახებ.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

#ა-337-შ-6-2010

3 მაისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),  
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი

განხილვის საგანი: გერმანიის ჰანოვერის საოლქო სასამართლოს საოჯახო საქმეთა განყოფილების 2009 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილების (საქმე # 626 F 5060/08 შ) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

აღწერილობითი ნაწილი:

გერმანიის ჰანოვერის საოლქო სასამართლოს საოჯახო საქმეთა განყოფილების 2009 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებით (საქმე # 626 F 5060/08 შ) საქართველოში, ქ. თბილისში 2005 წლის 27 დეკემბერს მხარეთა შორის რეგისტრირებული ქორწინება (ქორწინების რეგისტრაციის # 0115913) შეწყდა; წყვილის წილების გათანაბრების შესახებ გადაწყვეტილება არ გამოტანილა; დადგინდა სასამართლო ხარჯების ორივე მხარის მიერ ანაზღაურება.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ საქართველოს უზენაეს სასამართლოს შესაბამისი შუამდგომლობით მიმართა ს. გ-ოვმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 25 თებერვლის განჩინებით ს. გ-ოვის შუამდგომლობა გერმანიის ჰანოვერის საოლქო სასამართლოს საოჯახო საქმეთა განყოფილების 2009 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილების (საქმე # 626 F 5060/08 შ) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ ს. გ-ოვის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ გერმანიის ჰანოვერის საოლქო სასამართლოს საოჯახო საქმეთა განყოფილების 2009 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებით (საქმე # 626 F 5060/08 შ) საქართველოში, ქ. თბილისში 2005 წლის 27 დეკემბერს მხარეთა შორის რეგისტრირებული ქორწინება (ქორწინების რეგისტრაციის # 0115913) შეწყდა, წყვილის წილების გათანაბრების შესახებ გადაწყვეტილება არ გამოტანილა, დადგინდა სასამართლო ხარჯების ორივე მხარის მიერ ანაზღაურება.

"საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 68-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, თუკი არ არსებობს ამავე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებანი. საქმის მასალების თანახმად, აღნიშნული გარემოებების არსებობა საქმეზე არ დასტურდება, რის გამოც არსებობს ყველა საფუძველი, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ ცნოს გერმანიის ჰანოვერის საოლქო სასამართლოს საოჯახო საქმეთა განყოფილების 2009 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება (საქმე # 626 F 5060/08 შ).

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა "საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 68-ე, 70-ე-71-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. ს. გ-ოვის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;

2. გერმანიის ჰანოვერის საოლქო სასამართლოს საოჯახო საქმეთა განყოფილების 2009 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება (საქმე # 626 F 5060/08 შ), რომლითაც საქართველოში, ქ. თბილისში 2005 წლის 27 დეკემბერს მხარეთა შორის რეგისტრირებული ქორწინება (ქორწინების რეგისტრაციის # 0115913) შეწყდა, წყვილის წილების გათანაბრების შესახებ გადაწყვეტილება არ გამოტანილა, დადგინდა სასამართლო ხარჯების ორივე მხარის მიერ ანაზღაურება, საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს და დაექვემდებაროს აღსრულებას;

3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

#ა-329-შ-5-10

7 მაისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. ლაზარაშვილი,  
თ. თოდრია

საქმის ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა რ. ლ-ძის შუამდგომლობა საბერძნეთის ქ. პირეასის პირველი ინსტანციის მრავალწევრიანი სასამართლოს 2009 წლის 11 სექტემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ შვილად აყვანის თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

საბერძნეთის ქ. პირეასის პირველი ინსტანციის მრავალწევრიანი სასამართლოს 2009 წლის 11 სექტემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა -ცნო პირველი განმცხადებლის -პ. პ-სის ძის დ-ის მიერ დედის სახელი -მ., ქ. თბილისში 1981 წლის 10 ივნისის დაბადებული მეორე განმცხადებლის შვილად აყვანა რ. ლ-ძის, დედის სახელი -ს.

"რ. ლ-ძემ შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს საბერძნეთის ქ. პირეასის პირველი ინსტანციის მრავალწევრიანი სასამართლოს 2009 წლის 11 სექტემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ რ. ლ-ძის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ საბერძნეთის ქალაქ პირეასის პირველი ინსტანციის მრავალწევრიანი სასამართლოს 2009 წლის 11 სექტემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა -ცნო პირველი განმცხადებლის -პ. პ.-ის ძის დ.-ის მიერ დედის სახელი -მ., ქ. თბილისში 1981 წლის 10 ივნისის დაბადებული მეორე განმცხადებლის შვილად აყვანა რ. ლ-ძის, დედის სახელი -ს.

საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის 68-ე, 69-ე მუხლების თანახმად, არსებობს ყველა საფუძველი, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ ცნოს საბერძნეთის ქალაქ პირეასის პირველი ინსტანციის მრავალწევრიანი სასამართლოს 2009 წლის 11 სექტემბრის გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა "საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 68-ე, 69-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

რ. ლ-ძის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს:

საბერძნეთის ქალაქ პირეასის პირველი ინსტანციის მრავალწევრიანი სასამართლოს 2009 წლის 11 სექტემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა -ცნო პირველი განმცხადებლის - პ. პ.-ის ძის დ.-ის მიერ დედის სახელი -მ., ქ. თბილისში 1981 წლის 10 ივნისის დაბადებული მეორე განმცხადებლის შვილად აყვანა რ. ლ-ძის, დედის სახელი -ს. აღნიშნული გადაწყვეტილება ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე და დაექვემდებაროს აღსრულებას.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება

განჩინება

#ა-403-შ-9-2010

4 ივნისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

საქმის ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა შპს "საავტომობილო სახლი ბოგდანის" წარმომადგენლების: მ. ლ-ძისა და შ. მ-შვილის შუამდგომლობა უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატის საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2009 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ "ჰოუფ ინვესტ გრუფ ლტდ-ს" მიმართ თანხის გადახდის თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

შპს "უკრაინსკი ავტობუსის" უფლებამონაცვლე შპს "საავტომობილო სახლმა ბოგდანმა" სარჩელით მიმართა უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს შპს "ჰოუფ ინვესტ გრუფ ლტდს" მიმართ თანხების დაკისრების მოთხოვნით.

უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2009 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილებით შპს "ჰოუფ ინვესტ გრუფ ლტდს" დაევალა დაუყოვნებლივ, გადაწყვეტილების მიღებისთანავე გადაეხადა შპს "საავტომობილო სახლ ბოგდანისათვის" ძირითადი დავალიანება -129 600 აშშ დოლარი, პირგასამტეხლო -2291.20 აშშ დოლარი, სხვისი თანხით სარგებლობისათვის 3% წლიური სარგებელი -1832,15 აშშ დოლარი, საარბიტრაჟო მოსაკრებელი -7524.26 აშშ დოლარი, სულ 161 247 აშშ დოლარი და 61 ცენტი. ამავე გადაწყვეტილებით შეწყდა საქმის წარმოება 15163.20 აშშ დოლარის გადახდევინების ნაწილში; მოსარჩელეს დაეკისრა საარბიტრაჟო ხარჯების -742,34 აშშ დოლარის გადახდა.

მითითებული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2009 წლის 20 თებერვალს.

შპს "საავტომობილო სახლი ბოგდანის" წარმომადგენლებმა მ. ლ-ძემ და შ. მ-შვილმა შუამდგომლობით მიმართეს საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვეს უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატის საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2009 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 8 აპრილის განჩინებით შპს "საავტომობილო სახლი ბოგდანის" წარმომადგენლების: მ. ლ-ძისა და შ. მ-შვილის შუამდგომლობა და სასამართლოს დოკუმენტები უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატის საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2009 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში. შუამდგომლობა და თანდართული მასალების ასლები გაეგზავნა მოპასუხე შპს "ჰოუფ ინვესტ გრუფ ლტდს". საკასაციო სასამართლოს განჩინება ადრესატს პირადად ჩაჰბარდა 2010 წლის 21 აპრილს.

2010 წლის 30 აპრილს შპს "ჰოუფ ინვესტ გრუფ ლტდს" დირექტორმა ლ. რ-ძემ შუამდგომლობით მიმართა საკასაციო პალატას და მოითხოვა საქმის ზეპირი განხილვა.

2010 წლის 28 მაისს უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატის საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს არბიტრმა ლ. კ-ოვმა წერილით მიმართა საკასაციო პალატას, სადაც მიუთითა, რომ მოპასუხე შპს "ჰოუფ ინვესტ გრუფ ლტდს" უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატის საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2009 წლის 20 თებერვლის სხდომის შესახებ გაფრთხილებული იყო კანონის შესაბამისად.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ შპს "ჰოუფ ინვესტ გრუფ ლტდს" დირექტორ ლ. რ-ძის შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილდეს და საქმე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად განხილულ იქნეს ზეპირი განხილვის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ შპს "საავტომობილო სახლი ბოგდანის" წარმომადგენლების: მ. ლ-ძისა და შ. მ-შვილის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

შპს "უკრაინსკი ავტობუსის" უფლებამონაცვლე შპს "საავტომობილო სახლმა ბოგდანმა" სარჩელით მიმართა უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს შპს "ჰოუფ ინვესტ გრუფ ლტდს" მიმართ თანხების დაკისრების მოთხოვნით.

უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2009 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილებით შპს "ჰოუფ ინვესტ გრუფ ლტდს" დაევალა დაუყოვნებლივ, გადაწყვეტილების მიღებისთანავე, გადაეხადა შპს "საავტომობილო სახლ ბოგდანისათვის" ძირითადი დავალიანება -129 600 აშშ დოლარი, პირგასამტეხლო -2291.20 აშშ დოლარი, სხვისი თანხით სარგებლობისათვის 3% წლიური სარგებელი -1832,15 აშშ დოლარი, საარბიტრაჟო მოსაკრებელი -7524.26 აშშ დოლარი. სულ 161 247 აშშ დოლარი და 61 ცენტი. ამავე გადაწყვეტილებით შეწყდა საქმის წარმოება 15163.20 აშშ დოლარის გადახდევინების ნაწილში; მოსარჩელეს დაეკისრა საარბიტრაჟო ხარჯების -742,34 აშშ დოლარის გადახდა.

მითითებული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2009 წლის 20 თებერვალს.

შპს "საავტომობილო სახლი ბოგდანის" წარმომადგენლებმა მ. ლ-ძემ და შ. მ-შვილმა შუამდგომლობით მიმართეს საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვეს უკრაინის სავაჭრო-

სამრეწველო პალატის საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2009 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

"საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 68-ე-69-ე მუხლებისა და "სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ" 1993 წლის მინსკის კონვენციის თანახმად, არსებობს ყველა საფუძველი, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ ცნოს უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2009 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა "საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 68-ე-69-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით, "სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ" 1993 წლის მინსკის კონვენციით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

შპს "საავტომობილო სახლი ბოგდანის" წარმომადგენლების მ. ლ-ძისა და შ. მ-შვილის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;

უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატის საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2009 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება, რომლითაც შპს "ჰოუფ ინვესტ გრუფ ლტდს" დაევალა დაუყოვნებლივ, გადაწყვეტილების მიღებისთანავე, გადაეხადა შპს "საავტომობილო სახლი ბოგდანისათვის" ძირითადი დავალიანება -129 600 აშშ დოლარი, პირგასამტეხლო -2291.20 აშშ დოლარი, სხვისი თანხით სარგებლობისათვის 3% წლიური სარგებელი -1832,15 აშშ დოლარი, საარბიტრაჟო მოსაკრებელი -7524.26 აშშ დოლარი. სულ 161 247 აშშ დოლარი და 61 ცენტი. ამავე გადაწყვეტილებით შეწყდა საქმის წარმოება 15163.20 აშშ დოლარის გადახდევინების ნაწილში, მოსარჩელეს დაეკისრა საარბიტრაჟო ხარჯების -742,34 აშშ დოლარის გადახდა -საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს და დაექვემდებაროს აღსრულებას.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება

განჩინება

№-742-შ-13-2010

4 ივნისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

საქმის ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა ნ. ო-ეკის შუამდგომლობა თურქეთის თ.რ. ქადიქოს მე-4 ინსტანციის საოჯახო სასამართლოს 2009 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ საქმეზე ს. ო-ეკის სარჩელის გამო ნ. ო-ეკის მიმართ განქორწინების თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ს. ო-ეკი და ნ. ო-ეკი რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდნენ 2001 წლის 22 სექტემბრიდან. ქორწინების პერიოდში შეეძინათ შვილი -ლ. ო-ეკი. ს. ო-ეკმა სარჩელით მიმართა სასამართლოს ნ. ო-ეკის მიმართ და მოითხოვა მეუღლესთან განქორწინება. განმცხადებელმა მიუთითა, რომ მათი ოჯახური ერთიანობა ვერ გაგრძელდებოდა, ვერ შესძლებდნენ ოჯახურ ურთიერთობას და გადაწყვიტეს განქორწინებულიყვნენ. საერთო შვილის მეურვეობა დედას გადაეცემა. მოპასუხემ სარჩელი ცნო და მოითხოვა მისი დაკმაყოფილება.

თურქეთის თ.რ. ქადიქოს მე-4 ინსტანციის საოჯახო სასამართლოს 2009 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ს. ო-ეკი და ნ. ო-ეკი განქორწინდნენ. ამავე გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ საერთო შვილის -ლ. ო-ეკის მეურვეობა გადაეცა ნ. ო-ეკს; შვილსა და მამას -ს.

ო-ეკს შორის არდადეგების დროს პირველი დღის 10 სათიდან მე-7 დღის 18 საათამდე, 1 აგვისტოს პირველი დღის 10 სათიდან 31 დღის 20 საათამდე უფლება აქვთ, განუწყვეტლად ჰქონდეთ ურთიერთობა; ამავე გადაწყვეტილებით ასევე დადგინდა, რომ მოსარჩელე შვილს თვიურად გადაუხდის 300.000 თურქულ ლირას; 2009 წლის 11 აგვისტოდან გადაწყვეტილების აღსრულების შემდეგ მოსარჩელე ს. ო-ეკი მეურვეობას გადასცემს ნ. ო-ეკს.

აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2009 წლის 23 დეკემბრიდან.

ნ. ო-ეკმა შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს თურქეთის თ.რ. ქადიქოს მე-4 ინსტანციის საოჯახო სასამართლოს 2009 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 19 აპრილის განჩინებით ნ. ო-ეკის შუამდგომლობა თურქეთის თ.რ. ქადიქოს მე-4 ინსტანციის საოჯახო სასამართლოს 2009 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, ს. ო-ეკის სარჩელის გამო ნ. ო-ეკის მიმართ განქორწინების თაობაზე მიღებულ იქნა წარმოებაში.

"საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" კანონის 68-69-ე მუხლების თანახმად, არსებობს ყველა საფუძველი, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ ცნოს თურქეთის თ.რ. ქადიქოს მე-4 ინსტანციის საოჯახო სასამართლოს 2009 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს "საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" კანონის 68-ე-69-ე მუხლებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ნ. ო-ეკის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;

ცნობილ იქნეს თურქეთის თ. რ. ქადიქოს მე-4 ინსტანციის საოჯახო სასამართლოს 2009 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილება და დაექვემდებაროს აღსრულებას.

აღნიშნული გადაწყვეტილებით ნ. ო-ეკი და ს. ო-ეკი განქორწინდნენ; საერთო შვილის -ლ. ო-ეკის მეურვეობა გადაეცა ნ. ო-ეკს; შვილსა და მამას -ს. ო-ეკს შორის არდადეგების დროს პირველი დღის 10 სათიდან მე-7 დღის 18 საათამდე, 1 აგვისტოს პირველი დღის 10 სათიდან 31 დღის 20 საათამდე უფლება აქვთ, განუწყვეტლად ჰქონდეთ ურთიერთობა; ამავე გადაწყვეტილებით მოსარჩელე შვილს თვიურად გადაუხდის 300.000 თურქულ ლირას; 2009 წლის 11 აგვისტოდან გადაწყვეტილების აღსრულების შემდეგ მოსარჩელე ს. ო-ეკი მეურვეობას გადასცემს ნ. ო-ეკს.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

#ა-2765-შ-91-09

4 ივნისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. ლაზარაშვილი,  
თ. თოდრია

საქმის ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა საჰოლდინგო კომპანია "ა-ის" ღია სააქციო საზოგადოების ფორმის გენერალური დირექტორის -ს. ვ. ს-ოვის შუამდგომლობა უკრაინის რესპუბლიკის პოლტავის ოლქის სამეურნეო სასამართლოს 2009 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, საჰოლდინგო კომპანია ღია სააქციო საზოგადოების ფორმით "ა-ის" სარჩელის გამო, მოპასუხე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ტ-ს" მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე.



აღწერილობითი ნაწილი:

უკრაინის რესპუბლიკის პოლტავის ოლქის სამეურნეო სასამართლოს 2009 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილებით საპოლიტიკო კომპანია "ა-ის" ღია სააქციო საზოგადოების ფორმის გენერალური დირექტორის ს. ვ. ს-ოვის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას "ტ-ს" დაეკისრა ჰოლიდინგური კომპანია "ა-ის" ღია აქციონერული საზოგადოების ფორმის სასარგებლოდ მთავარი დავალიანების -125 668.23 აშშ დოლარის, ჯარიმა -15 087.73 აშშ დოლარი, წლიური 3% -ის 2 024.46 აშშ დოლარის ანუ სულ -142 780.42 აშშ დოლარის, 1 427.09 აშშ დოლარის სახელმწიფო გადასახადის და 78.59 გრივნის გადახდა სასამართლო პროცესის საინფორმაციო ტექნიკური უზრუნველყოფისათვის; უარი ეთქვა სარჩელს ინფლაციის გამო, 12 692.49 აშშ დოლარის დანაკარგის და 58 805.19 აშშ დოლარის ნაწილში.

საპოლიტიკო კომპანია ღია სააქციო საზოგადოების ფორმით "ა-ის" გენერალურმა დირექტორმა ს. ვ. ს-ოვმა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს უკრაინის რესპუბლიკის პოლტავის ოლქის სამეურნეო სასამართლოს 2009 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

უკრაინის რესპუბლიკის პოლტავის ოლქის სამეურნეო სასამართლოს 2009 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილებით საპოლიტიკო კომპანია "ა-ის" ღია სააქციო საზოგადოების ფორმის გენერალური დირექტორის ს. ვ. ს-ოვის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას "ტ-ს" დაეკისრა ჰოლიდინგური კომპანია "ა-ის" ღია აქციონერული საზოგადოების ფორმის სასარგებლოდ მთავარი დავალიანების -125 668.23 აშშ დოლარის, ჯარიმა -15 087.73 აშშ დოლარი, წლიური 3% -ის 2 024.46 აშშ დოლარის -ანუ სულ -142 780.42 აშშ დოლარის, 1 427.09 აშშ დოლარის სახელმწიფო გადასახადის და 78.59 გრივნის გადახდა სასამართლო პროცესის საინფორმაციო ტექნიკური უზრუნველყოფისათვის. უარი ეთქვა სარჩელს ინფლაციის გამო, 12 692.49 აშშ დოლარის დანაკარგისა და 58 805.19 აშშ დოლარის დაკისრების ნაწილში.

"საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 68-69-ე მუხლების თანახმად, არსებობს ყველა საფუძველი, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ ცნოს უკრაინის რესპუბლიკის პოლტავის ოლქის სამეურნეო სასამართლოს 2009 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილება, რადგან დაცულია აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული მოთხოვნები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა "საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 68-ე-69-ე მუხლებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 285-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

საპოლიტიკო კომპანია "ა-ის" ღია სააქციო საზოგადოების ფორმის გენერალური დირექტორის ს. ვ. ს-ოვის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;

უკრაინის რესპუბლიკის პოლტავის ოლქის სამეურნეო სასამართლოს 2009 წლის 28 ივლისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომლითაც საპოლიტიკო კომპანია "ა-ის" ღია სააქციო საზოგადოების ფორმის გენერალური დირექტორის ს. ვ. ს-ოვის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ -შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას "ტ-ს" დაეკისრა ჰოლიდინგური კომპანია "ა-ის" ღია აქციონერული საზოგადოების ფორმის სასარგებლოდ მთავარი დავალიანების - 125 668.23 აშშ დოლარის, ჯარიმა -15 087.73 აშშ დოლარი, წლიური 3% -ის 2 024.46 აშშ დოლარის, ანუ სულ -142 780.42 აშშ დოლარის, 1 427.09 აშშ დოლარის სახელმწიფო გადასახადის და 78.59 გრივნის გადახდა სასამართლო პროცესის საინფორმაციო ტექნიკური უზრუნველყოფისათვის; უარი ეთქვა სარჩელს ინფლაციის გამო, 12 692.49 აშშ დოლარის დანაკარგის და 58 805.19 აშშ დოლარის ნაწილში, საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს და დაექვემდებაროს აღსრულებას.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

#ა-308-შ-17-2010

7 ივნისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებას მხარე მოითხოვს: გერმანიის, დიუსელდორფის პირველი ინსტანციის საოჯახო საქმეთა სასამართლოს 2008 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილება

დავის საგანი: განქორწინება

აღწერილობითი ნაწილი:

მ. მ-ერგმა სარჩელი აღძრა სასამართლოში ზ. მ-ერგის მიმართ განქორწინების მოთხოვნით.

გერმანიის დიუსელდორფის პირველი ინსტანციის საოჯახო საქმეთა სასამართლოს 2008 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილებით დიუსელდორფის მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ბიუროს თანამშრომლის მიერ 2002 წლის 13 სექტემბერს განხორციელებული ჩანაწერი მხარეთა დაქორწინების თაობაზე გაუქმდა, განქორწინებისას ცოლ-ქმრის წილების გათანაბრება ქორწინების პერიოდში შემოსავლების მიუხედავად არ მომხდარა, საპროცესო ხარჯები მხარეებს დაეკისრათ თანაბარწილად.

მ. მ-ერგის წარმომადგენელმა ც. ქ-შვილმა შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს გერმანიის, დიუსელდორფის პირველი ინსტანციის საოჯახო საქმეთა სასამართლოს 2008 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 6 მაისის განჩინებით მ. მ-ერგის წარმომადგენელ ც. ქ-შვილის შუამდგომლობა გერმანიის დიუსელდორფის პირველი ინსტანციის საოჯახო საქმეთა სასამართლოს 2008 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ მ. მ-ერგის წარმომადგენელ ც.ქ-შვილის შუამდგომლობა გერმანიის დიუსელდორფის პირველი ინსტანციის საოჯახო საქმეთა სასამართლოს 2008 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

გერმანიის დიუსელდორფის პირველი ინსტანციის საოჯახო საქმეთა სასამართლოს 2008 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილებით დიუსელდორფის მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ბიუროს თანამშრომლის მიერ 2002 წლის 13 სექტემბერს განხორციელებული ჩანაწერი მხარეთა დაქორწინების თაობაზე გაუქმდა, განქორწინებისას ცოლ-ქმრის წილების გათანაბრება ქორწინების პერიოდში შემოსავლების მიუხედავად არ მომხდარა, საპროცესო ხარჯები მხარეებს დაეკისრათ თანაბარწილად.

გერმანიის დიუსელდორფის პირველი ინსტანციის საოჯახო საქმეთა სასამართლოს 2008 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილების თანახმად, მოცემული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2009 წლის 21 მარტს.

“საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, გერმანიის დიუსელდორფის პირველი ინსტანციის საოჯახო საქმეთა სასამართლოს 2008 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა "საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მ. მ-ერგის წარმომადგენელ ც. ქ-შვილის შუამდგომლობა გერმანიის დიუსელდორფის პირველი ინსტანციის საოჯახო საქმეთა სასამართლოს 2008 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების თაობაზე დაკმაყოფილდეს.

საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს და მიექცეს აღსასრულებლად გერმანიის დიუსელდორფის პირველი ინსტანციის საოჯახო საქმეთა სასამართლოს 2008 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილება რომლითაც დიუსელდორფის მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ბიუროს თანამშრომლის მიერ 2002 წლის 13 სექტემბერს განხორციელებული ჩანაწერი მხარეთა დაქორწინების თაობაზე გაუქმდა.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

#ა-357-შ-18-2010 14 ივნისი, 2010 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ლ. ლაზარაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი,  
ვ. როინიშვილი

განხილვის საგანი: შვეიცარიის კონფედერაციის ციურიხის კანტონის შრომითი დავების განმხილველი სასამართლოს 2008 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილების (საქმე # AG060022/U2) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

აღწერილობითი ნაწილი:

შვეიცარიის კონფედერაციის ციურიხის კანტონის შრომითი დავების განმხილველი სასამართლოს 2008 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილებით (საქმე # AG060022/U2) მოპასუხე ლ. ა-აიას დაეკისრა ციურიხის საფეხბურთო კლუბის -ბეტრიებსგესსელსცჰაფტ Ffმ AG სასარგებლოდ ნეტო -75 000 ფრანკი პროცენტებთან ერთად (5%-ის ოდენობით), რომელიც დაანგარიშებულ იქნა 2006 წლის 28 აგვისტოდან; ამავე გადაწყვეტილებით სასამართლო ბაჟის ოდენობამ მთლიანობაში შეადგინა 8 679.85 ფრანკი, მათ შორის: 7 500.00 ფრანკი -შემდგომი ხარჯები, 1 050.00 ფრანკი -თარგმანთან დაკავშირებული ხარჯები, 79.85 ფრანკი -პუბლიკაციის ხარჯები; დადგინდა ხარჯების მოპასუხის მიერ ანაზღაურების ვალდებულება; მოპასუხეს დაევალა მოსარჩელისათვის პროცესთან დაკავშირებული ხარჯების -10 638 ფრანკის ანაზღაურება.

ციურიხის საფეხბურთო კლუბმა ბეტრიებსგესსელსცჰაფტ Ffმ AG-მ (წარმომადგენელი რ. მ-ული) შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 7 მაისის განჩინებით ციურიხის საფეხბურთო კლუბის -ბეტრიებსგესსელსცჰაფტ Ffმ AG-ის (წარმომადგენელი რ. მ-ული) შუამდგომლობა შვეიცარიის კონფედერაციის ციურიხის კანტონის შრომითი დავების განმხილველი სასამართლოს 2008 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში, შუამდგომლობისა და თანდართული მასალების ასლები გაეგზავნა მოპასუხე ლ. ა-აიას, მასვე განემარტა, რომ განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის განმავლობაში შეეძლო წარმოედგინა მოსაზრება ზემომითითებული შუამდგომლობის თაობაზე, აგრეთვე, მოეთხოვა საქმის ზეპირი განხილვა, ხოლო თუ იგი ამას არ მოითხოვდა, საქმე განიხილებოდა ზეპირი მოსმენის გარეშე.



უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

#ა-879-შ-15-2010 21 ივნისი, 2010 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ლ. ლაზარაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი,  
ვ. როინიშვილი

განხილვის საგანი: უკრაინის ჩერკასკის ოლქის ქ. ზოლოტონოშის ადგილობრივი სასამართლოს 2003 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილების (საქმე #2-5/2003) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

აღწერილობითი ნაწილი:

უკრაინის ჩერკასკის ოლქის ქ. ზოლოტონოშის ადგილობრივი სასამართლოს 2003 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილებით ნ. ო-ის ძე მ-შვილს, მცხოვრებს საქართველოში, ქ. თელავში, ნ. თ-ის ასული ბ-იანის სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტი ყოველთვიურად, ყველა სახის შემოსავლის 1/4-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ მოქალაქის სარგებლის დაუბეგრავი მინიმუმის 1/2-ისა, 1995 წლის 23 აგვისტოს დაბადებული ა. ნ-ის ასული მ-შვილის სარჩენად 1999 წლის 15 იანვრიდან ბავშვის სრულწლოვანებამდე. ნ. ო-ს ძე მ-შვილს ასევე დაეკისრა სახელმწიფო ბაჟი 51 გრივნის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

ნ. თ-ის ასულმა კ-ოვამ (იგივე ნ. თ-ის ასული ბ-იანი) საქართველოს უზენაეს სასამართლოს მომართა შუამდგომლობით ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების ალიმენტის დაკისრების ნაწილში საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 3 მაისის განჩინებით ნ. თ-ის ასული კ-ოვას შუამდგომლობა უკრაინის ჩერკასკის ოლქის ქ. ზოლოტონოშის ადგილობრივი სასამართლოს 2003 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილების (საქმე #2-5/2003) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმო ებაში.

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ ნ. თ-ის ასული კ-ოვას შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ უკრაინის ჩერკასკის ოლქის ქ. ზოლოტონოშის ადგილობრივი სასამართლოს 2003 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილებით ნ. ო-ის ძე მ-შვილს, მცხოვრებს საქართველოში, ქ. თელავში, ნ. თ-ის ასული ბ-იანის სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტი ყოველთვიურად, ყველა სახის შემოსავლის 1/4-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ მოქალაქის სარგებლის დაუბეგრავი მინიმუმის 1/2-ისა, 1995 წლის 23 აგვისტოს დაბადებული ა. ნ-ის ასული მ-შვილის სარჩენად 1999 წლის 15 იანვრიდან ბავშვის სრულწლოვანებამდე.

"საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 68-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, თუკი არ არსებობს ამავე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებანი. საქმის მასალების თანახმად, ასეთი გარემოებების არსებობა საქმეზე არ დასტურდება, რის გამოც არსებობს ყველა საფუძველი, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ ცნოს უკრაინის ჩერკასკის ოლქის ქ. ზოლოტონოშის ადგილობრივი სასამართლოს 2003 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილება (საქმე #2-5/2003) იმ ნაწილში, რომლითაც ნ. ო-ის ძე მ-შვილს, მცხოვრებს საქართველოში, ქ. თელავში, ნ. თ-ის ასული ბ-იანის სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტი ყოველთვიურად, ყველა სახის შემოსავლის 1/4-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ მოქალაქის სარგებლის დაუბეგრავი მინიმუმის 1/2-ისა, 1995 წლის 23 აგვისტოს დაბადებული ა. ნ-ის ასული მ-შვილის სარჩენად 1999 წლის 15 იანვრიდან ბავშვის სრულწლოვანებამდე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა "საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 68-ე, 70-ე-71-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. ნ. თ-ის ასული კ-ოვას შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;

2. უკრაინის ჩერკასკის ოლქის ქ. ზოლოტონოშის ადგილობრივი სასამართლოს 2003 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც ნ. თ-ის ძე მ-შვილს, მცხოვრებს საქართველოში, ქ. თელავში, ნ. თ-ის ასული ბ-იანის სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტი ყოველთვიურად, ყველა სახის შემოსავლის 1/4-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ მოქალაქის სარგებლის დაუბეგრავი მინიმუმის 1/2-ისა, 1995 წლის 23 აგვისტოს დაბადებული ა. ნ-ის ასული მ-შვილის სარჩენად 1999 წლის 15 იანვრიდან ბავშვის სრულწლოვანებამდე, საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს და დაექვემდებაროს აღსრულებას;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

შუამდგომლობის განუხილველად დატოვება დადგენილ ვადაში მტკიცებულებათა წარმოუდგენლობის გამო

განჩინება

№ა-795-შ-14-2010

5 ივლისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. ლაზარაშვილი,  
პ. ქათამაძე

გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებას მხარე მოითხოვს: ქ. თელ-ავის საქალაქო საქმეთა სასამართლოს 2009 წლის 20 დეკემბრის დადგენილება (დამაკმაყოფილებელი ბრძანება)

დავის საგანი: უძრავი ქონებით სარგებლობის შეზღუდვა

აღწერილობითი ნაწილი:

ქ. თელ-ავის საქალაქო საქმეთა სასამართლოს 2009 წლის 20 დეკემბრის დადგენილებით დაკმაყოფილდა განმცხადებელ ე. ი-ანის განცხადება უძრავი ქონებით სარგებლობის შეზღუდვის შესახებ და გაცემულ იქნა ბრძანება, რომლითაც რ. ჰ-ელს დაევალა საქართველოში რეგისტრირებული ფირმების - "VEლთEX MANUFAქტდING" და "M.ჩ. +/AMშY+" აქციების გასხვისებისაგან, სხვის მფლობელობაში გადაცემისაგან, გაყიდვისა და დაგირავებისაგან თავის შეკავება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა ე. ი-ანის წარმომადგენელმა ლ. ხ-შვილმა ქ.თელ-ავის საქალაქო საქმეთა სასამართლოს 2009 წლის 20 დეკემბრის დადგენილების (დამაკმაყოფილებელი ბრძანების) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების მოთხოვნით.

წარმოდგენილი შუამდგომლობით დასტურდება, რომ მოპასუხე სათანადოდ იყო ინფორმირებული მოსარჩელის მოთხოვნის თაობაზე, ასევე, ირკვევა, რომ მხარეები მონაწილეობას იღებდნენ საქმის განხილვაში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 19 აპრილის განჩინებით ე. ი-ანის შუამდგომლობა ქ.თელ-ავის საქალაქო საქმეთა სასამართლოს 2009 წლის 20 დეკემბრის დადგენილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში. ამასთან, საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მხარის მიერ წარმოდგენილ სასამართლო გადაწყვეტილებას არ ახლავს შესაბამისი მტკიცებულება, რომ გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში და ექვემდებარება აღსრულებას. საქმეში წარმოდგენილი სატელეფონო შეტყობინების აქტით დასტურდება, რომ ე. ი-ანის წარმომადგენელ ლ. ხ-შვილს სათანადოდ ეცნობა იმის შესახებ, რომ შუამდგომლობას არ ახლავს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის თაობაზე "საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული მტკიცებულება და განესაზღვრა ვადა აღნიშნული ხარვეზის აღმოსაფხვრელად.

ლ.ხ-შვილმა განცხადებით მომართა სასამართლოს და იშუამდგომლა გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დამადასტურებელი მტკიცებულების წარმოსადგენად საპროცესო ვადის 21 დღით გაგრძელების თაობაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 15 ივნისის განცხადებით ე. ი-ანის წარმომადგენელ ლ. ხ-შვილის შუამდგომლობა საპროცესო ვადის გაგრძელების შესახებ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შუამდგომლობის ავტორს გაუგრძელდა ხარვეზის გამოსწორებისათვის დადგენილი ვადა 2010 წლის 30 ივნისამდე და "საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 71-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე დაევალა სათანადო მტკიცებულების წარდგენის გზით დადასტურება, რომ ქ.თელ-ავივის საქალაქო საქმეთა სასამართლოს 2009 წლის 20 დეკემბრის დადგენილება შესულია კანონიერ ძალაში და ექვემდებარება აღსრულებას, ასევე განემარტა ხარვეზის გამოუსწორებლობის შედეგი.

აღნიშნული განჩინების თაობაზე წარმომადგენელს ეცნობა სატელეფონო შეტყობინების მეშვეობით (იხ. სატელეფონო შეტყობინების აქტი).

ხარვეზის გამოსწორებისათვის დადგენილ ვადაში ლ. ხ-შვილმა განცხადებით მომართა საკასაციო სასამართლოს და იშუამდგომლა საპროცესო ვადის კიდევ 15 დღით გაგრძელების თაობაზე იმ საფუძველით, რომ მიმდინარე წლის 20 ივნისიდან ისრაელის საერთო სასამართლოებში გამოცხადებულია კანცელარიის მომსახურე მუშაკთა გაფიცვა, რის გამოც შეუძლებელია სასამართლოს მიერ ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინებით მოთხოვნილი მტკიცებულების აპოსტილით დამოწმება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად თვლის, რომ ე. ი-ანის წარმომადგენელ ლ. ხ-შვილის შუამდგომლობა ქ.თელ-ავივის საქალაქო საქმეთა სასამართლოს 2009 წლის 20 დეკემბრის დადგენილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ უნდა დარჩეს განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

"საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 63-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნების სასამართლოების შუამდგომლობა სამართლებრივი დახმარების ცალკეული საპროცესო მოქმედებათა შესრულების შესახებ ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. დასახელებული ნორმების თანახმად, საკასაციო სასამართლო უცხო ქვეყნის შუამდგომლობის ცნობასთან დაკავშირებული გარემოებების სამართლებრივი შეფასებისა თუ საპროცესო მოქმედების შესრულებისას ხელმძღვანელობს ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად.

განსახილველ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს 2010 წლის 15 ივნისის განჩინებით ე. ი-ანის წარმომადგენელ ლ. ხ-შვილს გაუგრძელდა საპროცესო ვადა 2010 წლის 30 ივნისამდე და "საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 71-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე დაევალა მტკიცებულების წარმოდგენა შუამდგომლობაში მითითებული გადაწყვეტილების ძალაში შესვლისა და მისი აღსრულების აუცილებლობის შესახებ. ამავე განჩინებით განემარტა მხარეს დადგენილი საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობის შედეგი.

საკასაციო სასამართლოს აღნიშნული განჩინება მხარის წარმომადგენელ ლ. ხ-შვილს ჩაბარდა სატელეფონო შეტყობინების მეშვეობით, რაც დასტურდება საქმეში წარმოდგენილი სატელეფონო შეტყობინების აქტით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, უწყება მხარისათვის ან მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩააბარდება ერთ-ერთ მათგანს. დასახელებული ნორმის თანახმად, მხარის ან მისი წარმომადგენლისათვის სასამართლო შეტყობინების ჩაბარება საკმარის საფუძველს წარმოადგენს ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შესასრულებლად. ამავე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, სასამართლო უფლებამოსილია, სასამართლო შეტყობინება მხარეს ჩააბაროს, აგრეთვე, ტელეფონის საშუალებით. აღნიშნული ტიპის შეტყობინების ნამდვილობისათვის კანონმდებელი უთითებს, რომ საქმეში იყოს სასამართლოს შესაბამისი მოხელის მიერ შედგენილი აქტი სატელეფონო შეტყობინების მხარისათვის ჩაბარების თაობაზე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის პირველი ნაწილი კი ადგენს, რომ სასამართლო დამოუკიდებლად წყვეტს, ადრესატს შეტყობინება რა ფორმით ჩააბაროს.

ხარვეზის გამოსწორებისათვის დადგენილ ვადაში 2010 წლის 29 ივნისს ლ. ხ-შვილმა განცხადებით განმეორებით მომართა საკასაციო სასამართლოს და იშუამდგომლა საპროცესო ვადის კიდევ 15 დღით გაგრძელების თაობაზე იმ საფუძველით, რომ მიმდინარე წლის 20 ივნისიდან ისრაელის საერთო სასამართლოებში გამოცხადებულია კანცელარიის მომსახურე მუშაკთა გაფიცვა, რის გამოც შეუძლებელია სასამართლოს მიერ ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინებით მოთხოვნილი მტკიცებულების აპოსტილით დამოწმება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით ან სასამართლოს მიერ დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ განუხილველი დარჩება.

რაც შეეხება მხარის მიერ 2010 წლის 29 ივნისის განცხადებაში მითითებულ გარემოებას, რომ ისრაელის საერთო სასამართლოებში გამოცხადებულია კანცელარიის მომსახურე მუშაკთა გაფიცვა, რის გამოც სასამართლოს განჩინებით დაკისრებული მტკიცებულების წარმოდგენა ვერ მოხერხდა, აღნიშნული ვერ იქნება გაზიარებული სასამართლოს მიერ, ვინაიდან შუამდგომლობის ავტორს ორჯერ მიეცა ვადა ხარვეზის გამოსწორებისათვის და 2010 წლის 8 ივნისიდან დღემდე ვერ შეძლო კანონით გათვალისწინებული მტკიცებულების წარმოდგენა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი გამოვლინდება ამ სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ, მაშინ იმის მიხედვით, თუ როგორია ეს საფუძველი, სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას ან სარჩელს განუხილველად დატოვებს (ამ კოდექსის 272-ე და 275-ე მუხლები). დასახელებული ნორმის თანახმად, სასამართლო სარჩელს (მხარის შუამდგომლობას უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ) დატოვებს განუხილველად ან შეწყვეტს საქმის წარმოებას იმ შემთხვევაში, თუ საქმის განხილვისას გაირკვა, რომ არ არსებობს შუამდგომლობის წარმოებაში მიღების ესა თუ ის პირობა, ამასთან მითითებული ნორმით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგი - საქმის წარმოების შეწყვეტა ან უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ შუამდგომლობის განუხილველად დატოვება გამომდინარეობს მისი წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის საფუძველიდან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რადგანაც ე. ი-ანის წარმომადგენელ ლ. ხ-შვილს საკასაციო სასამართლოს 2010 წლის 15 ივნისის განჩინებაში მითითებული უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლისა და მისი აღსრულების აუცილებლობის შესახებ მტკიცებულება არ წარმოუდგენია, მისი შუამდგომლობა ქ.თელ-ავივის საქალაქო საქმეთა სასამართლოს 2009 წლის 20 დეკემბრის დადგენილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ უნდა დარჩეს განუხილველად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა "საერთაშორისო კერძოს სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 63-ე მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის მეორე ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ე. ი-ანის წარმომადგენელ ლ. ხ-შვილის შუამდგომლობა ქ.თელ-ავივის საქალაქო საქმეთა სასამართლოს 2009 წლის 20 დეკემბრის დადგენილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დარჩეს განუხილველად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება

განჩინება

#ა-1175-შ-27-2010 5 ივლისი, 2010 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ლ. ლაზარაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი,  
პ. ქათამაძე

განხილვის საგანი: გერმანიის საოჯახო საქმეთა განმხილველი მერცივის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილების (საქმე # 27 F 111/09 შ) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

აღწერილობითი ნაწილი:

გერმანიის საოჯახო საქმეთა განმხილველი მერცივის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილებით მერცივის მმარის განყოფილების უფროსის მიერ 2007 წლის 21 დეკემბერს მხარეთა შორის რეგისტრირებული ქორწინება (საქორწინო აქტების რეგისტრის # 121/2007) შეწყდა; მეუღლეებს შორის კომპენსაციის უზრუნველყოფა არ შედგა; სასამართლო ხარჯები მხარეებს თანაბრად გადახდათ.



საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა ს. ლ-იამ, რომელმაც მხარეებს შორის განქორწინების ნაწილში ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 27 მაისის განჩინებით ს. ლ-იას შუამდგომლობა გერმანიის საოჯახო საქმეთა განმხილველი მერციგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილების (საქმე # 27 F 111/09 შ) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში, შუამდგომლობისა და თანდართული მასალების ასლები გაეგზავნა მოპასუხეს მისი ადგილსამყოფელის მიხედვით.

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ ს. ლ-იას შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ გერმანიის საოჯახო საქმეთა განმხილველი მერციგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილებით მერციგის მმჩის განყოფილების უფროსის მიერ 2007 წლის 21 დეკემბერს მხარეთა შორის რეგისტრირებული ქორწინება (საქორწინო აქტების რეესტრის # 121/2007) შეწყდა.

“საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, თუკი არ არსებობს ამავე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებანი, როგორცაა: ა) საქმე საქართველოს განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება; ბ) გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, მხარე უწყების ჩაბარების გზით არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოძახების თაობაზე ან მოხდა სხვა საპროცესო დარღვევები; გ) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე სამართლებრივ დავაზე არსებობს საქართველოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან მესამე ქვეყნის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც ცნობილ იქნა საქართველოში; დ) უცხო ქვეყნის სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპეტენტურად არ ითვლება; ე) უცხო ქვეყანა არ ცნობს საქართველოს სასამართლო გადაწყვეტილებებს; ვ) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე საკითხზე და ერთი და იმავე საფუძვლით საქართველოში მიმდინარეობს სასამართლო პროცესი; ზ) გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მითითებული მუხლის მე-2 პუნქტის “გ” და “ვ” ქვეპუნქტებთან დაკავშირებით მტკიცების ტვირთი ეკისრება მოპასუხეს, ხოლო ამ უკანასკნელის მიერ მსგავსი გარემოებების დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენილი არ ყოფილა. ამასთან, არ არსებობს არც “ა,” “ბ,” “დ,” “ე” და “ზ” ქვეპუნქტებში მითითებულ გარემოებებს.

ამდენად, საქმის მასალების თანახმად, ზემოაღნიშნულ ნორმაში მითითებული გარემოებების არსებობა საქმეზე არ დასტურდება, რის გამოც არსებობს ყველა საფუძველი, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ ცნოს გერმანიის საოჯახო საქმეთა განმხილველი მერციგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილება (საქმე # 27 F 111/09 შ), რომელიც შეეხება მხარეთა შორის რეგისტრირებული ქორწინების შეწყვეტას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე, 70-ე-71-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. ს. ლ-იას შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;
2. გერმანიის საოჯახო საქმეთა განმხილველი მერციგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილება (საქმე # 27 F 111/09 შ), რომლითაც მერციგის მმჩის განყოფილების უფროსის მიერ 2007 წლის 21 დეკემბერს მხარეთა შორის რეგისტრირებული ქორწინება (საქორწინო აქტების რეესტრის # 121/2007) შეწყდა, საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს და დაექვემდებაროს აღსრულებას;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლოს საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

## განჩინება

№ა-1302-შ-31-2010 6 ივლისი, 2010 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
მოსამართლე ლ. ლაზარაშვილი

ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა Lემვიგ Oილ თრადინგ შ.ა.-ის (წარმომადგენელი გ. ბ-მე) შუამდგომლობის დასაშვებობის საკითხი დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს უზენაესი სასამართლოს დედოფლის პალატის კომერციული სასამართლოს 2010 წლის 12 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ. საკასაციო სასამართლომ

გამოარკვია:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 9 ივნისის განჩინებით Lემვიგ Oილ თრადინგ შ.ა.-ს (წარმომადგენელი გ. ბ-მე) დაუდგინდა ხარვეზი შუამდგომლობაზე და აღნიშნული განჩინების ჩაბარებიდან 15 დღის ვადაში დაევალა: დაზუსტება, აქვს თუ არა მოსარჩელეს ან მოპასუხეს საქართველოში ადგილსამყოფელი, წარმომადგენლობა (ფილიალი) და განსახილველ საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენციის დასაბუთება; დაზუსტება, მოცემულ შემთხვევაში წარმოდგენილია თუ არა აღსასრულებელი გადაწყვეტილების სრული ტექსტი; კომპეტენტური პირის მიერ გაცემული სათანადო დოკუმენტის წარმოდგენა, რომ გ. ბ-მის მიმართ რწმუნებულების გამცემი პირი -ო. შ-ინი Lემვიგ Oილ თრადინგ შ.ა.-ის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირია.

შუამდგომლობის ავტორმა საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარმოადგინა განცხადება ხარვეზის შევსების შესახებ, რომელსაც თან დაურთო ო. შ-ინის Lემვიგ Oილ თრადინგ შ.ა.-ის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი. განცხადებაში დასაბუთებულია, რომ აღსასრულებელი გადაწყვეტილება, რომელიც წარმოადგენს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, წარმოდგენილია სრული სახით. შუამდგომლობის ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ მოპასუხე ჭილღის თრადინგ Lიმიტედ-ს (გიბრალტარის კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებული კომპანია) არ გააჩნია საქართველოში ფილიალი ან უძრავი ქონება და არც მოსარჩელე (შუამდგომლობის ავტორი) Lემვიგ Oილ თრადინგ შ.ა.-ს (შვეიცარიის კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებული კომპანია) აქვს საქართველოში რეგისტრირებული წარმომადგენლობა (ფილიალი). მიუხედავად ამისა, შუამდგომლობის ავტორი მიიჩნევს, რომ არ არსებობს შუამდგომლობის განსახილველად მიღების დამაბრკოლებელი გარემოება, რამდენადაც უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობის მიზანშეწონილების დადგენის ერთადერთი კანონიერი კრიტერიუმი (გარდა "საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" კანონის 68-ე მუხლით გათვალისწინებული შეზღუდვებისა) არის გადაწყვეტილების აღსრულებადობა, ანუ ექვემდებარება თუ არა იგი საქართველოში აღსრულებას ("საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" კანონის 70-ე მუხლის პირველი ნაწილი). შუამდგომლობის ავტორის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში გადაწყვეტილება ექვემდებარება საქართველოში აღსრულებას, ვინაიდან საქართველოს ტერიტორიაზე არსებობს მოპასუხის საკუთრებაში მყოფი აქტივი (ნავთობპროდუქტების სახით), რომლის საშუალებითაც უფლების სრული ან ნაწილობრივი დაკმაყოფილება არის შესაძლებელი და არანაირი მნიშვნელობა არ უნდა მიენიჭოს, ასეთი აქტივი უძრავი თუ მოძრავი ქონების სახით იქნება.

საკასაციო სასამართლომ განიხილა შუამდგომლობის წარმოებაში მიღების საკითხი და მიიჩნევს, რომ შუამდგომლობის ავტორის მიერ ხარვეზი სრულად არ არის შევსებული, კერძოდ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ შუამდგომლობის განხილვის კომპეტენციის ქონის ნაწილში, რის გამოც შუამდგომლობა განუხილველად უნდა იქნეს დატოვებული, შემდეგ გარემოებათა გამო:

შუამდგომლობის ავტორის განმარტების საფუძველზე დადგენილია, რომ მოპასუხე ჭილღის თრადინგ Lიმიტედ-ს არ გააჩნია საქართველოში ფილიალი ან უძრავი ქონება და არც მოსარჩელე Lემვიგ Oილ თრადინგ შ.ა.-ს აქვს საქართველოში რეგისტრირებული წარმომადგენლობა (ფილიალი). საკასაციო სასამართლო ეთანხმება შუამდგომლობის ავტორის მსჯელობას, რომ უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების მოთხოვნის შემთხვევაში გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულების შესაძლებლობის არსებობა შუამდგომლობის განხილვისათვის უკვე საკმარისი პირობაა. ამასთან, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ასეთი შესაძლებლობის არსებობა მოცემულ შემთხვევაში არ არის დასაბუთებული. ასეთ დასაბუთებას არ წარმოადგენს შუამდგომლობაზე თანდართული კომპანია "სეიბოლიტის" ცნობა, რომ 2010 წლის 15 თებერვლის მდგომარეობით ბათუმის ტერმინალში მოპასუხე ვ-ის ტ-გის, როგორც ტვირთმიმღების, სახელზე ინახება 1,791.906 მეგა ტონა გოგირდის დაბალი შემცველობის გაზოი-

ლი, 4,791 მეგა ტონა ნაფტა. აღნიშნული არ არის მოპასუხე ჭილის თრადინგ ლიმიტედ-ის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე აღნიშნული ნავთობპროდუქტების საკუთრებაში ქონის დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულება. ცნობა, რომელიც საქმეში წარმოდგენილია ქსეროასლის სახით, საუბრობს 2010 წლის 15 თებერვლის მდგომარეობაზე, მაშინ როდესაც საქმესთან შემხებლობა აქვს საქმის განხილვისათვის არსებულ მდგომარეობას. გარდა ამისა, ცნობის გამცემად მითითებულია კომპანია "სეიბოლიტი", რომლის კომპეტენცია, გამოიკვლიოს მოპასუხის საკუთრებაში არსებული ქონების საკითხები, არ არის დასაბუთებული. ამასთან, სატრანსპორტო დოკუმენტაციაში პირის ტვირთმიმღებად დასახელების ფაქტი თავისთავად არ ნიშნავს ნივთზე ამ პირის საკუთრების ფაქტის დადგენას.

"საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების ობიექტად მოიაზრება არა კანონიერ ძალაში შესული ნებისმიერი გადაწყვეტილება, არამედ - მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე ცნობაუნარიანი და აღსრულებადი გადაწყვეტილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში არ არის დასაბუთებული შუამდგომლობის განსახილველად მიღების წინაპირობები, რაც მისი განუხილელად დატოვების საფუძველია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით, "საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 68-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. ლემვიგ ოილ თრადინგ შ.ა.-ის (წარმომადგენელი გ. ბ-მე) შუამდგომლობა დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს უხენაესი სასამართლოს დედოფლის პალატის კომერციული სასამართლოს 2010 წლის 12 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დატოვებულ იქნეს განუხილველად;

2. ლემვიგ ოილ თრადინგ შ.ა.-ს (წარმომადგენელი გ. ბ-მე) დაუბრუნდეს გ. ბ-მის მიერ შუამდგომლობაზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 100 ლარის ოდენობით;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

#ა-1015-შ-20-2010

12 ივლისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უხენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი,

პ. ქათამაძე

გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებას მხარე მოითხოვს: ყაზახეთის რესპუბლიკის ქ.ალმაატის რაიონთაშორისი სპეციალიზებული ეკონომიკური სასამართლოს 2009 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილება

დავის საგანი: ფულადი ვალდებულების შესრულება

აღწერილობითი ნაწილი:

ყაზახეთის რესპუბლიკის ქ.ალმაატის რაიონთაშორისი სპეციალიზებული ეკონომიკური სასამართლოს 2009 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სს "საერთაშორისო აეროპორტი ალმაატას" სარჩელი შპს "ავიაკომპანია ...-ის" მიმართ დაკმაყოფილდა, შპს "ავიაკომპანია ევროლაინს" სს "ალმაატის საერთაშორისო აეროპორტის" სასარგებლოდ დაეკისრა თანხა -11262,27 აშშ დოლარი და საქმის განხილვასთან დაკავშირებით სახელმწიფო ბაჟი -50927 ტენგე.

ყაზახეთის რესპუბლიკის ქ.ალმაატის რაიონთაშორისმა სპეციალიზებულმა ეკონომიკურმა სასამართლომ და სს "საერთაშორისო აეროპორტი ალმაატამ" შუამდგომლობით მომართეს საქართველოს უხენაესი სასამართლოს და მოითხოვეს ყაზახეთის რესპუბლიკის ქ.ალმაატის რაიონთაშორისი სპე-

ციალიზებული ეკონომიკური სასამართლოს 2009 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

შუამდგომლობის ავტორების მიერ წარმოდგენილი ცნობით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებას მხარეები მოითხოვენ, კანონიერ ძალაში შევიდა 2009 წლის 12 ნოემბერს, სახელმწიფო ბაჟისა და თანხის დაკისრების ნაწილში აღნიშნული გადაწყვეტილება ყაზახეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა, ასევე დასტურდება, რომ შპს "ავიაკომპანია ევროლანი" სათანადოდ იქნა ინფორმირებული სასამართლო სხდომის დროისა და ადგილის შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 20 მაისის განჩინებით ყაზახეთის რესპუბლიკის ქ.ალმატის რაიონთაშორისი სპეციალიზებული ეკონომიკური სასამართლოსა და სს "ალმატის საერთაშორისო აეროპორტის" შუამდგომლობები ყაზახეთის რესპუბლიკის ქ.ალმატის რაიონთაშორისი სპეციალიზებული ეკონომიკური სასამართლოს 2009 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად თვლის, რომ ყაზახეთის რესპუბლიკის ქ.ალმატის რაიონთაშორისი სპეციალიზებული ეკონომიკური სასამართლოსა და სს "ალმატის საერთაშორისო აეროპორტის" შუამდგომლობები ყაზახეთის რესპუბლიკის ქ.ალმატის რაიონთაშორისი სპეციალიზებული ეკონომიკური სასამართლოს 2009 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალების შესწავლით დასტურდება, რომ ყაზახეთის რესპუბლიკის ქ.ალმატის რაიონთაშორისი სპეციალიზებული ეკონომიკური სასამართლოს 2009 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სს "საერთაშორისო აეროპორტი ალმატას" სარჩელი შპს "ავიაკომპანია ...-ის" მიმართ დაკმაყოფილდა, შპს "ავიაკომპანია ...-ს" სს "ალმატის საერთაშორისო აეროპორტის" სასარგებლოდ დაეკისრა თანხა -11262,27 აშშ დოლარი და საქმის განხილვასთან დაკავშირებით სახელმწიფო ბაჟი -50927 ტენგე. საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართეს ყაზახეთის რესპუბლიკის ქ.ალმატის რაიონთაშორისმა სპეციალიზებულმა ეკონომიკურმა სასამართლომ და სს "ალმატის საერთაშორისო აეროპორტმა" მოითხოვეს თანხისა და სასამართლოს ხარჯების დაკისრების ნაწილში აღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

შუამდგომლობის ავტორთა მიერ წარმოდგენილი ცნობით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებას მხარეები მოითხოვენ, კანონიერ ძალაში შევიდა 2009 წლის 12 ნოემბერს, სახელმწიფო ბაჟისა და თანხის დაკისრების ნაწილში აღნიშნული გადაწყვეტილება ყაზახეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა, ასევე დასტურდება, რომ შპს "ავიაკომპანია ..." სათანადოდ იქნა ინფორმირებული სასამართლო სხდომის დროისა და ადგილის შესახებ.

"საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია ამავე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს, ამდენად, ყაზახეთის რესპუბლიკის ქ.ალმატის რაიონთაშორისი სპეციალიზებული ეკონომიკური სასამართლოს 2009 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა "საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

ყაზახეთის რესპუბლიკის ქ. ალმატის რაიონთაშორისი სპეციალიზებული ეკონომიკური სასამართლოსა და სს "ალმატის საერთაშორისო აეროპორტის" შუამდგომლობები ყაზახეთის რესპუბლიკის ქ.ალმატის რაიონთაშორისი სპეციალიზებული ეკონომიკური სასამართლოს 2009 წლის 15 ოქტომ-

ბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს.

ცნობილ იქნას საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად ყაზახეთის რესპუბლიკის ქ.ალმაატის რაიონთაშორისი სპეციალიზებული ეკონომიკური სასამართლოს 2009 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილება შპს "ავიაკომპანია ...-თვის" სს "ალმაატის საერთაშორისო აეროპორტის" სასარგებლოდ თანხის -11262,27 აშშ დოლარისა და საქმის განხილვასთან დაკავშირებით სახელმწიფო ბაჟის -50927 ტენგეს დაკისრების შესახებ.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

#ა-1129-შ-26-2010

12 ივლისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. ლაზარაშვილი,  
პ. ქათამაძე

გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებას მხარე მოითხოვს: ბელარუსის რესპუბლიკის ქ.მოგილევის ოქტომბრის რაიონის სასამართლოს 2010 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილება

დავის საგანი: ალიმენტის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

ნ. შ-ოვამ სარჩელი აღძრა სასამართლოში დ. ტ-ძის მიმართ არასრულწლოვანი შვილების რჩენა-აღზრდისათვის ალიმენტის დაკისრების მოთხოვნით.

ბელარუსის რესპუბლიკის ქ.მოგილევის ოქტომბრის რაიონის სასამართლოს 2010 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა -დ. ტ-ძეს ნ. შ-ოვას სასარგებლოდ დაეკისრა 1997 წლის 13 სექტემბერს დაბადებული არასრულწლოვანი კ. ტ-ძისა და 2002 წლის 21 აპრილს დაბადებული მ. ტ-ძის რჩენისათვის 2009 წლის 19 თებერვლიდან ყოველთვიურად ყოველგვარი ხელფასის ან სხვა შემოსავლის 33%-ის გადახდა ბავშვების სრულწლოვანებამდე, ამასთან, შრომისუნარიანი მშობლებისათვის ალიმენტის მინიმალური ოდენობა თვეში უნდა შეადგენდეს ერთ სულ მოსახლეზე საარსებო მინიმუმის 75%-ს. მოპასუხეს საქმის განმხილველი სახელმწიფოს სასარგებლოდ ასევე დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის -119700 რუბლის ანაზღაურება.

ნ. შ-ოვამ და ბელარუსის რესპუბლიკის ქ.მოგილევის ოქტომბრის რაიონის სასამართლომ შუამდგომლობით მომართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს და მოითხოვეს დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

შუამდგომლობის ავტორების მიერ წარმოდგენილი ცნობით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებას მხარეები მოითხოვენ, კანონიერ ძალაში შევიდა 2010 წლის 2 მარტს, სახელმწიფო ბაჟისა და ალიმენტის დაკისრების ნაწილში აღნიშნული გადაწყვეტილება ბელარუსის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა, ასევე დასტურდება, რომ დ. ტ-ძე სათანადოდ იქნა ინფორმირებული სასამართლო სხდომის დროისა და ადგილის შესახებ, ასევე ჩაბარდა სარჩელის ასლი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 31 მაისის განჩინებით ბელარუსის რესპუბლიკის ქ.მოგილევის ოქტომბრის რაიონის სასამართლოსა და ნ. შ-ოვას შუამდგომლობები მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად თვლის, რომ ბელარუსის რესპუბლიკის ქ.მოგილევის ოქტომბრის რაიონის სასამართლოსა და ნ. შ-ოვას შუამდგომლობები უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბელარუსის რესპუბლიკის ქ.მოგილევის ოქტომბრის რაიონის

სასამართლოს 2010 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალების შესწავლით დასტურდება, რომ ბელარუსის რესპუბლიკის ქ. მოგილევის ოქტომბრის რაიონის სასამართლოს 2010 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა - დ. ტ-ძეს ნ. შ-ოვას სასარგებლოდ დაეკისრა 1997 წლის 13 სექტემბერს დაბადებული არასრულწლოვანი კ. ტ-ძისა და 2002 წლის 21 აპრილს დაბადებული მ. ტ-ძის რჩენისათვის 2009 წლის 19 თებერვლიდან ყოველთვიურად ყოველგვარი ხელფასის ან სხვა შემოსავლის 33%-ის გადახდა ბავშვების სრულწლოვანებამდე. ამასთან, შრომისუნარიანი მშობლებისათვის ალიმენტის მინიმალური ოდენობა თვეში უნდა შეადგენდეს ერთ სულ მოსახლეზე საარსებო მინიმუმის 75%-ს. მოპასუხეს საქმის განმხილველი სახელმწიფოს სასარგებლოდ ასევე დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის - 119700 რუბლის ანაზღაურება. საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მიმართეს ბელარუსის რესპუბლიკის ქ. მოგილევის ოქტომბრის რაიონის სასამართლომ და ნ. შ-ოვამ მოითხოვეს ალიმენტისა და სასამართლოს ხარჯების დაკისრების ნაწილში აღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

შუამდგომლობის ავტორთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულებას მხარეები მოითხოვენ, კანონიერ ძალაში შევიდა 2010 წლის 2 მარტს, სახელმწიფო ბაჟისა და ალიმენტის დაკისრების ნაწილში აღნიშნული გადაწყვეტილება ბელარუსის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა. ასევე დასტურდება, რომ დ. ტ-ძე სათანადოდ იქნა ინფორმირებული სასამართლო სხდომის დროისა და ადგილის შესახებ და ჩაბარდა სარჩელის ასლი.

"საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია ამავე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, ბელარუსის რესპუბლიკის ქ. მოგილევის ოქტომბრის რაიონის სასამართლოს 2010 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა "საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

ბელარუსის რესპუბლიკის ქ. მოგილევის ოქტომბრის რაიონის სასამართლოსა და ნ. შ-ოვას შუამდგომლობები ბელარუსის რესპუბლიკის ქ. მოგილევის ოქტომბრის რაიონის სასამართლოს 2010 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს.

ცნობილ იქნას საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად ბელარუსის რესპუბლიკის ქ. მოგილევის ოქტომბრის რაიონის სასამართლოს 2010 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილება, რომლითაც დ. ტ-ძეს ნ. შ-ოვას სასარგებლოდ დაეკისრა 1997 წლის 13 სექტემბერს დაბადებული არასრულწლოვანი კ. ტ-ძისა და 2002 წლის 21 აპრილს დაბადებული მ. ტ-ძის რჩენისათვის 2009 წლის 19 თებერვლიდან ყოველთვიურად ყოველგვარი ხელფასის ან სხვა შემოსავლის 33%-ის გადახდა ბავშვების სრულწლოვანებამდე. შრომისუნარიანი მშობლებისათვის ალიმენტის მინიმალური ოდენობა თვეში უნდა შეადგენდეს ერთ სულ მოსახლეზე საარსებო მინიმუმის 75%-ს. ასევე საქმის განმხილველი სახელმწიფოს სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის -119700 რუბლის ანაზღაურების დაკისრების შესახებ.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
მოსამართლე: მ. სულხანიშვილი

საქმის ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა ქ. ლ-ძის წარმომადგენლის ნ. ფ-ძის შუამდგომლობის დასაშვებობის საკითხი ქალაქ თესალონიკის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2005 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ შვილად აყვანის თაობაზე.

პალატამ გამოარკვია:

საქმის ზეპირი განხილვის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს და მიაჩნია, რომ ქ. ლ-ძის წარმომადგენლის ნ. ფ-ძის შუამდგომლობა ქალაქ თესალონიკის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2005 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ შვილად აყვანის თაობაზე განუხილველად უნდა დარჩეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 7-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ არ არსებობს სადავო ურთიერთობის მომწესრიგებელი კანონი, სასამართლო იყენებს კანონს, რომელიც აწესრიგებს მსგავს ურთიერთობებს, ხოლო თუ ასეთი კანონიც არ არსებობს, სასამართლო ემყარება საქართველოს კანონმდებლობის ზოგად პრინციპებს.

ამავე კოდექსის 396-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი არ უპასუხებს აქ ჩამოთვლილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც უნიშნავს მას ვადას. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული ან საკასაციო საჩივარი არ არის შეტანილი კანონით დადგენილ ვადაში, საკასაციო საჩივარი განუხილველი დარჩება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 16 თებერვლის განჩინებით ქ. ლ-ძის წარმომადგენელს ნ. ფ-ძეს მიეცა 10-დღიანი ვადა ხარვეზის გამოსასწორებლად, კერძოდ, მის მიერ წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო:

- 1) ქალაქ თესალონიკის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2005 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილების დამოწმებული ასლი;
- 2) ლეგალიზებული, თარგმნილი და დამოწმებული ცნობა ამ გადაწყვეტილების კანონიერებაში შესვლის შესახებ;
- 3) ლეგალიზებული, თარგმნილი და დამოწმებული ცნობა იმის შესახებ, რომ გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღსრულება არ მომხდარა;
- 4) საქართველოს ადვოკატის ტესტირების გავლის და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის დამადასტურებელი დოკუმენტები.

2010 წლის 5 მარტს ნ. ფ-ძემ განცხადებით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და წარმოადგინა საქართველოს ადვოკატთა ტესტირების გავლის სერთიფიკატი და მისი წევრობის დამადასტურებელი მოწმობა, ხოლო საკასაციო პალატის 2010 წლის 16 თებერვლის განჩინებაში მითითებული დოკუმენტების წარმოსაგენად მოითხოვა ხარვეზის ვადის გაგრძელება 20 მარტამდე.

2010 წლის 10 მარტის განჩინებით ხარვეზის შევსების ვადა გაგრძელდა 10 დღით.

ამავე წლის 15 მარტს ნ. ფ-ძემ განცხადებით მიმართა უზენაეს სასამართლოს და წარმოადგინა ცნობა ოჯახის მდგომარეობის შესახებ და ოფიციალური დოკუმენტის ჩაბარების ოქმი.

2010 წლის 25 მარტის განჩინებით ხარვეზის შევსების ვადა გაგრძელდა 10 დღით.

ამავე წლის 11 მაისს ქ. ლ-ძის წარმომადგენელმა ნ. ფ-ძემ განცხადებით მიმართა საკასაციო პალატას და მოითხოვა ხარვეზის ვადის გაგრძელება.

2010 წლის 21 მაისის განჩინებით ხარვეზის შევსების ვადა გაგრძელდა 10 დღით. ხარვეზის განჩინება გაეგზავნა კანონით დადგენილ ვადაში და ჩაბარდა 14 ივნისს. შესაბამისად, ხარვეზის შესავსებად განსაზღვრული საპროცესო ვადა ამოიწურა მიმდინარე წლის 24 ივნისს, მაგრამ აღნიშნულ ვადაში მის მიერ ხარვეზი არ იქნა შევსებული.

პალატა თვლის, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მესამე ნაწილის ბოლო წინადადების თანახმად, შუამდგომლობა დაუშვებელია და უნდა დარჩეს განუხილველი.

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით, 396-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

ქ. ლ-ძის წარმომადგენლის ნ. ფ-ძის შუამდგომლობა ქალაქ თესლონიკის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2005 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველად; განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება

### განჩინება

#ა-ა-535-შ-11-10

16 ივლისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
თ. თოდრია

საქმის ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა ი. ო-ილის შუამდგომლობა გერმანიის ბად იბურგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2005 წლის 15 აგვისტოს განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ ჰ. ო-ილის მიმართ განქორწინების თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

გერმანიის ბად იბურგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2005 წლის 15 აგვისტოს განაჩენით ი. ო-ილის განცხადება ჰ. ო-ილის მიმართ განქორწინების თაობაზე დაკმაყოფილდა.

ი. ო-ილმა შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს გერმანიის ბად იბურგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2005 წლის 15 აგვისტოს განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 19 მარტის განჩინებით ი. ო-ილის შუამდგომლობა გერმანიის ბად იბურგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2005 წლის 15 აგვისტოს განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატა გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ ი. ო-ილის შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ გერმანიის ბად იბურგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2005 წლის 15 აგვისტოს განაჩენით ი. ო-ილის განცხადება დაკმაყოფილდა ჰ. ო-ილის მიმართ განქორწინების თაობაზე.

2010 წლის 5 მარტს ი. ო-ილმა შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა გერმანიის ბად იბურგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2005 წლის 15 აგვისტოს განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1132-ე მუხლის თანახმად, განქორწინების შესახებ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება აღსრულდება ერთ-ერთი ან ორივე მუხლის მოთხოვნით, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან არა უგვიანეს 3 წლისა, სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში რეგისტრაციის საშუალებით.

პალატა თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში შუამდგომლობის შემომტანმა პირმა დაარღვია ზემოაღნიშნული ნორმის მოთხოვნა, რადგან მას სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება უნდა მოეთხოვა კანონით გათვალისწინებული სამწლიანი ხანდაზმულობის ვადაში, ამ მოთხოვნით სასამართლოსათვის მიმართვა შეემლო 2008 წლის 15 აგვისტოს ჩათვლით, მან კი გადაწყვეტილების აღსრულების შესახებ შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს 2010 წლის 5 მარტს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოცემული შუამდგომლობის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:



პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით, 408-ე მუხლის მე-სამე ნაწილით, საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონის 68-ე მუხლის მეორე ნაწილის "ა" ქვეპუნქტით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

ი. ო-ილის შუამდგომლობა გერმანიის ბად იზურგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2005 წლის 15 აგვისტოს განაჩენით საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ არ დაკმაყოფილდეს;  
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება

### განჩინება

# ა-1187-შ-28-10 20 ივლისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
მოსამართლე: თ. თოდრია

საქმის ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა ზ. შ-ავას შუამდგომლობის დასაშვებობის საკითხი რუსეთის ფედერაციის ქ.კურსკის სეიმსკის ოლქის #5 სასამართლო უბნის 2009 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ ს. შ-ავას მიმართ განქორწინების თაობაზე. საკასაციო სასამართლომ

#### გამოარკვია:

რუსეთის ფედერაციის ქ.კურსკის სეიმსკის ოლქის #5 სასამართლო უბნის 2009 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილებით ს. შ-ავას სასარჩელო განცხადება ზ. შ-ავას მიმართ განქორწინების თაობაზე დაკმაყოფილდა -კურსკის ოლქის მმჩის კომიტეტის ქ. კურსკის სეიმსკის ოლქის მმჩის განყოფილების მიერ 2006 წლის 14 ოქტომბერს დარეგისტრირებული ქორწინება, სააქტო ჩანაწერი #1208 შეწყდა.

ზ. შ-ავამ შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს რუსეთის ფედერაციის ქ.კურსკის სეიმსკის ოლქის #5 სასამართლო უბნის 2009 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 4 ივნისის განჩინებით ზ. შ-ავას ხარვეზის შესავსებად დაევალა განჩინების ჩაბარებიდან 15 დღის ვადაში წარმოედგინა ქართულ ენაზე თარგმნილი და დამოწმებული ცნობა, რუსეთის ფედერაციის ქ.კურსკის სეიმსკის ოლქის #5 სასამართლო უბნის 2009 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილების კანონიერებაში შესვლს შესახებ და ასევე -მოსარჩელე ს. შ-ავას ზუსტი მისამართი. აღნიშნული განჩინების ასლი ზ. შ-ავასთვის გადასაცემად ჩაჰბარდა მის ნათესავს -ლ. ს-აიას 2010 წლის 9 ივნისს.

2010 წლის 16 ივლისს ზ. შ-ავამ საკასაციო სასამართლოს მიმართა განცხადებით და მოითხოვა, განუხილველად დატოვებულიყო მისი შუამდგომლობა და, ამასთან, დაბრუნებოდა მის მიერ წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ -მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს ცნოს სარჩელი. ამავე კოდექსის 399-ე მუხლის თანახმად, საქმის (მოცემულ შემთხვევაში შუამდგომლობის) განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელთაც ეს თავი შეიცავს.

ამავე კოდექსის 378-ე მუხლს პირველი ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო საჩივარზე უარის თქმა დასაშვებია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე. ამავე მუხლის მეორე ნაწილში კი მითითებულია, რომ სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის შემთხვევაში მხარეს ერთმევა უფლება, კვლავ გასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით. სამოქალაქო საპროცესო კო-

დექსის 272-ე მუხლის "გ" ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე.

ვინაიდან ზ. შ-ავამ უარი განაცხადა შუამდგომლობის განხილვაზე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მის მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობაზე წარმოება უნდა შეწყდეს.

სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე, 399-ე, 372-ე 284-ე, მუხლებით და

#### და ა ა დ გ ი ნ ა :

ზ. შ-ავას განცხადება, რუსეთის ფედერაციის ქ.კურსკის სეიმსკის ოლქის #5 სასამართლო უბნის 2009 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ შუამდგომლობის განხილვაზე უარის თქმის შესახებ დაკმაყოფილდეს;

მოცემულ შუამდგომლობაზე წარმოება შეწყდეს და შუამდგომლობის ავტორს დაუბრუნდეს მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება;

### უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება

#### განჩინება

#ა-1119-შ-24-2010 3 აგვისტო, 2010 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ლ. ლაზარაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი,  
პ. ქათამაძე

განხილვის საგანი: გერმანიის საოჯახო საქმეთა განმხილველი ვეტცლარის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2006 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილების (საქმე # 617 F 310/04 შ) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

აღწერილობითი ნაწილი:

გერმანიის საოჯახო საქმეთა განმხილველი ვეტცლარის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2006 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილებით (საქმე # 617 F 310/04 შ) საქართველოში, თბილისის მმჩის განყოფილების თანამშრომლის მიერ 1999 წლის 21 სექტემბერს რეგისტრირებული ქორწინება (რეგისტრაციის # 104/99) შეწყდა, დადგინდა, რომ გადაწყვეტილების გამოტანის დროისათვის ქორწინების მანძილზე მიღებული შემოსავლისაგან დამოუკიდებლად მეუღლეების წილთა გათანაბრება არ მოხდებოდა, სასამართლო დავის ხარჯები ორივე მხარის მიმართ მოიხსნა.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა რ. ფ-მა, რომელმაც მხარეებს შორის განქორწინების ნაწილში ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 24 მაისის განჩინებით რ. ფ-ის შუამდგომლობა გერმანიის საოჯახო საქმეთა განმხილველი ვეტცლარის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2006 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილების (საქმე # 617 F 310/04 შ) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში, შუამდგომლობისა და თანდართული მასალების ასლები გაეგზავნა მოპასუხეს მისი ადგილსამყოფელის მიხედვით.

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ რ. ფრანცის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ გერმანიის საოჯახო საქმეთა განმხილველი ვეტცლარის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2006 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილებით (საქმე # 617 F 310/04 შ) საქართველოში თბილისის მმჩის განყოფილების თანამშრომლის მიერ 1999 წლის 21 სექტემბერს რეგისტრირებული ქორწინება (რეგისტრაციის #104/99) შეწყდა.

"საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 68-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, თუკი არ არსებობს ამავე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებანი, როგორცაა: ა) საქმე საქართველოს განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება; ბ) გადაწყვეტი-

ლების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, მხარე უწყების ჩაბარების გზით არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოძახების თაობაზე ან მოხდა სხვა საპროცესო დარღვევები; გ) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე სამართლებრივ დავაზე არსებობს საქართველოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან მესამე ქვეყნის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც ცნობილ იქნა საქართველოში; დ) უცხო ქვეყნის სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპეტენტურად არ ითვლება; ე) უცხო ქვეყანა არ ცნობს საქართველოს სასამართლო გადაწყვეტილებებს; ვ) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე საკითხზე და ერთი და იმავე საფუძვლით საქართველოში მიმდინარეობს სასამართლო პროცესი; ზ) გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მითითებული მუხლის მე-2 პუნქტის "გ" და "ვ" ქვეპუნქტებთან დაკავშირებით მტკიცების ტვირთი ეკისრება მოპასუხეს, ხოლო ამ უკანასკნელის მიერ მსგავსი გარემოებების დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენილი არ ყოფილა. ამასთან, არ არსებობს არც "ა," "ბ," "დ," "ე" და "ზ" ქვეპუნქტებში მითითებული გარემოებები.

ამდენად, საქმის მასალების თანახმად, ზემოაღნიშნულ ნორმაში მითითებული გარემოებების არსებობა საქმეზე არ დასტურდება, რის გამოც არსებობს ყველა საფუძველი, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ ცნოს გერმანიის საოჯახო საქმეთა განმხილველი ვეტცლარის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2006 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილება (საქმე # 617 F 310/04 შ), რომელიც შეეხება მხარეთა შორის რეგისტრირებული ქორწინების შეწყვეტას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა "საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 68-ე, 70-ე-71-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. რ. ფ-ის (წარმომადგენელი მ. კ-მე) შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;
2. გერმანიის საოჯახო საქმეთა განმხილველი ვეტცლარის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2006 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილება (საქმე # 617 F 310/04 შ), რომლითაც საქართველოში, თბილისის მმარის განყოფილების თანამშრომლის მიერ 1999 წლის 21 სექტემბერს რეგისტრირებული ქორწინება (რეგისტრაციის # 104/99) შეწყდა, საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს და დაექვემდებაროს აღსრულებას;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

#ა-1289-შ-30-10

13 სექტემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
თ. თოდრია

საქმის ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა ი. კ-ის შუამდგომლობა ფლორიდა სემინოლის ოლქში და ოლქის სახელით საოლქო სასამართლოს მეთვრამეტე იურიდიული ოლქის 2009 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ ე. კ. კესერის მიმართ განქორწინების თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ფლორიდა სემინოლის ოლქში და ოლქის სახელით საოლქო სასამართლოს მეთვრამეტე იურიდიული ოლქის 2009 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილებით მხარეთა შორის შეწყდა ქორწინება და მათ დაუბრუნდათ დასაქორწინებლის სტატუსი; მხარეებმა ნებაყოფლობით გააფორმეს საქორწინო კონტრაქტი (ხელშეკრულება) და ბავშვების აღზრდის გეგმა. თითოეულმა მხარემ შეავსო ფინანსუ-

რი წერილობითი ჩვენება საოჯახო სამართლის მოთხოვნათა შესაბამისად. ამავდროულად, ამ საქმეში საქორწინო კონტრაქტი (ხელშეკრულება) და ბავშვების აღზრდის გეგმა შევსებულია როგორც ჩვენება "A", რომელიც ხელმოწერილია და წარმოადგენს ამ საბოლოო გადაწყვეტილების ნაწილს. მხარეები ვალდებული არიან, სრულად დაემორჩილონ ყველა დებულებას. სასამართლო ადგენს, რომ ამჟამად მხარეებს გააჩნიათ შესაძლებლობა შეასრულონ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, რაზეც მხარეებმა ხელი მოაწერეს და რაც წარმოადგენს სასამართლო გადაწყვეტილების ნაწილს. აღდგენილია მეუღლის ქორწინებამდელი გვარი - ე. კ. კ-რი.

ი. კ-იამ შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს ფლორიდა სემინოლის ოლქში და ოლქის სახელით საოლქო სასამართლოს მეთვრამეტე იურიდიული ოლქის 2009 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ი. კ-იას შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ ფლორიდა სემინოლის ოლქში და ოლქის სახელით საოლქო სასამართლოს მეთვრამეტე იურიდიული ოლქის 2009 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილებით მხარეთა შორის შეწყდა ქორწინება და მათ დაუბრუნდათ დასაქორწინებლის სტატუსი; მხარეებმა ნებაყოფლობით გააფორმეს საქორწინო კონტრაქტი (ხელშეკრულება) და ბავშვების აღზრდის გეგმა. თითოეულმა მხარემ შეავსო ფინანსური წერილობითი ჩვენება საოჯახო სამართლის მოთხოვნათა შესაბამისად. ამავდროულად, ამ საქმეში საქორწინო კონტრაქტი (ხელშეკრულება) და ბავშვების აღზრდის გეგმა შევსებულია როგორც ჩვენება "A", რომელიც ხელმოწერილია და წარმოადგენს ამ საბოლოო გადაწყვეტილების ნაწილს. მხარეები ვალდებული არიან, სრულად დაემორჩილონ ყველა დებულებას. სასამართლო ადგენს, რომ ამჟამად მხარეებს გააჩნიათ შესაძლებლობა, შეასრულონ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, რაზეც მხარეებმა ხელი მოაწერეს და რაც წარმოადგენს სასამართლო გადაწყვეტილების ნაწილს. აღდგენილია მეუღლის ქორწინებამდელი გვარი - ე. კ. კ-რი.

საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის 68-ე, 69-ე მუხლების თანახმად, არსებობს ყველა საფუძველი, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ ცნოს ფლორიდა სემინოლის ოლქში და ოლქის სახელით საოლქო სასამართლოს მეთვრამეტე იურიდიული ოლქის 2009 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა "საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 68-ე, 69-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ი. კ-იას შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს:

ფლორიდა სემინოლის ოლქში და ოლქის სახელით საოლქო სასამართლოს მეთვრამეტე იურიდიული ოლქის 2009 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილებით მხარეთა შორის შეწყდა ქორწინება და მათ დაუბრუნდათ დასაქორწინებლის სტატუსი; მხარეებმა ნებაყოფლობით გააფორმეს საქორწინო კონტრაქტი (ხელშეკრულება) და ბავშვების აღზრდის გეგმა. თითოეულმა მხარემ შეავსო ფინანსური წერილობითი ჩვენება საოჯახო სამართლის მოთხოვნათა შესაბამისად. ამავდროულად, ამ საქმეში საქორწინო კონტრაქტი (ხელშეკრულება) და ბავშვების აღზრდის გეგმა შევსებულია როგორც ჩვენება "A", რომელიც ხელმოწერილია და წარმოადგენს ამ საბოლოო გადაწყვეტილების ნაწილს. მხარეები ვალდებული არიან, სრულად დაემორჩილონ ყველა დებულებას. სასამართლო ადგენს, რომ ამჟამად მხარეებს გააჩნიათ შესაძლებლობა შეასრულონ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, რაზეც მხარეებმა ხელი მოაწერეს და რაც წარმოადგენს სასამართლო გადაწყვეტილების ნაწილს. აღდგენილია მეუღლის ქორწინებამდელი გვარი - ე. კ. კ-რი. აღნიშნული გადაწყვეტილება ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე და დაექვემდებაროს აღსრულებას.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ

განჩინება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
მ. სულხანიშვილი

საქმის ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა გ-შვილის (წარმომადგენელი ლ. ბ-შვილი) შუამდგომლობა გერმანიის დორტმუნდის ქვედა ინსტანციის საოჯახო სასამართლოს 2010 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, საქმეზე, ი. გ-შვილის სარჩელის გამო მ. ჯ-შვილის მიმართ განქორწინების თაობაზე. საკასაციო სასამართლომ

გამოარკვია:

2006 წლის 20 ივნისს გერმანიის ქალაქ ბერგა/ვერას მძაჩის ბიურომ საქორწინო აქტების ჩანაწერით რეგისტრაციაში გაატარა საქართველოს მოქალაქეების ი. გ-შვილისა და მ. ჯ-შვილის ქორწინება (ქორწინების რეგისტრაციის #6/2006). ი. გ-შვილმა სარჩელით მიმართა სასამართლოს მ. ჯ-შვილის მიმართ და მოითხოვა მეუღლესთან განქორწინება.

გერმანიის დორტმუნდის ქვედა ინსტანციის სასამართლოს საოჯახო სასამართლოს 2010 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა. ი. გ-შვილი და მ. ჯ-შვილი განქორწინდნენ.

აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2010 წლის 20 მარტიდან.

ი. გ-შვილმა შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს გერმანიის დორტმუნდის ქვედა ინსტანციის საოჯახო სასამართლოს 2010 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 4 ივნისის განჩინებით ი. გ-შვილის შუამდგომლობა გერმანიის დორტმუნდის ქვედა ინსტანციის საოჯახო სასამართლოს 2010 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

“საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს, ამდენად გერმანიის დორტმუნდის ქვედა ინსტანციის სასამართლოს საოჯახო სასამართლოს 2010 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ ცნობილ უნდა იქნეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” კანონის 68-ე მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

ი. გ-შვილის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს; გერმანიის დორტმუნდის ქვედა ინსტანციის სასამართლოს საოჯახო სასამართლოს 2010 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილება, რომლითაც ი. გ-შვილი და მ. ჯ-შვილი განქორწინდნენ, ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე და დაექვემდებაროს აღსრულებას.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება საქართველოს ტერიტორიაზე

განჩინება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. ლაზარაშვილი,  
პ. ქათამაძე

დავის საგანი: დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ბელარუსის რესპუბლიკის საბჭოთა რაიონის სასამართლოს 2003 წლის 3 მაისის განაჩენით კ. ბ-ანი ცნობილ იქნა დამნაშავედ ბელარუსის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 205-ე მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებაში და შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა ვადით 8 წელი, ქონების ჩამორთმევით და სასჯელის მოხდა მიესაჯა მკაცრი რეჟიმის გამოსაწორებელ კოლონიაში, კ. ბ-ანი ცნობილ იქნა უდანაშაულოდ ბელარუსის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის მე-14 მუხლის პირველი ნაწილითა და 205-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულში, განსასჯელისათვის შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება დარჩა უცვლელად და თავისუფლების აღკვეთის ვადის დენა დაიწყო 2002 წლის 19 ოქტომბრიდან, კ. ბ-ანს მატერიალური ზიანის სახით შეეფარდა 2747775 რუბლის ვ. კ-ენის, 5446705 რუბლისს -გ. კ-ენის, 659465 რუბლის -ო. გ-კოს, 1432815 რუბლის -ტ. ს-ოვას, 1311050 რუბლის -ლ. ფ-ობის, 3461775 რუბლის -ა. გ-ოვის, 3134955 რუბლის -ჟ. დ-ის, 7342135 რუბლის -ა. ზ-ოვის, 1027595 რუბლის -ს. მ-უკის, 777175 რუბლის -ლ. პ-კოს, 935870 რუბლის -ა. ა-კის, 88670 რუბლის -ვ. ს-კის, 853080 რუბლის -გ. ტ-ინის, 477720 რუბლის -ლ. დ-ევას, 617275 რუბლის -ტ. კ-ოვის, 2257085 რუბლის -ლ. ვ-ოვიჩის, 11203605 რუბლის -ზ. ვ-ოვიჩის, 7875215 რუბლის -ვ. ი-ოვას, 2050725 რუბლის -დ. ვ-ის, 33405 რუბლის -ვ. დ-კოს, 29370 რუბლის -დ. დ-კოს, 4709540 რუბლის -ა. ჩ-ტას, 2280185 რუბლის -ი. ლ-კოს, 1773486 რუბლის -ჟ. ს-კის, 1701895 რუბლის -ე. ვ-იკის სასარგებლოდ, მორალური ზიანის სახით კ. ბ-ანს ვ. კ-ენისა და ჟ. დ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 200000-200000 რუბლის ანაზღაურება, სახელმწიფოს სასარგებლოდ მსჯავრდებულს ასევე დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის - 5810965 რუბლის გადახდა.

ბელარუსის რესპუბლიკის საბჭოთა რაიონის სასამართლომ, ვ. ი-ოვმა, ა. გ-ოვმა, ტ. კ-ოვამ, ლ. პ-კომ, ა. ზ-ოვმა, ტ. ს-ოვმა, ჟ. დ-იმ, ლ. ვ-ოვიჩმა, ზ. ვ-ოვიჩმა, ი. ლ-კომ, ე. ვ-იკმა, გ. ტ-ინმა, ა. ა-კიმ, ვ. დ-კომ, დ. დ-კომ, ვ. დ-კომ, გ. კ-ენმა და ო. გ-კომ შუამდგომლობით მიმართეს საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვეს სახელმწიფო ბაჟისა და თანხის დაკისრების ნაწილში დასახელებული განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

შუამდგომლობის ავტორების მიერ წარმოდგენილი ცნობით დასტურდება, რომ კ. ბ-ანი დადგენილი ფორმით იყო ინფორმირებული სასამართლო სხდომის დროისა და ადგილის შესახებ, ასევე ირკვევა, რომ იგი მონაწილეობას იღებდა სასამართლო სხდომაზე, განაჩენი, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებას მხარეები მოითხოვენ, კანონიერ ძალაში შევიდა 2003 წლის 17 ივნისს და ექვემდებარება აღსრულებას, დასახელებული განაჩენი დაზარალებულების -ა. ზ-ოვისა და ვ. ი-ოვას სასარგებლოდ თითოეულისათვის 4760 რუბლის ნაწილში აღსრულდა სასჯელადსრულების დაწესებულების ბუღალტერიის მიერ, ხოლო დანარჩენი დაზარალებულების, ასევე, სახელმწიფოს სასარგებლოდ თანხის დაკისრების ნაწილში განაჩენზე სააღსრულებო ფურცელი არ გაცემულა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 9 ივნისის განჩინებით ბელარუსის რესპუბლიკის საბჭოთა რაიონის სასამართლოს, ვ. ი-ოვის, ა. გ-ოვის, ტ. კ-ოვას, ლ. პ-კოს, ა. ზ-ოვის, ტ. ს-ოვას, ჟ. დ-ის, ლ. ვ-ოვიჩის, ზ. ვ-ოვიჩის, ი. ლ-კოს, ე. ვ-იკის, გ. ტ-ინის, ა. ა-კის, ვ. დ-კოს, დ. დ-კოს, ვ. დ-კოს, გ. კ-ენისა და ო. გ-კოს შუამდგომლობები ზიანის ანაზღაურებისა და სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში ბელარუსის რესპუბლიკის საბჭოთა რაიონის სასამართლოს 2003 წლის 3 მაისის განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად თვლის, რომ ბელარუსის რესპუბლიკის საბჭოთა რაიონის სასამართლოს, ვ. ი-ოვის, ა. გ-ოვის, ტ. კ-ოვას, ლ. პ-კოს, ა. ზ-ოვის, ტ. ს-ოვას, ჟ. დ-ის, ლ. ვ-ოვიჩის, ზ. ვ-ოვიჩის, ი. ლ-კოს, ე. ვ-იკის, გ. ტ-ინის, ა. ა-კის, ვ. დ-კოს, დ. დ-კოს, ვ. დ-კოს, გ. კ-ენისა და ო. გ-კოს შუამდგომლობები

ზიანის ანაზღაურებისა და სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში ბელარუსის რესპუბლიკის საბჭოთა რაიონის სასამართლოს 2003 წლის 3 მაისის განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალების შესწავლით დასტურდება, რომ ბელარუსის რესპუბლიკის საბჭოთა რაიონის სასამართლოს 2003 წლის 3 მაისის განაჩენით კ. ბ-ანი ცნობილ იქნა დამნაშავედ ბელარუსის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 205-ე მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებაში და შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა ვადით 8 წელი, ქონების ჩამორთმევით. კ. ბ-ანს მატერიალური ზიანის სახით შეეფარდა 2747775 რუბლის ვ. კ-ენის, 5446705 რუბლის -გ. კ-ენის, 659465 რუბლის -ო. გ-კოს, 1432815 რუბლის -ტ. ს-ოვას, 1311050 რუბლის -ლ. ფ-ობის, 3461775 რუბლის -ა. გ-ოვის, 3134955 რუბლის -ჟ. დ-ის, 7342135 რუბლის -ა. ზ-ოვის, 1027595 რუბლის -ს. მ-უკის, 777175 რუბლის -ლ. პ-კოს, 935870 რუბლის -ა. ა-კის, 88670 რუბლის -ვ. ს-კის, 853080 რუბლის -გ. ტ-ინის, 477720 რუბლის -ლ. დ-ევას, 617275 რუბლის -ტ. კ-ოვის, 2257085 რუბლის -ლ. ვ-ოვიჩის, 11203605 რუბლის -ზ. ვ-ოვიჩის, 7875215 რუბლის -ვ. ი-ოვას, 2050725 რუბლის -დ-კო ვ-ის, 33405 რუბლის -ვ. დ-კოს, 29370 რუბლის -დ. დ-კოს, 4709540 რუბლის -ა. ჩ-ტას, 2280185 რუბლის -ი. ლ-კოს, 1773486 რუბლის -ჟ. ს-კის, 1701895 რუბლის -ე. ვ-იკის სასარგებლოდ, მორალური ზიანის სახით კ. ბ-ანს ვ. კ-ენისა და ჟ. დ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 200000-200000 რუბლის ანაზღაურება, სახელმწიფოს სასარგებლოდ მსჯავრდებულს ასევე დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის - 5810965 რუბლის გადახდა.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართეს ბელარუსის რესპუბლიკის საბჭოთა რაიონის სასამართლომ, ვ. ი-ოვმა, ა. გ-ოვმა, ტ. კ-ოვამ, ლ. პ-კომ, ა. ზ-ოვმა, ტ. ს-ოვმა, ჟ. დ-იმ, ლ. ვ-ოვიჩმა, ზ. ვ-ოვიჩმა, ი. ლ-კომ, ე. ვ-იკმა, გ. ტ-ინმა, ა. ა-კიმ, ვ. დ-კომ, დ. დ-კომ, ვ. დ-კომ, გ. კ-ენმა და ო. გ-კომ და მოითხოვეს სახელმწიფო ბაჟისა და თანხის დაკისრების ნაწილში დასახელებული განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

შუამდგომლობის ავტორთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ კ. ბ-ანი დადგენილი ფორმით იყო ინფორმირებული სასამართლო სხდომის დროისა და ადგილის შესახებ და იგი მონაწილეობას იღებდა სასამართლო სხდომაზე. განაჩენი, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებას მხარეები მოითხოვენ, კანონიერ ძალაში შევიდა 2003 წლის 17 ივნისს და ექვემდებარება აღსრულებას, დასახელებული განაჩენი დაზარალებულების -ა. ზ-ოვისა და ვ. ი-ოვის სასარგებლოდ თითოეულისათვის 4760 რუბლის ნაწილში აღსრულდა სასჯელადსრულების დაწესებულების ბუღალტერიის მიერ, ხოლო დანარჩენი დაზარალებულების, ასევე, სახელმწიფოს სასარგებლოდ თანხის დაკისრების ნაწილში განაჩენზე სააღსრულებო ფურცელი არ გაცემულა.

"საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია ამავე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, ბელარუსის რესპუბლიკის საბჭოთა რაიონის სასამართლოს 2003 წლის 3 მაისის განაჩენი თანხის დაკისრების ნაწილში საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნეს ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა "საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ბელარუსის რესპუბლიკის საბჭოთა რაიონის სასამართლოს, ვ. ი-ოვის, ა. გ-ოვის, ტ. კ-ოვას, ლ. პ-კოს, ა. ზ-ოვის, ტ. ს-ოვას, ჟ. დ-ის, ლ. ვ-ოვიჩის, ზ. ვ-ოვიჩის, ი. ლ-კოს, ე. ვ-იკის, გ. ტ-ინის, ა. ა-კის, ვ. დ-კოს, დ. დ-კოს, ვ. დ-კოს, გ. კ-ენისა და ო. გ-კოს შუამდგომლობები ზიანის ანაზღაურებისა და სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში ბელარუსის რესპუბლიკის საბჭოთა რაიონის სასამართლოს 2003 წლის 3 მაისის განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს.

ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად ბელარუსის რესპუბლიკის საბჭოთა რაიონის სასამართლოს 2003 წლის 3 მაისის განაჩენი, რომლითაც კ. ბ-ანს მატერიალური ზიანის სახით შეეფარდა 2747775 რუბლის ვ. კ-ენის, 5446705 რუბლის -გ. კ-ენის, 659465 რუბლის -ო. გ-კოს, 1432815 რუბლის -ტ. ს-ოვას, 1311050 რუბლის -ლ. ფ-ობის, 3461775 რუბლის -ა. გ-ოვის, 3134955 რუბლის -ჟ. დ-ის, 7337375 (7342135-4760) რუბლის -ა. ზ-ოვის, 1027595 რუბლის -ს. მ-უკის, 777175 რუბლის -ლ. პ-კოს, 935870 რუბლის -ა. ა-კის, 88670 რუბლის -ვ. ს-კის, 853080 რუბლის -გ. ტ-ინის, 477720 რუბლის -ლ. დ-ევას, 617275 რუბლის -ტ. კ-ოვის, 2257085 რუბლის -ლ. ვ-ოვიჩის, 11203605 რუბლის -ზ. ვ-ოვიჩის, 7870455 (7875215-4760) რუბლის -ვ. ი-ოვას, 2050725 რუბლის -დ-კო ვ-ის, 33405 რუბლის -ვ. დ-კოს, 29370 რუბლის -დ. დ-კოს, 4709540 რუბლის -ა. ჩ-ტას, 2280185 რუბლის -ი. ლ-კოს, 1773486 რუბლის -ჟ. ს-კის, 1701895 რუბლის -ე. ვ-იკის სასარგებლოდ ანაზღაურება, ასევე მორალური ზიანის სახით კ. ბ-ანს ვ. კ-ენისა და ჟ. დ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 200000-200000 რუბლის ხოლო სახელმწიფოს სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის -5810965 რუბლის ანაზღაურება.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის დადგენილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

#### განჩინება

#ა-1107-შ-23-2010 20 სექტემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. ლაზარაშვილი,  
პ. ქათამაძე

დავის საგანი: სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება

აღწერილობითი ნაწილი:

სომხეთის რესპუბლიკის ქ. ერევნის ავანისა და ნორკ-ნორკის ოლქის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2007 წლის 5 აპრილის დადგენილებით ა. ბ-ნის შუამდგომლობა, ავტომატურად "მიცუბიშ მონტეროზე" სახელმწიფო ნომრით -... ყადაღის დადების თაობაზე, დაკმაყოფილდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 25 სექტემბრის განჩინებით აღნიშნული დადგენილება ცნობილ იქნა საქართველოს ტერიტორიაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა მ. ა. შ-მა, წარმოადგინა სომხეთის რესპუბლიკის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილება სამოქალაქო საქმის -ა. ბ-ნის სარჩელის გამო მ. ა. შ-ის მიმართ ალიმენტისა და ერთობლივი ცოლქმრული ცხოვრებისას შეძენილი ქონების გაყოფის შესახებ წარმოების შეწყვეტის თაობაზე. ასევე, წარმოადგინა ამავე სასამართლოს 2008 წლის 27 ივნისის დადგენილება, რომლითაც შუამდგომლობის ავტორის განცხადებას სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ ეთქვა უარი და იშუამდგომლა დასახელებული დადგენილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 6 ივლისის განჩინებით მ. ა. შ-ის შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად თვლის, რომ მ. ა. შ-ის შუამდგომლობა სომხეთის რესპუბლიკის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 27 ივნისის დადგენილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალების შესწავლით დასტურდება, რომ სომხეთის რესპუბლიკის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 27 ივნისის დადგენილებით მ. ა. შ-ის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების თაობაზე არ დაკმაყოფილდა იმ საფუძველით, რომ სომხეთის რესპუბლიკის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 101-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ა. ბ-ნის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის გამო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლასთან ერთად გაუქმდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებაც. მ. ა. შ-მა შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა სომხეთის რესპუბლიკის სააპელაციო სასამართლოს 2008



წლის 27 ივნისის დადგენილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება. შესაბამისად, მის კუთვნილ ავტომობილზე, სახელმწიფო ნომრით - . . . , ყადაღის მოხსნა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ დადგენილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებას მხარე მოითხოვს, კანონიერ ძალაში შევიდა გამოქვეყნებისთანავე. ასევე, დასტურდება, რომ ა. ბ-ნი სათანადოდ იყო ინფორმირებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ მ. აპედ შეპის განცხადების განხილვის თაობაზე.

"საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია ამავე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, სომხეთის რესპუბლიკის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 27 ივნისის დადგენილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნეს ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა "საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

მ. ა. შ-ის შუამდგომლობა სომხეთის რესპუბლიკის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 27 ივნისის დადგენილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს.

ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად სომხეთის რესპუბლიკის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 27 ივნისის დადგენილება, რომლითაც გაუქმებულად ჩაითვალა ყადაღა მ. ა. შ-ის კუთვნილ "მიცუბიმ მონტეროს" მარკის ავტომობილზე, სახელმწიფო ნომრით -... .

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობა და აღიარება საქართველოს ტერიტორიაზე

განჩინება

#ა-1345-შ-32-2010

20 სექტემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. ლაზარაშვილი,  
პ. ქათამაძე

დავის საგანი: განქორწინება

აღწერილობითი ნაწილი:

3. კ-უხმა სარჩელი აღძრა სასამართლოში ი. ბ-შვილის მიმართ განქორწინების მოთხოვნით.

გერმანიის მოერსის სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა განყოფილების 2008 წლის 19 მაისის გადაწყვეტილებით შეწყდა 2007 წლის 12 იანვარს ნოიკირხენ-ვლუინის მძაჩის განყოფილებაში მხარეებს შორის 2/2007 სარეგისტრაციო ნომრით რეგისტრირებული ქორწინება ამავე გადაწყვეტილებით მხარეებს შორის წილების გათანაბრება არ შემდგარა.

ი. ბ-შვილმა შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს გერმანიის მოერსის სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა განყოფილების 2008 წლის 19 მაისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 25 მაისის განჩინებით ი. ბ-შვილის შუამდგომლობა გერმანიის მოერსის სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა განყოფილების 2008 წლის 19 მაისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ი. ბ-შვილის შუამდგომლობა გერმანიის მოერსის სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა განყოფილების 2008 წლის 19 მაისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

გერმანიის მოერსის სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა განყოფილების 2008 წლის 19 მაისის გადაწყვეტილებით შეწყდა 2007 წლის 12 იანვარს ნოიკირხენ-ვლუინის მმაჩის განყოფილებაში მხარეებს შორის 2/2007 სარეგისტრაციო ნომრით რეგისტრირებული ქორწინება. ამავე გადაწყვეტილებით მხარეებს შორის წილების გათანაბრება არ შემდგარა.

გერმანიის მოერსის სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა განყოფილების 2008 წლის 19 მაისის გადაწყვეტილების თანახმად, მოცემული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2008 წლის 28 ივნისს.

“საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, გერმანიის მოერსის სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა განყოფილების 2008 წლის 19 მაისის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნეს ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ი. ბ-შვილის შუამდგომლობა გერმანიის მოერსის სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა განყოფილების 2008 წლის 19 მაისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების თაობაზე დაკმაყოფილდეს.

საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიექცეს აღსასრულებლად გერმანიის მოერსის სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა განყოფილების 2008 წლის 19 მაისის გადაწყვეტილება, რომლითაც 2007 წლის 12 იანვარს ნოიკირხენ-ვლუინის მმაჩის განყოფილებაში 2/2007 სარეგისტრაციო ნომრით მხარეებს შორის რეგისტრირებული ქორწინება შეწყდა.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის გადაწყვეტილებათა ცნობა და აღსრულება საქართველოს ტერიტორიაზე

განჩინება

#ა-1437-შ-33-10

20 სექტემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
თ. თოდრია

საქმის ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა ი. კ-იანის წარმომადგენლის ნ. კ-იანის შუამდგომლობა ნიურნბერგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 27 ნოემბრის განჩინების

საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დომინიკ ჰომანის მიმართ განქორწინების თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ნიურნბერგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 27 ნოემბრის განჩინებით ნიურნბერგის მმაჩის ბიუროს მიერ 2009 წლის 1 სექტემბერს (საქორწინო რეესტრის ნომერი E 1322/2009) რეგისტრირებული წყვილის ქორწინება გაუქმდა.

ი. პ-იანის წარმომადგენელმა ნ. პ-იანმა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს ნიურნბერგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 27 ნოემბრის განჩინების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ი. პ-იანის წარმომადგენლის ნ. პ-იანის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ ნიურნბერგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 27 ნოემბრის განჩინებით გაუქმდა ნიურნბერგის მმაჩის ბიუროს მიერ 2009 წლის 1 სექტემბერს (საქორწინო რეესტრის ნომერი E 1322/2009) რეგისტრირებული წყვილის ქორწინება.

“საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე, 69-ე მუხლების თანახმად, არსებობს ყველა საფუძველი, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ ცნოს ნიურნბერგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 27 ნოემბრის განჩინება.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე, 69-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ი. პ-იანის წარმომადგენლის ნ. პ-იანის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს: ნიურნბერგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 27 ნოემბრის განჩინებით გაუქმდა ნიურნბერგის მმაჩის ბიუროს მიერ 2009 წლის 1 სექტემბერს (საქორწინო რეესტრის ნომერი E1322/2009) რეგისტრირებული წყვილის ქორწინება. აღნიშნული გადაწყვეტილება ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე და დაექვემდებაროს აღსრულებას.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება

განჩინება

#ა-1485-შ-34-2010 20 სექტემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ლ. ლაზარაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი,  
პ. ქათამაძე

განხილვის საგანი: გერმანიის მიუნხენის საქალაქო სასამართლოს საოჯახო საქმეთა მე-5 განყოფილების 2010 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილების (საქმე # 524 F 9759/09) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

აღწერილობითი ნაწილი:

გერმანიის მიუნხენის საქალაქო სასამართლოს საოჯახო საქმეთა მე-5 განყოფილების 2010 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილებით (საქმე # 524 F 9759/09), დანიაში, ტონდერის მმაჩის ბიუროში 2006 წლის 11 აგვისტოს რეგისტრირებული ქორწინება (ქორწინების რეგისტრაციის # 5300/2006) გაუქმდა; წყვილის წილების გათანაბრების შესახებ გადაწყვეტილება არ გამოტანილა; დადგინდა პროცესის ხარჯების მხარეების მიერ დაფარვა.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა კ. ვ-მემ (წარმომადგენელი ლ. ვ-მე), რომელმაც განქორწინების ნაწილში ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 5 ივლისის განჩინებით კ. ვ-მის შუამდგომლობა გერმანიის მიუნხენის საქალაქო სასამართლოს საოჯახო საქმეთა მე-5 განყოფილების 2010 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილების (საქმე # 524 F 9759/09) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში, შუამდგომლობისა და თანდართული მასალების ასლები გაეგზავნა მოპასუხეს მისი ადგილსამყოფელის მიხედვით.

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ კ. ვ-მის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ გერმანიის მიუნხენის საქალაქო სასამართლოს საოჯახო საქმეთა მე-5 განყოფილების 2010 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილებით (საქმე # 524 F 9759/09), დანიაში, ტონდერის მმარის ბიუროში 2006 წლის 11 აგვისტოს რეგისტრირებული ქორწინება (ქორწინების რეგისტრაციის # 5300/2006) გაუქმდა.

“საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, თუკი არ არსებობს ამავე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებანი, როგორცაა: ა) საქმე საქართველოს განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება; ბ) გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, მხარე უწყების ჩაბარების გზით არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოძახების თაობაზე ან მოხდა სხვა საპროცესო დარღვევები; გ) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე სამართლებრივ დავაზე არსებობს საქართველოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან მესამე ქვეყნის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც ცნობილ იქნა საქართველოში; დ) უცხო ქვეყნის სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპეტენტურად არ ითვლება; ე) უცხო ქვეყანა არ ცნობს საქართველოს სასამართლო გადაწყვეტილებებს; ვ) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე საკითხზე და ერთი და იმავე საფუძვლით საქართველოში მიმდინარეობს სასამართლო პროცესი; ზ) გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მითითებული მუხლის მე-2 პუნქტის “გ” და “ვ” ქვეპუნქტებთან დაკავშირებით მტკიცების ტვირთი ეკისრება მოპასუხეს, ხოლო ამ უკანასკნელის მიერ მსგავსი გარემოებების დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენილი არ ყოფილა. ამასთან, არ არსებობს არც “ა,” “ბ,” “დ,” “ე” და “ზ” ქვეპუნქტებში მითითებულ გარემოებებს.

ამდენად, საქმის მასალების თანახმად, ზემოაღნიშნულ ნორმაში მითითებული გარემოებების არსებობა საქმეზე არ დასტურდება, რის გამოც არსებობს ყველა საფუძველი, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ ცნოს გერმანიის მიუნხენის საქალაქო სასამართლოს საოჯახო საქმეთა მე-5 განყოფილების 2010 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილება (საქმე # 524 F 9759/09), რომელიც შეეხება მხარეთა შორის რეგისტრირებული ქორწინების შეწყვეტას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე, 70-ე-71-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. კ. ვ-მის (წარმომადგენელი ლ. ვ-მე) შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;
2. გერმანიის მიუნხენის საქალაქო სასამართლოს საოჯახო საქმეთა მე-5 განყოფილების 2010 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილება (საქმე # 524 F 9759/09), რომლითაც დანიაში, ტონდერის მმარის ბიუროში 2006 წლის 11 აგვისტოს რეგისტრირებული ქორწინება (ქორწინების რეგისტრაციის # 5300/2006) გაუქმდა, საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს და დაექვემდებაროს აღსრულებას;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობა და აღიარება საქართველოს ტერიტორიაზე

განჩინება

#ა-1632-შ-37-2010

20 სექტემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. ლაზარაშვილი,  
პ. ქათამაძე

დავის საგანი: შვილად აყვანა

აღწერილობითი ნაწილი:

ფიურსტენფელბრუკის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2008 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილებით 1985 წლის 28 აპრილს საქართველოში, ქ.გორში დაბადებული მ. გ-შვილი, მცხოვრები ბამბერგში, ... 9დ, მშობლები -ე. გ-შვილი და ლ. შ-შვილი, შვილად აყვანის გამო არის 1936 წლის 11 მარტს დაბადებული ჰ. მ. კ-ესის, მცხოვრები პუხჰაიმში, ... 2-ში და 1944 წლის 22 მარტს დაბადებულ ვ. ელზე კ-ესის შვილი.

მ. გ-შვილის წარმომადგენელმა ლ. გ-შვილმა განცხადებით მომართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს და მოითხოვა ფიურსტენფელბრუკის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2008 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 22 ივლისის განჩინებით, მ. გ-შვილის წარმომადგენელ ლ. გ-შვილის შუამდგომლობა ფიურსტენფელბრუკის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2008 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ მ. გ-შვილის წარმომადგენელ ლ. გ-შვილის შუამდგომლობა ფიურსტენფელბრუკის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2008 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ფიურსტენფელბრუკის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2008 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილებით 1985 წლის 28 აპრილს საქართველოში, ქ.გორში დაბადებული მ. გ-შვილი, მცხოვრები ბამბერგში, ... 9დ, მშობლები -ე. გ-შვილი და ლ. შ-შვილი, შვილად აყვანის გამო არის 1936 წლის 11 მარტს დაბადებული ჰ. მ. კ-ესის, მცხოვრები პუხჰაიმში, ... და 1944 წლის 22 მარტს დაბადებულ ვ. ე. კ-ესის შვილი.

ფიურსტენფელბრუკის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2008 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილებით თანახმად, მოცემული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2008 წლის 24 დეკემბრიდან.

"საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, ფიურსტენფელბრუკის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2008 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნეს ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა "საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მ. გ-შვილის წარმომადგენელ ლ. გ-შვილის შუამდგომლობა ფიურსტენფელბრუკის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2008 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების თაობაზე დაკმაყოფილდეს.

საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს და მიეცეს აღსასრულებლად ფიურსტენფელბრუკის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2008 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილება რომლითაც 1985 წლის 28 აპრილს საქართველოში, ქ.გორში დაბადებული მ. გ-შვილი, მცხოვრები 96052 ბამბერ-გში, პესტალოციშტრასე 9დ, მშობლები -ე. გ-შვილი და ლ. შ-შვილი, შვილად აყვანის გამო, ცნობილ იქნა 1936 წლის 11 მარტს დაბადებული ჰ. მ. კ-ესის, მცხოვრები 82178 პუხჰაიმში, მოცარტვეგ 2-ში და 1944 წლის 22 მარტს დამადებულ ვ. ე. კ-ესის შვილად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრუ-  
ლება

განჩინება

#ა-1053-შ-21-2010 27 სექტემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ლ. ლაზარაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი,  
პ. ქათამაძე

ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა გ. ა-შვილის (წარმომადგენელი ლ. კობერიძე) შუამ-დგომლობის დასაშვებობის საკითხი რუსეთის ფედერაციის ჩრდილოეთ ოსეთის საბჭოთა სოცია-ლისტური რესპუბლიკის ქ. ვლადიკავკაზის ლენინის რაიონის სახალხო სასამართლოს 1993 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილების (საქმე #2-229/1993წ.) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ. საკასაციო სასამართლომ

გამოარკვია:

ჩრდილოეთ ოსეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ქ. ვლადიკავკაზის ლენინის რაიონის სახალხო სასამართლოს 1993 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილებით (საქმე #2-229/1993წ.) ვ. კ-ევს, მცხოვრებს ქ. თბილისში, ... ქ. #2, ბინა #61-ში, გ. ა-შვილსა და ქ. მ-გიშვილს, მცხოვრებლებს: ქ. ვლადიკავკაზში ... ქუჩის, სახლ #41-ში, შორის დადებული გარიგება საც-ხოვრებელი ფართების გაცვლის შესახებ აღიარებულ იქნა შესრულებულად. აღნიშნული გადაწყვე-ტილება კანონიერ ძალაში შევიდა 1993 წლის 22 ივლისს.

2010 წლის 13 მაისს საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა გ. ა-შვილმა, რომელმაც მოითხოვა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 17 მაისის გან-ჩინებით გ. ა-შვილის შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში.

საკასაციო სასამართლო შუამდგომლობისა და თანდართული მასალების გაცნობის შედეგად მიიჩ-ნევს, რომ გ. ა-შვილის შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

წარმოდგენილი შუამდგომლობით გ. ა-შვილი ითხოვს ჩრდილოეთ ოსეთის საბჭოთა სოციალის-ტური რესპუბლიკის ქ. ვლადიკავკაზის ლენინის რაიონის სახალხო სასამართლოს 1993 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილების (საქმე #2-229/1993წ.) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღ-სრულებას, რომლითაც, ერთი მხრივ, ვ. კ-ევს, ხოლო, მეორე მხრივ, გ. ა-შვილსა და ქ. მ-გიშვილს შორის დადებული გარიგება საცხოვრებელი ფართების გაცვლის შესახებ აღიარებულ იქნა შესრულებულად. საქმის მასალების თანახმად, აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია 1993 წლის 22 ივლისიდან.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 142-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადაა ათი წელი მაშინაც კი, როცა ეს მოთხოვნა უფრო ნაკლებ ხანდაზმულობას ექვემდებარება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში შუამდგომლობა უცხო ქვეყნის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ წარმოდგენილია სამოქალაქო კოდექსის 142.1 მუხლით დადგენილი მოთ-ხოვნის დარღვევით, რამდენადაც შუამდგომლობა ჩრდილოეთ ოსეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ქ. ვლადიკავკაზის ლენინის რაიონის სახალხო სასამართლოს 1993 წლის 12 ივლი-სის გადაწყვეტილების აღსრულების შესახებ წარმოდგენილია კანონის აღნიშნული ნორმით გათვა-ლისწინებული ათწლიანი ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ, 2010 წლის 13 მაისს.

“საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის საფუძველზე საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების ობიექტად მოიაზრება არა კანონიერ ძალაში შესული ნებისმიერი გადაწყვეტილება, არამედ – მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე ცნობაუნარიანი და აღსრულებადი გადაწყვეტილება. ჩრდილოეთ ოსეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ქ. ვლადიკავკაზის ლენინის რაიონის სახალხო სასამართლოს 1993 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილებას საქართველოს ტერიტორიაზე სამართლებრივი შედეგი ვერ მოჰყვება აღნიშნული გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო. შესაბამისად, შუამდგომლობა დაკმაყოფილებას არ ექვემდებარება.

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით, “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე მუხლით და

#### და ა ა დ გ ი ნ ა :

1. გ. ა-შვილის შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის ჩრდილოეთ ოსეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ქ. ვლადიკავკაზის ლენინის რაიონის სახალხო სასამართლოს 1993 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილების (საქმე #2-229/1993წ.) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ არ დაკმაყოფილდეს;

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება საქართველოს ტერიტორიაზე

#### განჩინება

#ა-1621-შ-36-2010

11 ოქტომბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. კვანტალიანი,

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: განქორწინება

აღწერილობითი ნაწილი:

საბერძნეთის ქ. თესსალონიკის პირველი ინსტანციის ერთწევრიანი სასამართლოს 2008 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილებით შეწყდა ო. კ-ძესა და კ. კ-ძეს შორის 1994 წლის 23 ივლისის რეგისტრირებული ქორწინება და დამტკიცდა მხარეების 2007 წლის 5 იანვრის წერილობითი შეთანხმება არასრულწლოვანი შვილის მეურვეობისა და მასთან კონტაქტის შესახებ, კერძოდ: 1) ბავშვზე მზრუნველობა (მშობლების უფლებები) ეკისრება ორივე მშობელს, ხოლო მეურვეობა, გაზრდა და განათლება ეკისრება ბავშვის დედას, რომელთანაც იცხოვრებს არასრულწლოვანი ბავშვი; 2) მამას აქვს ბავშვთან კონტაქტის უფლება დროის შემდეგ მონაკვეთებში: ყოველ კვირას, დილის 10 საათიდან საღამოს 5 საათამდე, სამი დღით შობისა და ახალი წლის დღესასწაულის პერიოდში, სამი დღე აღდგომის დღესასწაულის პერიოდში და 15 დღით ზაფხულის არდადეგების პერიოდში, ივნისში ან ივლისში; 3) მამა ვალდებულია, გადაუხადოს ბავშვის დედას ყოველი თვის პირველ რიცხვში, აღიმენტის თანხა - 200 ევრო.

ო. კ-ძემ შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს საბერძნეთის ქ. თესსალონიკის პირველი ინსტანციის ერთწევრიანი სასამართლოს 2008 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 19 ივლისის განჩინებით ო. კ-ძის შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ო. კ-ძის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ საბერძნეთის ქ. თესსალონიკის პირველი ინსტანციის ერთწევრიანი სასამართლოს 2008 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილებით შეწყდა ო. კ-ძესა და კ. კ-ძეს შორის 1994

წლის 23 ივლისს რეგისტრირებული ქორწინება და დამტკიცდა მხარეების 2007 წლის 5 იანვრის წერილობითი შეთანხმება არასრულწლოვანი შვილის (1995 წლის 12 ოქტომბერს დაბადებული გ-ის) მეურვეობისა და მასთან კონტაქტის შესახებ, კერძოდ: 1) ბავშვზე მზრუნველობა (მშობლების უფლებები) ეკისრება ორივე მშობელს, ხოლო მეურვეობა, გაზრდა და განათლება ეკისრება ბავშვის დედას, რომელთანაც იცხოვრებს არასრულწლოვანი ბავშვი; 2) მამას აქვს ბავშვთან კონტაქტის უფლება დროის შემდეგ მონაკვეთებში: ყოველ კვირას დილის 10 საათიდან საღამოს 5 საათამდე, სამი დღით შობისა და ახალი წლის დღესასწაულის პერიოდში, სამი დღით აღდგომის დღესასწაულის პერიოდში და 15 დღით ზაფხულის არდადეგების პერიოდში, ივნისში ან ივლისში; 3) მამა ვალდებულია, გადაუხადოს ბავშვის დედას ყოველი თვის პირველ რიცხვში ალიმენტის თანხა -200 ევრო.

“საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, საბერძნეთის ქ.თესსალონიკის პირველი ინსტანციის ერთწევრიანი სასამართლოს 2008 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნეს ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. ო. კ-ძის შუამდგომლობა საბერძნეთის ქ.თესსალონიკის პირველი ინსტანციის ერთწევრიანი სასამართლოს 2008 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს და მიექცეს აღსასრულებლად საბერძნეთის ქ.თესსალონიკის პირველი ინსტანციის ერთწევრიანი სასამართლოს 2008 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილება, რომლითაც შეწყდა ო. კ-ძესა და კ. კ-ძეს შორის 1994 წლის 23 ივლისს რეგისტრირებული ქორწინება და დამტკიცდა მხარეების 2007 წლის 5 იანვრის წერილობითი შეთანხმება არასრულწლოვანი შვილის (1995 წლის 12 ოქტომბერს დაბადებული გ-ის) მეურვეობისა და მასთან კონტაქტის შესახებ, კერძოდ: 1) ბავშვზე მზრუნველობა (მშობლების უფლებები) ეკისრება ორივე მშობელს, ხოლო მეურვეობა, გაზრდა და განათლება ეკისრება ბავშვის დედას, რომელთანაც იცხოვრებს არასრულწლოვანი ბავშვი; 2) მამას აქვს ბავშვთან კონტაქტის უფლება დროის შემდეგ მონაკვეთებში: ყოველ კვირას, დილის 10 საათიდან საღამოს 5 საათამდე, სამი დღით -შობისა და ახალი წლის დღესასწაულის პერიოდში, სამი დღით -აღდგომის დღესასწაულის პერიოდში და 15 დღით ზაფხულის არდადეგების პერიოდში, ივნისში ან ივლისში; 3) მამა ვალდებულია გადაუხადოს ბავშვის დედას ყოველ თვე პირველ რიცხვში ალიმენტის სახით ფულადი თანხა 200 ევრო.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

#ა-1810-შ-42-2010

11 ოქტომბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. ლაზარაშვილი,  
პ. ქათამაძე



დავის საგანი: განქორწინება

აღწერილობითი ნაწილი:

მიუნხენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2010 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილებით მ. ჟ-ანსა და ა. ჰ-ის შორის შეწყდა 2008 წლის 7 აპრილს მიუნხენის მმჩის ბიუროს მოხელის მიერ რეგისტრირებული ქორწინება (#517/08), მხარეთა შორის წილთა განაწილება და კომპენსაციის გაცემა არ მომხდარა.

მ. ჟ-ანის წარმომადგენელმა გ. ძ-მემ განცხადებით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა მიუნხენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2010 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 10 სექტემბრის განჩინებით მ. ჟ-ანის წარმომადგენელ გ. ძ-მის შუამდგომლობა მიუნხენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2010 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ მ. ჟ-ანის წარმომადგენელ გ. ძ-მის შუამდგომლობა მიუნხენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2010 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

მიუნხენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2010 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილებით მ. ჟ-ანსა და ა. ჰ-ის შორის შეწყდა 2008 წლის 7 აპრილს მიუნხენის მმჩის ბიუროს მოხელის მიერ რეგისტრირებული ქორწინება (#517/08), მხარეთა შორის წილთა განაწილება და კომპენსაციის გაცემა არ მომხდარა.

მიუნხენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2010 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილების თანახმად, მოცემული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული, მხარეები სათანადოდ იყვნენ ინფორმირებული საქმის განხილვის თაობაზე და მონაწილეობდნენ საქმის განხილვაში წარმომადგენლის მეშვეობით.

"საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, მიუნხენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2010 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნეს ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა "საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მ. ჟ-ანის წარმომადგენელ გ. ძ-მის შუამდგომლობა მიუნხენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2010 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების თაობაზე დაკმაყოფილდეს.

საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს და მიექცეს აღსასრულებლად მიუნხენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2010 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილება, რომლითაც შეწყდა 2008 წლის 7 აპრილს მიუნხენის მმჩის ბიუროს მოხელის მიერ მ. ჟ-ანსა და ა. ჰ-ის შორის რეგისტრირებული ქორწინება (#517/08).

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

## განჩინება

№ა-2009-შ-49-2010 11 ოქტომბერი, 2010 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ლ. ლაზარაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი,  
პ. ქათამაძე

განხილვის საგანი: გერმანიის ადგილობრივი და საოჯახო საქმეების განმხილველი დიუსელდორფის სასამართლოს 2010 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილების (საქმე # 261 F 403/09) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

აღწერილობითი ნაწილი:

გერმანიის ადგილობრივი და საოჯახო საქმეების განმხილველი დიუსელდორფის სასამართლოს 2010 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილებით (საქმე # 261 F 403/09) დიუსელდორფის სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში მხარეებს (მა. ქ-ე და მ. ქ-ე) შორის რეგისტრირებული ქორწინება (ქორწინების რეგისტრაციის #1630/2004) შეწყდა და მხარეები განქორწინდნენ.

განქორწინების შესახებ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესაბამისი შუამდგომლობით მიმართა მა. ქ-ემ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 20 სექტემბრის განჩინებით მა. ქ-ეს შუამდგომლობა გერმანიის ადგილობრივი და საოჯახო საქმეების განმხილველი დიუსელდორფის სასამართლოს 2010 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილების (საქმე # 261 F 403/09) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ მა. ქ-ეს შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ გერმანიის ადგილობრივი და საოჯახო საქმეების განმხილველი დიუსელდორფის სასამართლოს 2010 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილებით (საქმე # 261 F 403/09) დიუსელდორფის სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში მხარეებს შორის რეგისტრირებული ქორწინება (ქორწინების რეგისტრაციის #1630/2004) შეწყდა და მხარეები განქორწინდნენ.

“საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, თუკი არ არსებობს ამავე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებანი, როგორცაა: ა) საქმე საქართველოს განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება; ბ) გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, მხარე უწყების ჩაბარების გზით არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოძახების თაობაზე ან მოხდა სხვა საპროცესო დარღვევები; გ) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე სამართლებრივ დავაზე არსებობს საქართველოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან მესამე ქვეყნის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც ცნობილ იქნა საქართველოში; დ) უცხო ქვეყნის სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპეტენტურად არ ითვლება; ე) უცხო ქვეყანა არ ცნობს საქართველოს სასამართლო გადაწყვეტილებებს; ვ) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე საკითხზე და ერთი და იმავე საფუძვლით საქართველოში მიმდინარეობს სასამართლო პროცესი; ზ) გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მითითებული მუხლის მე-2 პუნქტის “გ” და “ვ” ქვეპუნქტებთან დაკავშირებით მტკიცების ტვირთი ეკისრება მოპასუხეს, ხოლო ამ უკანასკნელის მიერ მსგავსი გარემოებების დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენილი არ ყოფილა. ამასთან, ადგილი არ აქვს არც “ა,” “ბ,” “დ,” “ე” და “ზ” ქვეპუნქტებში მითითებულ გარემოებებს.

ამდენად, საქმის მასალების თანახმად, ზემოაღნიშნულ ნორმაში მითითებული გარემოებების არსებობა საქმეზე არ დასტურდება, რის გამოც არსებობს ყველა საფუძველი, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ ცნოს გერმანიის ადგილობრივი და საოჯახო საქმეების განმხილველი დიუსელდორფის სასამართლოს 2010 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილება (საქმე # 261 F 403/09), რომელიც შეეხება მხარეთა განქორწინებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა "საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 68-ე, 70-ე-71-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. მა. ქ-ეს შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;
2. გერმანიის ადგილობრივი და საოჯახო საქმეების განმხილველი დიუსელდორფის სასამართლოს 2010 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილება (საქმე # 261 F 403/09), რომლითაც დიუსელდორფის სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში მხარეებს (მა. ქ-ე და მ. ქ-ე) შორის რეგისტრირებული ქორწინება (ქორწინების რეგისტრაციის #1630/2004) შეწყდა და მხარეები განქორწინდნენ, საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს და დაექვემდებაროს აღსრულებას;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება საქართველოს ტერიტორიაზე

განჩინება

# ა-1916-შ-46-2010 18 ოქტომბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი,  
ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: განქორწინება

აღწერილობითი ნაწილი:

გერმანიის ტიუბინგენის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 27 მაისის გადაწყვეტილებით შეწყდა გ. ჩ-შვილსა და ო. ა-კინს შორის 2003 წლის 17 იანვარს ტიუბინგენის მმჩის ბიუროს მოხელის მიერ (ჩანაწერის ნომერი საქორწინო აქტების სარეგისტრაციო წიგნში 8/2003) რეგისტრირებული ქორწინება.

გ. ჩ-შვილმა შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს გერმანიის ტიუბინგენის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 27 მაისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 20 სექტემბრის განჩინებით გ. ჩ-შვილის შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ გ. ჩ-შვილის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ გერმანიის ტიუბინგენის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 27 მაისის გადაწყვეტილებით შეწყდა გ. ჩ-შვილსა და ო. ა-კინს შორის 2003 წლის 17 იანვარს ტიუბინგენის მმჩის ბიუროს მოხელის მიერ (ჩანაწერის ნომერი საქორწინო აქტების სარეგისტრაციო წიგნში 8/2003) რეგისტრირებული ქორწინება.

გერმანიის ტიუბინგენის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 27 მაისის გადაწყვეტილების თანახმად, მოცემული გადაწყვეტილება ძალაშია 2010 წლის 27 მაისიდან.

"საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, გერმანიის ტიუბინგენის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 27 მაისის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნეს ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა "საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. გ. ჩ-შვილის შუამდგომლობა გერმანიის ტიუბინგენის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 27 მაისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს და მიექცეს აღსასრულებლად გერმანიის ტიუბინგენის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 27 მაისის გადაწყვეტილება, რომლითაც შეწყდა გ. ჩ-შვილსა და ო. ა-კინს შორის 2003 წლის 17 იანვარს ტიუბინგენის მმჩის ბიუროს მოხელის მიერ (ჩანაწერის ნომერი საქორწინო აქტების სარეგისტრაციო წიგნში 8/2003) რეგისტრირებული ქორწინება.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება საქართველოს ტერიტორიაზე

განჩინება

# ა-2098-შ-61-2010 18 ოქტომბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი,  
ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: განქორწინება

აღწერილობითი ნაწილი:

გერმანიის შვარცენბეკის საუბნო (პირველი ინსტანციის) სასამართლოს 2010 წლის 2 მარტის გადაწყვეტილებით 2002 წლის 12 ივლისს თბილისის (საქართველოს) მმჩის ბიუროს მოხელის მიერ ნ. გ-შვილსა და მ. რ-კის შორის რეგისტრირებული ქორწინება შეწყდა (ქორწინების რეგისტრაციის #002304).

ნ. გ-შვილმა შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს გერმანიის შვარცენბეკის საუბნო (პირველი ინსტანციის) სასამართლოს 2010 წლის 2 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 28 სექტემბრის განჩინებით ნ. გ-შვილის შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ნ. გ-შვილის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ გერმანიის შვარცენბეკის საუბნო (პირველი ინსტანციის) სასამართლოს 2010 წლის 2 მარტის გადაწყვეტილებით 2002 წლის 12 ივლისს თბილისის (საქართველოს) მმჩის ბიუროს მოხელის მიერ ნ. გ-შვილსა და მ. რ-კის შორის რეგისტრირებული ქორწინება შეწყდა (ქორწინების რეგისტრაციის #002304).

გერმანიის შვარცენბეკის საუბნო (პირველი ინსტანციის) სასამართლოს 2010 წლის 2 მარტის გადაწყვეტილების თანახმად, მოცემული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2010 წლის 7 სექტემბერს.

"საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია,

რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, გერმანიის შვარცენბეკის საუბნო (პირველი ინსტანციის) სასამართლოს 2010 წლის 2 მარტის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნეს ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა "საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. ნ. გ-შვილის შუამდგომლობა გერმანიის შვარცენბეკის საუბნო (პირველი ინსტანციის) სასამართლოს 2010 წლის 2 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს და მიექცეს აღსასრულებლად გერმანიის შვარცენბეკის საუბნო (პირველი ინსტანციის) სასამართლოს 2010 წლის 2 მარტის გადაწყვეტილება, რომლითაც 2002 წლის 12 ივლისს თბილისის (საქართველოს) მმაჩის ბიუროს მოხელის მიერ ნ. გ-შვილსა და მ. რ-კის შორის რეგისტრირებული ქორწინება შეწყდა (ქორწინების რეგისტრაციის #002304).

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება

განჩინება

#ა-1125-შ-25-2010

21 ოქტომბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

მ. სულხანიშვილი

საქმის ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა ც. კ-ელის (წარმომადგენელი ნათელა კვიციანი) შუამდგომლობა გერმანიის კარლსრუეს რაიონული სასამართლოს 2009 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, საქმეზე, ჰ. კ-ელის სარჩელის გამო ც. კ-ელის მიმართ განქორწინების თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ც. კ-ელი და ჰ. კ-ელი რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებიან 2005 წლის 20 სექტემბრიდან. მხარეები 2008 წლის თებერვლიდან ცხოვრობენ ცალ-ცალკე. განქორწინების პროცესის მიმდინარეობისას მოპასუხეს -ც. კ-ელს 2008 წლის 11 სექტემბერს შეემინა ბავშვი -ნ. კ-ელი. ჰ. კ-ელმა სარჩელით მიმართა სასამართლოს და მიუთითა, რომ მხარეთა ქორწინება საბოლოოდ შეწყვეტილია და მეუღლეთა შემდგომი ერთად ცხოვრება შეუძლებელია; ჰ. კ-ელმა განაცხადა, რომ ბავშვი - ნ. კ-ელი მოსარჩელის არ არის. ასევე, მიუთითა, რომ განქორწინებისთვის ერთწლიანი ვადის დადგენა არ არის საჭირო, რადგან მოპასუხეს სხვა კაცთან აქვს ურთიერთობა, რომლისგანაც ელოდება ბავშვს. მოსარჩელემ მოითხოვა მეუღლესთან -ც. კ-ელთან განქორწინება.

გერმანიის კარლსრუეს რაიონული სასამართლოს 2009 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილებით ჰ. კ-ელი და ც. კ-ელი განქორწინდნენ. ამავე გადაწყვეტილებით ასევე დადგინდა, რომ ბაჟი მხარეების მიერ თანაბრად იქნეს გადახდილი.

აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2009 წლის 11 მარტიდან.

ც. კ-ელმა შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს გერმანიის კარლსრუეს რაიონული სასამართლოს 2009 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 4 ივნისის განჩინებით ც. კ-ელის შუამდგომლობა გერმანიის

გერმანიის კარლსრუეს რაიონული სასამართლოს 2009 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ ც. კ-ელის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ც. კ-ელი და ჰ. კ-ელი რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებიან 2005 წლის 20 სექტემბრიდან. მხარეები 2008 წლის თებერვლიდან ცხოვრობენ ცალ-ცალკე. განქორწინების პროცესის მიმდინარეობისას მოპასუხეს -ც. კ-ელს 2008 წლის 11 სექტემბერს შეეძინა ბავშვი -ნ. კ-ელი. ჰ. კ-ელმა სარჩელით მიმართა სასამართლოს და მიუთითა, რომ მხარეთა ქორწინება საბოლოოდ შეწყვეტილია და მეუღლეთა შემდგომი ერთად ცხოვრება შეუძლებელია; ჰ. კ-ელმა განაცხადა, რომ ბავშვი - ნ. კ-ელი მოსარჩელის არ არის. ასევე, მიუთითა, რომ განქორწინებისთვის ერთწლიანი ვადის დადგენა არ არის საჭირო, რადგან მოპასუხე სხვა კაცთან აქვს ურთიერთობა, რომლისგანაც ელოდება ბავშვს. მოსარჩელემ მოითხოვა მეუღლესთან -ც. კ-ელთან განქორწინება.

გერმანიის კარლსრუეს რაიონული სასამართლოს 2009 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილებით ჰ. კ-ელი და ც. კ-ელი განქორწინდნენ. ამავე გადაწყვეტილებით ასევე, დადგინა რომ ბაჟი მხარეების მიერ თანაბრად იქნეს გადახდილი.

აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2009 წლის 11 მარტიდან.

ც. კ-ელმა შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს გერმანიის კარლსრუეს რაიონული სასამართლოს 2009 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 4 ივნისის განჩინებით ც. კ-ელის შუამდგომლობა გერმანიის

კარლსრუეს რაიონული სასამართლოს 2009 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

"საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, გერმანიის კარლსრუეს რაიონული სასამართლოს 2009 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ ცნობილ უნდა იქნეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა "საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" კანონის 68-ე მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

ც. კ-ელის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს. ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე და დაექვემდებაროს აღსრულებას გერმანიის კარლსრუეს რაიონული სასამართლოს 2009 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილება, რომლითაც ჰ. კ-ელის სარჩელი დაკმაყოფილდა. ც. კ-ელი და ჰ. კ-ელი განქორწინდნენ. ბაჟი მხარეების მიერ თანაბრად იქნება გადახდილი.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის გადაწყვეტილება საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

# ა-2011-შ-51-2010 25 ოქტომბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი,  
ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: განქორწინება

აღწერილობითი ნაწილი:

გერმანიის დარმშტადის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 19 აგვისტოს გადაწყვეტილებით 2003 წლის 19 დეკემბერს ზეჰაიმ-იუგენჰაიმში მმაჩის ბიუროს მუშაკის მიერ ნ. კ-იასა (კ-ბას) და პ. კ-ბას შორის რეგისტრირებული #39/2003 ქორწინება გაუქმდა.

ნ. კ-ბას წარმომადგენლმა ზ. ე-მემ შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს გერმანიის დარმშტადის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 19 აგვისტოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 20 სექტემბრის განჩინებით ნ. კ-ბას შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ნ. კ-ბას შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ გერმანიის დარმშტადის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 19 აგვისტოს გადაწყვეტილებით 2003 წლის 19 დეკემბერს ზეჰაიმ-იუგენჰაიმში მმაჩის ბიუროს მუშაკის მიერ ნ. კ-იასა (კ-ბას) და პ. კ-ბას შორის რეგისტრირებული #39/2003 ქორწინება გაუქმდა.

გერმანიის დარმშტადის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 19 აგვისტოს გადაწყვეტილების თანახმად, მოცემული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია 2009 წლის 19 აგვისტოდან.

“საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, გერმანიის დარმშტადის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 19 აგვისტოს გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნეს ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. ნ. კ-ბას შუამდგომლობა გერმანიის დარმშტადის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 19 აგვისტოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს და მიექცეს აღსასრულებლად გერმანიის დარმშტადის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 19 აგვისტოს გადაწყვეტილება, რომლითაც 2003 წლის 19 დეკემბერს ზეჰაიმ-იუგენჰაიმში მმაჩის ბიუროს მუშაკის მიერ ნ. კ-იასა (კ-ბას) და პ. კ-ბას შორის რეგისტრირებული #39/2003 ქორწინება გაუქმდა.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

#ა-2010-შ-52-10

15 ნოემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ  
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
ვ. როინიშვილი

დადგენილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებას მხარე მოითხოვს - აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტაუხსკის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 1 დეკემბრის დადგენილება

დავის საგანი: სახელის შეცვლა

აღწერილობითი ნაწილი:

ნ. ა-ინმა განცხადებით მიმართა აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტაუხსკის რაიონულ სასამართლოს დაბადების სააქტო ჩანაწერში ცვლილების შეტანის შესახებ, კერძოდ, მან მიუთითა, რომ 1982 წელს დაიბადა საქართველოში. მიუხედავად იმისა, რომ დაბადებიდან მისი სახელი არის ნ., მას ყოველთვის ეძახდნენ ს-ს. იმის გამო, რომ დაბადების სააქტო ჩანაწერში მითითებულია ნ., მას ექმნება პრობლემები. აღნიშნულის გამო, მან მოითხოვა დაბადების სააქტო ჩანაწერში სახელის შეცვლა.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტაუხსკის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 1 დეკემბრის დადგენილებით ს-ვა ნ. ა-ინის განცხადება დაკმაყოფილდა -1982 წლის 2 მაისს დაბადებულ ნ. ა-ინის დაბადების სააქტო ჩანაწერ #820-ში შეტანილ იქნა ცვლილება და განმცხადებლის სახელად მიეთითა ს.. აღნიშნული გადაწყვეტილებით გათვალისწინებულ იქნა ახალი დაბადების მოწმობის გაცემა ს-ვა ს. ა-ინის სახელზე.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტაუხსკის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ლ. ს-ოვმა შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტაუხსკის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 1 დეკემბრის დადგენილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 16 სექტემბრის განჩინებით აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტაუხსკის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ლ. ს-ოვის შუამდგომლობა აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტაუხსკის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 1 დეკემბრის დადგენილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტაუხსკის რაიონული სასამართლოს ლ. ს-ოვის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის 112-ე მუხლის შესაბამისად, უცხო სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს მიერ შესრულებული სამოქალაქო აქტის ჩანაწერის შესწორებასა და შეცვლას საქართველოს სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის ორგანო არ ახდენს. უცხო სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს მიერ შესრულებული სამოქალაქო აქტის ჩანაწერის შესწორება და შეცვლა წარმოებს იმ სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად, რომლის ტერიტორიაზედაც შესრულდა ჩანაწერი, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

ამავე კანონის 73-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, დასაშვებია საქართველოს მოქალაქეთა მიერ სახელის, მამის სახელის, გვარის შეცვლა, ხოლო 76-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, განცხადება სახელის, მამის სახელის, გვარის შეცვლის თაობაზე წარედგინება სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის უფლებამოსილ ორგანოს განმცხადებლის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს სახელის, მამის სახელის, გვარის შეცვლის საფუძველი.

აღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე, სახელისა და გვარის შეცვლის რეგისტრაცია საქართველოს კანონმდებლობით დასაშვებია მხოლოდ საქართველოს მოქალაქისათვის. როგორც საქმის მასალებით დასტურდება განმცხადებელი ნ. ა-ინი არის აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე, რის გამოც იგი, მიუხედავად საქართველოში დაბადებისა, მხოლოდ განცხადების საფუძველზე ვერ განახორციელებს საქართველოს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს მეშვეობით სააქტო ჩანაწერში ცვლილებების შეტანას.

მოცემულ შემთხვევაში აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტაუხსკის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 1 დეკემბრის დადგენილებით ს-ვა ნ. ა-ინის განცხადება დაკმაყოფილდა -1982 წლის 2 მაისის დაბადებულ ნ. ა-ინის დაბადების სააქტო #820 ჩანაწერში შეტანილ იქნა ცვლილება და განმცხადებლის სახელად მიეთითა ს. აღნიშნული გადაწყვეტილებით გათვალისწინებულ იქნა ახალი დაბადების მოწმობის გაცემა ს-ვა ს. ა-ინის სახელზე.



„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. აღნიშნულიდან გამომდინარე, აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტაუხსკის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 1 დეკემბრის დადგენილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ ცნობილ უნდა იქნას საქართველოს ტერიტორიაზე და მექცეს აღსასრულებლად.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტაუხსკის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ლ. ს-ოვის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს.

ცნობილ იქნას საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტაუხსკის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 1 დეკემბრის დადგენილება 1982 წლის 2 მაისს დაბადებულ, დაბადების სააქტო ჩანაწერ #820, ნ. ა-ინის სახელის შეცვლასთან დაკავშირებით და მიენიჭოს უფლება, ჰქონდეს სახელი -ს.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

#ა-2239-შ-68-2010

18 ნოემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
მოსამართლე მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: განქორწინება

აღწერილობითი ნაწილი:

ისრაელის სახელმწიფოს ქ. თელ-ავივის 2009 წლის 18 ივნისის #025900/08 გადაწყვეტილებით გაუქმდა მეუღლეებს -გ. კ-შვილსა და ი. კ-შვილს შორის 1993 წლის 12 თებერვალს საქართველოში რეგისტრირებული ქორწინება გადაწყვეტილების მიღების დღიდან, რის შესახებაც ეცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროს.

ი. კ-შვილის წარმომადგენელმა დ. გ-მემ შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა აღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 18 ოქტომბრის განჩინებით მოცემულ შუამდგომლობას დაუდგინდა ხარვეზი და ი. კ-შვილის წარმომადგენელ დ. გ-მეს დაევალა ლეგალიზებული, თარგმნილი და დამოწმებული ცნობების წარმოდგენა, რომელთა თანახმადაც, მოცემული გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში და ასევე, იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასაც მხარე მოითხოვს, გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად არ აღსრულებულა.

ხარვეზის გამოსწორების მიზნით შუამდგომლობის ავტორის წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა სასამართლოს, მიუთითა საქმეში მის მიერ წარმოდგენილ ისრაელის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გაცემულ სარეგისტრაციო ამონაწერზე და განმარტა, რომ აღნიშნული მტკიცებულებით დასტურდება როგორც გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის ფაქტი, ისე -გადაწყვეტილების აღსრულებაც, რის გამოც მიუთითა, რომ ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინებით დავალეზულ მტკიცებულებებს მარწმუნებელი სასამართლოს ვერ წარუდგენს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად თვლის, რომ ი. კ-შვილის წარმომადგენელ დ. გ-მის შუამდგომლობა ქ. თელ-ავივის ოჯახურ საქმეთა სასამართლოს 2009 წლის

18 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ უნდა დარჩეს განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

“საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 71-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, შუამდგომლობას აღსრულებისათვის თან უნდა დაერთოს სასამართლო გადაწყვეტილების დამოწმებული ასლი და დამოწმებული ქართული თარგმანი, აგრეთვე, ცნობა გადაწყვეტილების ძალაში შესვლისა და მისი აღსრულების აუცილებლობის შესახებ. დასახელებული ნორმა ადგენს, რომ უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულებისათვის უნდა ერთვოდეს გადაწყვეტილების მიმღები კომპეტენტური სასამართლოს მიერ გაცემული ცნობა მისი აღსრულების აუცილებლობის შესახებ, რომლითაც დადასტურდება ის ფაქტი, რომ გადაწყვეტილების მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე აღნიშნული გადაწყვეტილება არ აღსრულებულა და მის აღსრულება სწორედ საქართველოს ტერიტორიაზეა სავალდებულო მხარისათვის სასამართლო წესით მინიჭებული უფლებისა თუ სამართლებრივი სიკეთის რეალიზაციისათვის.

მოცემულ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილი ისრაელის სახელმწიფოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სარეგისტრაციო ამონაწერით უდავოდ დასტურდება და ამას არც ი. კ-შვილის წარმომადგენელი ხდის სადავოდ, რომ გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასაც იგი მოითხოვს, მისი მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე აღსრულებულია (სარეგისტრაციო ამონაწერში ოჯახური მდგომარეობისათვის განკუთვნილ გრაფაში მითითებულია, რომ ი. კ-შვილი განქორწინებულია). ამდენად, აღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე განმეორებით ცნობა სავალდებულო არაა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ, ვინაიდან არ არსებობს უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობის წინაპირობები (იგი უკვე აღსრულებულია გადაწყვეტილების მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე), ი. კ-შვილის წარმომადგენელ დ. გ-ძის შუამდგომლობას უნდა ეთქვას უარი წარმოებაში მიღებაზე და დარჩეს განუხილველად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 71-ე მუხლის პირველი ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ი. კ-შვილის წარმომადგენელ დ. გ-ძის შუამდგომლობა ქ.თელ-ავივის ოჯახურ საქმეთა სასამართლოს 2009 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დარჩეს განუხილველად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

#ა-2718-შ-73-2010

18 ნოემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
მოსამართლე მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: განქორწინება

აღწერილობითი ნაწილი:

ქ. თესალონიკის მრავალწევრიანი სასამართლოს 2005 წლის 3 მარტის #18775/2005 გადაწყვეტილებით შეწყვეტილად გამოცხადდა საქართველოში, ქ. თბილისში 2003 წლის 26 თებერვალს რეგისტრირებული ქორწინება ს. გ-ძესა და ა. ხ-დის შორის, მოპასუხე ა. ხ-დის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის გამო, მას მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა სასამართლო ხარჯების გაღება.

ს. ხ-დუს წარმომადგენელმა თ. ე-ძემ შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით ირკვევა, რომ მოპასუხე საქმის განხილვის თაობაზე იყო ინფორმირებული და მას ჩაჰბარდა სარჩელის ზუსტი ასლი, თუმცა სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა. ასევე, დასტურდება, რომ 2010 წლის 8 ოქტომბრის მდგომარეობით მოცემულ დავაზე საჩივარი ზემდგომ სასამართლოში არ არის შეტანილი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად თვლის, რომ ს. ხ-დუს წარმომადგენელ თ. ე-ძის შუამდგომლობა ქ. თესალონიკის მრავალწევრიანი სასამართლოს 2005 წლის 3 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ უნდა დარჩეს განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

“საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 63-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნების სასამართლოების შუამდგომლობა სამართლებრივი დახმარების ცალკეული საპროცესო მოქმედებათა შესრულების შესახებ ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. დასახელებული ნორმების თანახმად, საკასაციო სასამართლო უცხო ქვეყნის შუამდგომლობის ცნობასთან დაკავშირებული გარემოებების სამართლებრივი შეფასებისა თუ საპროცესო მოქმედების შესრულებისას ხელმძღვანელობს ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1132-ე მუხლის თანახმად, განქორწინების შესახებ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება აღსრულდება ერთ-ერთი ან ორივე მეუღლის მოთხოვნით, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან არა უგვიანეს 3 წლისა, სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში რეგისტრაციის საშუალებით.

დასახელებული ნორმა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებისათვის იმპერატიულად ადგენს ხანდაზმულობის სპეციალურ ვადას და აღნიშნული განისაზღვრება გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან სამი წლით.

განსახილველ შემთხვევაში, ს. ხ-დუს წარმომადგენელ თ. ე-ძის მიერ შემოტანილი შუამდგომლობითა და თანდართული მასალებით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასაც მხარე მოითხოვს, განხილულია 2005 წლის 3 მარტს, გადაწყვეტილების თანახმად, იგი გამოტანილია 2005 წლის 2 ივნისს და რიგგარეშე სახალხო კრებაზე ეუწყა საზოგადოებას 2005 წლის 23 ივნისს, შუამდგომლობის ავტორმა კი სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის მოთხოვნით მომართა 2010 წლის 8 ნოემბერს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1132-ე მუხლით დადგენილი ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადის დარღვევით, ამასთან, შუამდგომლობის ავტორმა წარმოადგინა მხოლოდ თესალონიკის სასამართლოს მიერ გაცემული მოწმობა, რომლის თანახმადაც 18775/2005 გადაწყვეტილებაზე 2010 წლის 8 ოქტომბრის მდგომარეობით საჩივარი არ არის შეტანილი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ს. ხ-დუს წარმომადგენელ თ. ე-ძის შუამდგომლობა ხანაზმულია, რის გამოც უნდა დარჩეს განუხილველად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 63-ე მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით, სამოქალაქო კოდექსის 1132-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

ს. ხ-დუს წარმომადგენელ თ. ე-ძის შუამდგომლობა ქ. თესალონიკის მრავალწევრიანი სასამართლოს #18775/2005 გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დარჩეს განუხილველად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის  
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ქორწინების შეწყვეტა

აღწერილობითი ნაწილი:

ვაილბურგის საოლქო სასამართლოს 2009 წლის 12 მაისის განაჩენით 1989 წლის 16 სექტემბერს საქართველოში, ქ. თბილისის მმაჩის ბიუროში რეგისტრირებული ქორწინება (ქორწინების რეგისტრაციის #1869) შეწყდა.

მ. გ-ძის წარმომადგენელმა ნ. ა-ძემ შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ვაილბურგის საოლქო სასამართლოს 2009 წლის 12 მაისის განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 1 ოქტომბრის განჩინებით მ. გ-ძის წარმომადგენელ ნ. ა-ძის შუამდგომლობა ვაილბურგის საოლქო სასამართლოს 2009 წლის 12 მაისის განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ მ. გ-ძის შუამდგომლობა ვაილბურგის საოლქო სასამართლოს 2009 წლის 12 მაისის განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ვაილბურგის საოლქო სასამართლოს 2009 წლის 12 მაისის განაჩენით შეწყდა 1989 წლის 16 სექტემბერს საქართველოში, ქ. თბილისის მმაჩის ბიუროში რეგისტრირებული ქორწინება (ქორწინების რეგისტრაციის #1869).

საქმის მასალებით დადგენილია, რომ განაჩენი, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებასაც მხარე მოითხოვს კანონიერ ძალაში შევიდა 2009 წლის 20 ივნისს, მოწინააღმდეგე მხარე - ნ. გ-ძე ინფორმირებული იყო სასამართლო სხდომის დროისა და ადგილის შესახებ და თანხმობა განაცხადა განქორწინებაზე.

“საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, ვაილბურგის საოლქო სასამართლოს 2009 წლის 12 მაისის განაჩენი საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნეს ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მ. გ-ძის წარმომადგენელ ნ. ა-ძის შუამდგომლობა ვაილბურგის საოლქო სასამართლოს 2009 წლის 12 მაისის განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების თაობაზე დაკმაყოფილდეს.

საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს და მიექცეს აღსასრულებლად ვაილბურგის საოლქო სასამართლოს 2009 წლის 12 მაისის განაჩენი, რომლითაც შეწყდა 1989 წლის 16 სექტემბერს საქართველოში, ქ. თბილისის მმაჩის ბიუროში რეგისტრირებული ქორწინება (ქორწინების რეგისტრაციის #1869).

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

#ა-2158-შ-62-2010

22 ნოემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის  
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ალიმენტის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

რუსეთის ფედერაციის ქ. მოსკოვის ბაბუშკინსკის რაიონის სასამართლოს 2001 წლის 29 მარტის გადაწყვეტილებით 1995 წლის 18 ნოემბერს რეგისტრირებული ქორწინება 1960 წლის 25 მაისს დაბადებულ ფ. ბ-იას და 1958 წლის 1 ივნისს დაბადებულ ლ. ბ-იას (დ-ვას) შორის შეწყდა. ამავე გადაწყვეტილებით ფ. ბ-იას დაეკისრა ალიმენტი ლ. ბ-იას სასარგებლოდ 1996 წლის 25 მაისს დაბადებული გ. ბ-იას რჩენა-აღზრდისათვის ყოველთვიურად, 2000 წლის 30 მაისიდან შვილის სრულწლოვანებამდე მოპასუხის ყოველგვარი შემოსავლის 1/4-ის ოდენობით.

ლ. ბ-იამ (დ-ვამ) შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ალიმენტის დაკისრების ნაწილში აღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი ცნობებით დასტურდება, რომ ფ. ბ-ია სათანადოდ იყო ინფორმირებული სასამართლო სხდომის დროისა და ადგილის შესახებ, გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასაც მხარე მოითხოვს, შევიდა კანონიერ ძალაში 2001 წლის 9 აპრილს. ასევე დასტურდება, რომ ალიმენტის დაკისრების ნაწილში აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააღსრულებო წარმოება არ დაწყებულა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 6 ოქტომბრის განჩინებით ლ. ბ-იას (დ-ვას) შუამდგომლობა დაკმაყოფილდა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად თვლის, რომ ლ. ბ-იას (დ-ვას) შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის ქ. მოსკოვის ბაბუშკინის რაიონის სასამართლოს 2001 წლის 29 მარტის გადაწყვეტილების ალიმენტის დაკისრების ნაწილში საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალების შესწავლით დასტურდება, რომ რუსეთის ფედერაციის ქ. მოსკოვის ბაბუშკინსკის რაიონის სასამართლოს 2001 წლის 29 მარტის გადაწყვეტილებით 1995 წლის 18 ნოემბერს რეგისტრირებული ქორწინება 1960 წლის 25 მაისს დაბადებულ ბ-ია ფრიდონსა და 1958 წლის 1 ივნისს დაბადებულ ლ. ბ-ია (დ-ვას) შორის შეწყდა. ამავე გადაწყვეტილებით ფ. ბ-იას დაეკისრა ალიმენტი ლ. ბ-იას სასარგებლოდ 1996 წლის 25 მაისს დაბადებული გ. ბ-იას რჩენა-აღზრდისათვის ყოველთვიურად, 2000 წლის 30 მაისიდან შვილის სრულწლოვანებამდე, მოპასუხის ყოველგვარი შემოსავლის 1/4-ის ოდენობით.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა ლ. ბ-იამ (დ-ვამ) და მოითხოვა აღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება ალიმენტის დაკისრების ნაწილში.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასაც და აღსრულებასაც მხარე მოითხოვს, კანონიერ ძალაში შევიდა 2001 წლის 9 აპრილს, ასევე დასტურდება, რომ ალიმენტის დაკისრების ნაწილში აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააღსრულებო წარმოება არ დაწყებულა. ფ. ბ-ია სათანადოდ იყო ინფორმირებული სასამართლო სხდომის დროისა და ადგილის შესახებ.

"საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია ამავე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს, ამდენად, რუსეთის ფედერაციის ქ. მოსკოვის ბაბუშკინსკის რაიონის სასამართლოს 2001 წლის 29 მარტის გადაწყვეტილება ალიმენტის დაკისრების ნაწილში საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნეს ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა "საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ლ. ბ-იას (დ-ვას) შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის ქ. მოსკოვის ბაბუშკინსკის რაიონის სასამართლოს 2001 წლის 29 მარტის გადაწყვეტილების ალიმენტის დაკისრების ნაწილში საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს.

ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად, რუსეთის ფედერაციის ქ. მოსკოვის ბაბუშკინსკის რაიონის სასამართლოს 2001 წლის 29 მარტის გადაწყვეტილება, რომლითაც ფ. ბ-იას დაეკისრა ალიმენტი ლ. ბ-იას (დ-ვას) სასარგებლოდ 1996 წლის 25 მაისს დაბადებული გ. ბ-იას რჩენა-აღზრდისათვის ყოველთვიურად, 2000 წლის 30 მაისიდან შვილის სრულწლოვანებამდე, მოპასუხის ყოველგვარი შემოსავლის 1/4-ის ოდენობით.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

#ა-2067-შ-59-2010 25 ნოემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: განქორწინება

აღწერილობითი ნაწილი:

გერმანიის იდარ-ობერშტაინის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილებით (საქმე #8F 410/08) ცვაიბრუკენის მმარის ბიუროში 2003 წლის 25 აპრილს რეგისტრირებული ქორწინება (ქორწინების რეესტრი # 39/2003) გაუქმდა; დადგინდა, რომ გერმანული სადაზღვევო კომპანია რაინლანდ-პფალცში ქმრის სადაზღვევო ანგარიშიდან (#16 191169შ022) ყოველთვიურად საპენსიო ანარიცხი -64,61 ევრო, 2008 წლის 30 ივნისიდან, ქორწინების დასრულების თარიღიდან, გადატანილ უნდა იქნეს გერმანული სადაზღვევო კომპანია რაინლანდ-პფალცში ცოლის ანგარიშზე (#53020575); გარდა ამისა, დადგინდა, რომ გერმანული სადაზღვევო კომპანია რაინლანდ-პფალცში ქმრის სადაზღვევო ანგარიშიდან (#16 191169შ022), შემდგომი განაწილების მეშვეობით, საპენსიო ანარიცხი -3.79 ევრო 2008 წლის 30 ივნისიდან, ქორწინების დასრულების თარიღიდან, ყოველთვიურად გადატანილ უნდა იქნეს გერმანული სადაზღვევო კომპანია რაინლანდ-პფალცში ცოლის ანგარიშზე (#53020575), ხოლო გადასარიცხი ყოველთვიური თანხები გადათვლილ იქნეს საპენსიო დაზღვევის კომპეტენტური პირის მიერ გადახდის პუნქტებში; პროცესის ხარჯების გადახდა დაეკისრა ორივე მხარეს.

ი. ბ-ოვას წარმომადგენელმა ნ. ხ-ძემ შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს გერმანიის ვეტცლერის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2010 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილების განქორწინების ნაწილში საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 23 სექტემბრის განჩინებით ი. ბ-ოვას წარმომადგენელ ნ. ხ-ძის შუამდგომლობა გერმანიის იდარ-ობერშტაინის

პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილების განქორწინების ნაწილში საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ი. ბ-ოვას წარმომადგენელ ნ. ხ-ძის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ გერმანიის იდარ-ობერშტაინის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილებით (საქმე # 8F 410/08) ცვაიბრუკენის მმაჩის ბიუროში 2003 წლის 25 აპრილს რეგისტრირებული ქორწინება (ქორწინების რეესტრი # 39/2003) გაუქმდა.

"საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, გერმანიის იდარ-ობერშტაინის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნეს ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა "საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. ი. ბ-ოვას წარმომადგენელ ნ. ხ-ძის შუამდგომლობა გერმანიის ვეტცლერის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2010 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს და მიექცეს აღსასრულებლად გერმანიის იდარ-ობერშტაინის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილება, რომლითაც (საქმე # 8F 410/08) ცვაიბრუკენის მმაჩის ბიუროში 2003 წლის 25 აპრილს რეგისტრირებული ქორწინება (ქორწინების რეესტრი # 39/2003) გაუქმდა.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

#ა-2198-შ-66-2010

29 ნოემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: ალიმენტის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

რუსეთის ფედერაციის მურმანსკის ოლქის ქ. აპატიტის #2 უბნის სასამართლოს მომრიგებელი მოსამართლის 2008 წლის 29 სექტემბრის ბრძანებით (სამოქალაქო საქმე #2-1299/08) ზ. ც-ძეს, დაბადებულს 1971 წლის 5 ნოემბერს საქართველოში, ქ. ჭიათურაში, ე. ც-ძის სასარგებლოდ დაეკისრა ბავშვზე -მ. ც-ძეზე (დაბადებული 2000 წლის 24 ოქტომბერს) ყოველთვიურად ალიმენტის გადახდა ყველა სახის გამომუშავების და/ან შემოსავლის 1/4-ის ოდენობით, 2008 წლის 24 სექტემბრიდან ბავშვის სრულწლოვანებამდე. მასვე დაეკისრა სახელმწიფო ბაჟი -50 რუბლის

გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. აღნიშნული ბრძანება კანონიერ ძალაში შევიდა 2008 წლის 28 ოქტომბერს და იგი რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

ე. ც-მემ შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს მოპასუხისათვის ალიმენტის დაკისრების ნაწილში ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 11 ოქტომბრის განჩინებით ე. ც-მის შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ ე. ც-მის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ რუსეთის ფედერაციის მურმანსკის ოლქის ქ. აპატიტის #2 უბნის სასამართლოს მომრიგებელი მოსამართლის 2008 წლის 29 სექტემბრის ბრძანებით (სამოქალაქო საქმე #2-1299/08) ზ. ც-მეს, დაბადებულს 1971 წლის 5 ნოემბერს, საქართველოში, ქ. ჭიათურაში, ე. ც-მის სასარგებლოდ დაეკისრა ბავშვზე -მ. ც-მეზე (დაბადებული 2000 წლის 24 ოქტომბერს) ყოველთვიურად ალიმენტის გადახდა ყველა სახის გამომუშავების და/ან შემოსავლის 1/4-ის ოდენობით, 2008 წლის 24 სექტემბრიდან ბავშვის სრულწლოვანებამდე. აღნიშნული ბრძანება კანონიერ ძალაში შევიდა 2008 წლის 28 ოქტომბერს და იგი რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

“საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, რუსეთის ფედერაციის მურმანსკის ოლქის ქ. აპატიტის #2 უბნის სასამართლოს მომრიგებელი მოსამართლის 2008 წლის 29 სექტემბრის ბრძანება იმ ნაწილში, რომლითაც ზ. ც-მეს, დაბადებულს 1971 წლის 5 ნოემბერს, საქართველოში, ქ. ჭიათურაში, ე. ც-მის სასარგებლოდ დაეკისრა ბავშვზე -მ. ც-მეზე (დაბადებული 2000 წლის 24 ოქტომბერს) ყოველთვიურად ალიმენტის გადახდა ყველა სახის გამომუშავების და/ან შემოსავლის 1/4-ის ოდენობით, 2008 წლის 24 სექტემბრიდან ბავშვის სრულწლოვანებამდე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნეს ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. ე. ც-მის შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის მურმანსკის ოლქის ქ. აპატიტის #2 უბნის სასამართლოს მომრიგებელი მოსამართლის 2008 წლის 29 სექტემბრის ბრძანების (სამოქალაქო საქმე #2-1299/08) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიექცეს აღსასრულებლად რუსეთის ფედერაციის მურმანსკის ოლქის ქ. აპატიტის #2 უბნის სასამართლოს მომრიგებელი მოსამართლის 2008 წლის 29 სექტემბრის ბრძანება იმ ნაწილში, რომლითაც ზ. ც-მეს, დაბადებულს 1971 წლის 5 ნოემბერს, საქართველოში, ქ. ჭიათურაში, ე. ც-მის სასარგებლოდ დაეკისრა ბავშვზე -მ. ც-მეზე (დაბადებული 2000 წლის 24 ოქტომბერს) ყოველთვიურად ალიმენტის გადახდა ყველა სახის გამომუშავების და/ან შემოსავლის 1/4-ის ოდენობით, 2008 წლის 24 სექტემბრიდან ბავშვის სრულწლოვანებამდე.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება



საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქ. ბაქოს საბუნჩინის რაიონის სასამართლოს 2007 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილებით ი. ი-ვის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხე გ. მ-ოვს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 8 200 მანათის, აგრეთვე, სახელმწიფო ბაჟის 19 მანათისა და 80 კაპიკის, მთლიანობაში 8 219 მანათისა და 80 კაპიკის გადახდა.

ი. ი-ვმა შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 18 ოქტომბრის განჩინებით ი. ი-ვის შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ ი. ი-ვის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქ. ბაქოს საბუნჩინის რაიონის სასამართლოს 2007 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილებით ი. ი-ვის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხე გ. მ-ოვს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 8 200 მანათის, აგრეთვე, სახელმწიფო ბაჟის -19 მანათისა და 80 კაპიკის, მთლიანობაში 8 219 მანათისა და 80 კაპიკის გადახდა.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქ. ბაქოს საბუნჩინის რაიონის სასამართლოს მიერ 2010 წლის 19 მარტს გაცემული ცნობის თანახმად, ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2008 წლის 19 მარტს.

“საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქ. ბაქოს საბუნჩინის რაიონის სასამართლოს 2007 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნეს ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. ი. ი-ვის შუამდგომლობა აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქ. ბაქოს საბუნჩინის რაიონის სასამართლოს 2007 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილების (საქმე #2-722/2007) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს და მიექცეს აღსასრულებლად აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქ. ბაქოს საბუნჩინის რაიონის სასამართლოს 2007 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილება (საქმე #2-722/2007), რომლითაც ი. ი-ვის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხე გ. მ-ოვს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 8 200 მანათის, აგრეთვე, სახელმწიფო ბაჟის -19 მანათისა და 80 კაპიკის, მთლიანობაში 8 219 მანათისა და 80 კაპიკის გადახდა.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება. უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

## განჩინება

№ა-2758-შ-76-2010

6 დეკემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: განქორწინება

აღწერილობითი ნაწილი:

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ზოლთაუს საუბნო სასამართლოს 2010 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილებით (საქმე # 13 F 1760/09 შ) საქართველოში, ვაკის რაიონის მმაჩის ბიუროს თანამშრომლის მიერ 2006 წლის 6 ივლისს რეგისტრირებული ქორწინება (ქორწინების რეგისტრაციის # მნ 0074952) გაუქმდა; დადგინდა, რომ განქორწინების შემდეგ დაკისრებული მოვალეობები არ წარმოიშობოდა; პროცესის ხარჯები მხარეებს დაეკისრებოდათ.

მხარეებს (შ. ვ-ი და ე. ვ-ი) შორის განქორწინების თაობაზე ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ საქართველოს უზენაეს სასამართლოს შესაბამისი შუამდგომლობით მომართა შ. ვ-მა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 17 ნოემბრის განჩინებით შ. ვ-ის შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ შ. ვ-ის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილია, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ზოლთაუს საუბნო სასამართლოს 2010 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილებით (საქმე # 13 F 1760/09 შ) საქართველოში, ვაკის რაიონის მმაჩის ბიუროს თანამშრომლის მიერ 2006 წლის 6 ივლისს რეგისტრირებული ქორწინება (ქორწინების რეგისტრაციის #მნ 0074952) გაუქმდა.

გერმანიის ზოლთაუს საუბნო სასამართლოს 2010 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილების თანახმად, მოცემული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2010 წლის 27 ივლისს.

“საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, გერმანიის ზოლთაუს საუბნო სასამართლოს 2010 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილება, რომლითაც საქართველოში, ვაკის რაიონის მმაჩის ბიუროს მოხელის მიერ 2006 წლის 6 ივლისს რეგისტრირებული ქორწინება (ქორწინების რეგისტრაციის # მნ 0074952) გაუქმდა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. შ. ვ-ის შუამდგომლობა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ზოლთაუს საუბნო სასამართლოს 2010 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილების (საქმე # 13 F 1760/09 შ) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიექცეს აღსასრულებლად გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ზოლთაუს საუბნო სასამართლოს 2010 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილება (საქმე # 13 F 1760/09 შ), რომლითაც საქართველოში, ვაკის რაიონის მმაჩის ბიუროს მოხელის მიერ

2006 წლის 6 ივლისს რეგისტრირებული ქორწინება (ქორწინების რეგისტრაციის # მნ 0074952) გაუქმდა.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.